ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. ● №1 (2034) 31.01.2009 ● ფასი 30 თეთრი

ჩვენი გაზეთი გამოაქვეყნებს საქართველოს ეროვნული ძალების მიერ მიღებულ დოკუმენტთა სერიას (2008 წლის მარტიდან დღემდე), რომლებშიც მოცემულია 2008 წლის აგვისტოს ომის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზი და, შესაბამისად, ომის პროგნოზი, ამის შემდეგ — ომთან დაკავშირებით წარმოშობილი პოლიტიკური მოვლენების განხილვა. ამ პუბლიკაციას ეთმობა წინამდებარე ნომრის დიდი ნაწილი. პუბლიკაცია გაგრძელდება.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული მოქმედების ახალი ესკალაციის გამო

საქართველოს ყველა ობიექტური პირობა აქვს, რომ გარანტირებულად მიაღწიოს თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ერთგული ხელისუფლების ყოლის შემთხვევაში. ე. წ. „ეთნიკური კონფლიქტების“ დარეგულირება, რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენენ მხოლოდდამხოლოდ რუსეთის აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, შედგება ორი ელემენტისაგან:

1. რუსეთის იურიდიული განიარაღებისაგან. სახელდობრ, საქართველომ უნდა განაცხადოს ოფიციალურად, რომ რუსეთი მრავალი წელია აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ (რისი დოკუმენტური ილუსტრირებაც ადვილია) და ამჟამად ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის ორი ნაწილის — ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის — ოკუპაციას. საქართველომ უნდა გააუქმოს რუსეთის შეიარაღებული ძალების „სამშვიდობო“ მანდატი ამ ტერიტორიებზე და ასევე დაუყონებლივ გააუქმოს დსთ-ს წესდებასთან საქართველოს შეერთების, ანუ დსთ-ში საქართველოს შესვლის 1994 წლის აქტი, რომელიც მიღებული იყო კანონის დარღვევით. საქართველომ დაუყონებლივ უნდა გამოაცხადოს, რომ რუსეთის შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურის მყოფობა საქართველოს ტერიტორიაზე არის კანონსაწინააღმდეგო, და საქართველომ დაუყონებლივ უნდა მიჰმართოს ყველა საერთაშორისო ინსტანციას, სასამართლოს ჩათვლით, ოფიციალური თხოვნით რუსეთის აგრესიისაგან დაცვის შესახებ. ამით მოხდება რუსეთის, როგორც დღეს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ომის მწარმოებელი სახელმწიფოს, იურიდიული განიარაღება, რითაც რუსეთი დაკარგავს იმის საშუალებას, რომ თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს ოფიციალურად, ანუ ეომოს საქართველოს, მეტაფორულად რომ ვთქვათ, თავისი გაშლილი სახელმწიფო დროშით.

2. რეალური ძალის შექმნისაგან საქართველომ უნდა შექმნას და განავითაროს თავისი შეიარაღებული ძალები ახალი ოფიციალური ორიენტაციით იმაზე, რომ მოიგერიოს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი არაოფიციალური აგრესიული ომი: კაზაკების და სხვა „ბოევიკების“ შემოგზავნა, ვითომც „დაქირავებული“ რუსი სამხედრო მოსამსახურეების შემოგზავნა, ანტიქართული ძალების შეიარაღება და გაწრთვნა, მათი მომარაგება საბრძოლო მასალებით და სადაზვერვო ინფორმაციით, მათი პროპაგანდული დახმარება და ა.შ. თუმცა საქართველოს არ შეუძლია წარმატებული და გრძელვადიანი ომი რუსეთთან „გაშლილი დროშებით“, მას საკუთარი შეუძლია და ვალდებულია, რომ შეეძლოს რუსეთის ზემოაღწერილი არაოფიციალური შემოტევის მოგერიება ნებისმიერი დროის მანძილზე.

საჭიროდ ვთვლით ავღნიშნოთ: „რუსთავი-2“-ის ა.წ. 13 მარტის გადაცემაში „პრაიმ-ტაიმი“ (წამყვანი ი.გრიგოლია) ხელისუფლების წარმომადგენელმა პირებმა (რურუა, ქუთელია) მოკამათეებსა და მაყურებლებს დაუმალეს ის ფაქტი, რომ საქართველოს არსებული შეიარაღებული ძალები არ არის აგებული იმ ორიენტაციით, რომ ბრძოლა აწარმოოს თანამედროვე არმიასთან, რომელსაც იარაღის იმავე სახეობის ნაწილებთან ერთად, რაც ჰყავს საქართველოს, ჰყავს იარაღის ისეთი სახეობის ნაწილებიც, რომლებიც საქართველოს არ ჰყავს და რომლების ყოლასაც თანამედროვე პირობებში ომი აუცილებლობით მოითხოვს, მაგალითად, სატანკო ნაწილები (მაშასადამე, ნაწილები, რომლებიც შეტევას აწარმოებენ ტანკის მოძრაობის სისწრაფით), ავიასადესანტო ნაწილწბი, სარაკეტო ჯარები და მრავალი სხვა. ამგვარად, ხსენებულმა პირებმა დალალეს, რომ რუსეთის ოფიციალურად წარმოებულ აგრესიულ ომში მონაწილეობისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალები ადექვატური არ არის, მისივე არაოფიციალური შემოტევის მოგერიებისათვის კი ადექვატურია, რის გამოც ლოგიკურად და პრაქტიკულად აუცილებელია რუსეთის ოფიციალური იურიდიული განიარაღება, როგორც აგრესორისა, მანამდე, სანამ დავუშვებდეთ კონფლიქტურ ზონებში თოფის გავარდნას.

3. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, დაუყოვნებლივ განაცხადოს საკუთარი მოქალაქეების წინაშე და მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე, რაში მდგომარეობს მისი პოზიცია ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის საბოლოო, ანუ სამარადისო მოწყობისა ყველა მოქალაქის — როგორც ქართველების, ისე აფსუებისა („აფხაზებისა“) და ოსების ინტერესთა შესაბამისად. ასეთი მოგვარების კონკრეტული ფორმულირებები საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ხელთ აქვს და ხელისუფლება ვალდებულია ისინი გამოიყენოს ან არსებული სახით, ან გაუმჯობესებული სახით.

საქართველოს ხელისუფლების ეს პირდაპირი მოვალეობა ძალაშია განურჩევლად იმისა, იგი ლეგიტიმურია თუ ხელისუფლებასთან უზურპაციის გზით მისული, რამდენადაც ორსავე შემთხვევაში ხელისუფლების პირადი შემადგენლობა საქართველოს მოქალაქეებია. ამ პირდაპირ მოვალეობათა შეუსრულებლობა ჩვენ მიერ განიხილება, როგორც პირდაპირი სახელმწიფო ღალატი.

საქართველოს სახალხო ფრონტი
2008 წლის 13 მარტი

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ორგანიზაციათა ერთი ჯგუფის განცხადება

რუსეთის უმაღლესი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენელნი, მათ შორის პრეზიდენტი პუტინი, უკვე რამდენიმე თვეა ატარებენ გაშლილ დიპლომატიურსა და საპროპაგანდო კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ იმ აშკარა მიზნით, რომ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს არსებობს იმის უფლებრივი, პოლიტიკური, მორალური ან სხვა რამ სახის საფუძველი, რომ რუსეთმა მიიერთოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებშიც ახლა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დაცული სეპარატისტული უკანონო რეჟიმები არიან ხელისუფლებაში, ან ამ ტერიტორიათა საქართველოსგან დამოუკიდებლობა ცნოს.

ქვემორე ხელის მომწერი ორგანიზაციები, მიგვაჩნია რა სრული უეჭველობით, რომ ქართველი ერის სულისკვეთებასა და პოზიციას გამოვხატავთ, საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ქართველი ერის, ისევე როგორც ქართული სახელმწიფოს ნებისმიერი მომავალი ლეგიტიმური ხელისუფლების, მტკიცე ნება არის და იქნება საქართველოს ხსენებული ტერიტორიების საქართველოსთვის წართმევის არდაშვება, ხოლო თუ რომელიმე მარიონეტული და სახელმწიფო ინტერესების მოღალატე ხელისუფლება ამ ტერიტორიათა წართმევას დაუშვებს — მათი საქართველოში დაბრუნება. იმისთვის, რომ ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს ამ პოზიციის, როგორც ერთადერთი უფლებრივად მართებულისა და მორალურად მართებულის, საფუძველი ნათელი იყოს, ვაქვეყნებთ შესაბამის არგუმენტაციას აფხაზეთთან მიმართებაში ქართულ ენაზე. უახლოეს ხანებში გამოვაქვეყნებთ, ანალოგიურად, ჩვენს პოზიციას ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ — ორსავე ტექსტს ინგლისურ ენაზე.

I. **იმისათვის, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს აფხაზეთის ტერიტორიის სტატუსის მართებულობა, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილისა, საფუძველი არ არსებობს.** სახელდობრ

1. აფხაზეთს „აფხაზეთი“ იმის გამო არ ეწოდება, რომ მასში ცხოვრობს ხალხი „აფსუა“, რომელთაც სხვანი, ქართული სახელის „აფხაზი“ განმეორებით, „აფხაზებს“ უწოდებენ. პირიქით: „აფსუა“ სახელის მატარებელ ხალხს ქართველების მიერ, ხოლო მათი მიყოლით — სხვების მიერაც „აფხაზი“ დაერქვა იმიტომ, რომ იგი კავკასიონის ქედის ჩრდილო მხარიდან გადმოსვლის შემდეგ, რაც ძირითადად XVI-XVIII ს-ებში მოხდა, „აფხაზეთად“ წოდებულ ქართულ პროვინციაში დასახლდა. აფხაზეთის სამეფო, რომელიც აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ცენ-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ორგანიზაციათა ერთი ჯგუფის განცხადება

პირველი გვერდიდან

ტრალურ ნაწილში შეიქმნა ბიზანტიის ხელშეწყობით (VIIIს), ხოლო შემდეგ მთელი დასავლეთი საქართველო მოიცვა დედაქალაქით ქუთაისში, ისტორიის ყველა მონაცემების მიხედვით, ქართული სახელმწიფო იყო, რის გამოც მასში აფსუური ენის არანაირი კვალი არ დასტურდება არც ტოპონიმიკურად, არც ეპიგრაფიკულად. ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა ქართველურია.

2. აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის მეტ-ნაკლებად გავრცელებული (ერთსულოვანი) რწმენა, რომ აფხაზეთის ტერიტორია მისი მიწაა, უნდა ვივარაუდოთ, გულწრფელია, რადგან იგი ამ მიწას თავის წინაპართა მიერ დაპყრობილად რაცხს. ისტორიისათვის ცნობილია, მართლაც, რომ მესაქონლე აფსუა ტომების გადმოსვლა კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან სამხრეთის ურთიერთპარალელურ ხეობებში და აქ დასახლება (ისეთ პირობებში, როცა ციხეებში თურქები იდგნენ და დასავლური ქართული სახელმწიფოებრიობა ფაქტობრივად ვეღარ ფუნქციონირებდა), ძირითადად, არამშვიდობიანი იყო (იხ. მაგ. ჯ. გამახარიას მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული მასალები). მაგრამ ამ დაპყრობის პროცესს არასოდეს მიუღწევია მასშტაბით იმ ნიშნულისთვის, რომ აფსუა ტომების მიერ დაკავებული ტერიტორიები საქართველოს მისწყვეტოდნენ და ცალკე პოლიტიკური ერთეული შეექმნათ. ამგვარად, აფხაზეთის ტერიტორია არასოდეს ქცეულა მტრის მიერ დაპყრობილ და ამ გზით საქართველოს მიერ დაკარგულ ტერიტორიად. ისტორიაში არ ყოფილა მომენტი, როცა აფხაზეთის მთელი ტერიტორია ადმინისტრაციულად, პოლიტიკურად და იურიდიულად ქართული სახელმწიფოს ნაწილი არ ყოფილიყოს.

შენიშვნა. დრო, როცა „აფხაზეთის სამეფო" შეიქმნა (VII-IIს), იყო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური ბატონობის და ქართველური სახელმწიფოებრივი აღარარსებობის ხანა. ფსიქოლოგიურად ეს ტერიტორია აღიქმებოდა, როგორც კოლხეთის, ხოლო შემდეგ ეგრისის (შდრ. მოსახლეობის თვითდასახლება მ-ეგრ-ელ-ი, მ-არგ-ალ-ი, რაც ნიშნავს „ეგრისელს") ნაწილი. 1925 წლის აფხაზეთის „კონსტიტუცია", რომელიც ბოლშევიკებმა სეპარატისტული სულისკვეთების შესაქმნელად შეთხზეს, კონსტიტუციად არ ქცეულა, იგი იყო მხოლოდ პროექტი. XVI-XVIII ს-ებში აფხაზეთი იყო სამთავრო დასავლეთი საქართველოს, იმერეთის მეფის ხელქვეით.

3. აფხაზეთის მოსახლეობაში XIX ს-ს შუა წლებისათვის, როცა რუსეთის მიერ 1801 წლიდან დაწყებულმა საქართველოს ანექსიამ საქართველოს ეს უკანასკნელი პროვინციაც მოიცვა, აფსუა („აფხაზი") იყო დაახლოვებით ნახევარი. ამ ნახევრის ნახევარი იყო გააფხაზებული (გააფსუებული) და ისლამზე მოქცეული ქართველი, რომელიც გაექცა უკიდურესად გამწვავებულ ფეოდალურ დამოკიდებულებას და ამ ნაბიჯით შეუერთდა დიდი ავტონომიურობის მქონე აფსუურ თემებს.

რუსეთის მიერ ჩატარებულმა მუსლიმანთა დეპორტაციამ, ე.წ. მუჰაჯირობამ (რომლის მექანიზმი იყო ისლამური პროპაგანდა ადმინისტრაციული ზეწოლის ფონზე, და არა სიკვდილის მუქარა, როგორც საბჭოთა დეპორტაციების დროს) ამ მოსახლეობას 1/3 მოაკლო, რუსეთმა აქ მასობრივად შემოასახლა რუსები და სომხები, განსაკუთრებით საბჭოთა წლებში. 1989 წლის აღწერით აფხაზეთის მოსახლეობაში იყო 46% ქართველი, 17% „აფხაზი" (აფსუა), გააფხაზებულ ქართველებთან ერთად, 14% რუსი და 16% სომეხი. დღეს ყველა ფორმატში და ყველა ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებზე აფსუა („აფხაზი") ხალხი, რომლის წარმომადგენლობა მითვისებული აქვს სეპარატისტულ მარიონეტულ ხელისუფლებას, ერთადერთია აღჭურვილი ვეტოს უფლებით (ანუ ერთი აფხაზის ხმა, პრინციპულად, ჩათვლილია უფრო დიდი წონისად, ვიდრე ერთი არააფხაზის ხმა ქართველის ჩათვლით). ეს მართებული არ არის. ყველა ხმის იურიდიული თანასწორობის, ანუ დემოკრატიის ფონზე, მორალურად ყველაზე მეტი უფლება აფხაზეთის სტატუსის გადაწყვეტაში, ჩვენის აზრით, ეკუთვნის ქართველ მოსახლეობას, როგორც ავტოხთონურს, შემდეგ – აფხაზურს (აფსუურს), რადგან საქართველოში შემოსვლის შემდეგ მან გაწყვიტა ფსიქოლოგიური კავშირი თავის მონათესავე ყაბარდოულ-ადიღეურ მოდგმასთან, მათ შორის აბაზებთანაც, რომელთა ენა აფსუურის („აფხაზურის") სავსებით იგივეობრივია, და ახალი ეროვნული თვითცნობიერება – აფსუა („აფხაზი") – შეიმუშავა. ჩვენ პატივს ვცემთ მის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მისი ეს უპირატესობა, ჩვენი აზრით, გრძელდება მხოლოდ მანამდე, სანამ იგი კვლავ თავს არ გააიგივებს ადიღეურ მოდგმასთან საერთოდ და ამ საფუძველზე საქართველოში, აფხაზეთში ადიღეების მასობრივ შემოსახლებას არ მოისურვებს. თუ ეს მოხდება (რისი ნიშნებიც არსებობს), მაშინ აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის მორალური უფლება აფხაზეთის **მიწაწყლის** მიმართ ყველა სხვა დიასპორისას გაუტოლდება.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ აფსუა („აფხაზ") ხალხს, რომელსაც საქართველოს გარეთ თავისი მიწაწყალი აღარ აქვს, აქვს ავტონომიის მორალური უფლება იქ, სადაც ცხოვრობს, მაგრამ არა იმის უფლება, რომ დაისაკუთროს ის ადგილები, სადაც არ ცხოვრობს, მით უმეტეს – მოიწადინოს საქართველოდან აფხაზეთის, როგორც მთელის, გამოყოფა.

ჩვენი დასკვნაა: ისტორიული, დემოგრაფიული, იურიდიული და მორალური ვითარება არ შეიცავს რაიმე საფუძველს იმისთვის, რომ აფსუა („აფხაზმა") ხალხმა აფხაზეთის მიწაწყალი თავის ექსკლუზიურ კუთვნილებად ცნოს და მისი საქართველოსგან სეცესია მოითხოვოს. საქართველოს სახელმწიფოს სრული უფლება აქვს თავისი იურისდიქცია განახორციელოს აფხაზეთის ტერიტორიაზე საამისოდ საჭირო ყველა მეთოდის, მათ შორის ძალის, გამოყენების ჩათვლით.

II. 1992-1993 წლის ომი აფხაზეთში და მისი წაგება საქართველოს მიერ არ ამცირებს საქართველოს კანონიერ უფლებამოსილებას აფხაზეთის ტერიტორიის მიმართ.

ხსენებული ომი იყო რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ და იგი გრძელდება, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის კანონსაწინააღმდეგო ოკუპაცია. იგი რუსეთმა მოაწყო თავისი ნების აღმასრულებლების – შევარდნაძის და არძინბას გუნდების – ხელით და მათ იგი საქართველოს დამარცხებით დაამთავრებინა. რუსეთი საქართველოს ეომა თავისი შეიარაღების, მოწინააღმდეგე მხარისათვის სადაზვერვო მონაცემების მიწოდების, თავის პარამილიტარული ჯგუფების, თავისი ავიაციის და არტილერიის, თავისი „დაქირავებულების" და თავისი **რეგულარული სამხედრო მოსამსახურეების** საშუალებით.

ამ ომის, რომელიც მიმდინარეობს, მოგება საქართველოსთვის შედგება ორი ელემენტისაგან:

ა) რუსეთის იურიდიული გაინიარაღებისაგან, ანუ რუსეთის საკმარისად სრული მხილებისაგან, როგორც აგრესორისა, რათა შეწყდეს რუსეთის საომარი ჩარევის მეტ-ნაკლებად ღია ფორმების გამოყენება.

ბ) რუსეთის ფარული ჩარევის მოგერიებისთვის (უვნებელყოფისთვის) საკმარისი ძალის შექმნა.

ორივე ამ მოქმედების შესრულება საქართველოს ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა.

III. ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს წმინდა მიზანია არა მხოლოდ აფხაზეთის, როგორც ტერიტორიის, დაბრუნება ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში, ანუ აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის სრული აღდგენა, არამედ აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის მობრუნებაც საქართველოს თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ამ კეთილშობილური საქმის შესრულების იდეოლოგია, რომელიც, ჩვენის აზრით, მისაღებია ორივე მხარისთვის, ჩვენ გვესახება შემდეგნაირად:

1. აფსუა („აფხაზი") ხალხის, როგორც ერის, გადარჩენა და მისი სრული თვითრეალიზაცია აწ და მომავალში უნდა განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტალური მიზანი. ეს შეუძლებელი იქნება („აფხაზი" ხალხი, როგორც ერი, წაიშლება 2-3 თაობის მანძილზე) იმ შემთხვევაში, თუ იგი იქნება რუსეთის ძალის არეალში (რადგან რუსეთის მხრიდან შეუძლებელია შერიგება მის ხელქვეით მცირე ერის სრულფასოვან არსებობასთან. იგი, თავისი არაკონკურენტუნარიანობის გამო, რასაც იწვევს მისი შედარებით ჩამორჩენილობა სოციალურ სფეროში, ასეთ ერს **არ ენდობა**). ეს შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ერი დაუცველად ინტეგრირებული იქნება დასავლეთის სისტემაში (რადგან მას გარდაუვლად მოელის „წაგებული ერის" looser state ბედი გლობალიზაციის ბუნებრივ პროცესში). იგი ეროვნულად გადარჩება მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ექნება გლობალიზაციის ბუნებრივ პირობებში მისი უარყოფითი მექანიზმებისაგან თავისი მოსახლეობის დაცვის **სახელმწიფო პოლიტიკა.** ასეთია მხოლოდ საქართველო (ჩრდილო კავკასიის ფედერალური სახელმწიფო ვერ შედგება, ხოლო თუ იგი შედგება, იგი აგებული იქნება იმგვარ ისლამისტურ პრინციპზე,რომელიც შეუთავსებადია აფსუა („აფხაზი") ხალხის სოციალურ ამოცანასთან).

2. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არის სამი ნების ტოლქმედი: ერთია აფსუა „(აფხაზი") მოსახლეობის ნება, რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც თავისი სამარადისო სახლობისა და თვითრეალიზაციის, მათ შორის – ეროვნულის ასპარეზი. მეორეა ქართველი მოსახლეობის ნება, რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც თავისი ამგვარივე თვითრეალიზაციის ასპარეზი. მესამეა ყველა მოსახლის ნება, რომ იცხოვროს კეთილდღეობის, მშვიდობისა და დემოკრატიის პირობებში. ეს სამი ნება ერთი არ არის, მაგრამ ურთიერთჰარმონიზებადია. აფსუა („აფხაზი") ხალხის ყოველმხრივი, მათ შორის, ეროვნული თვითრეალიზაცია ისტორიის წინაშე რეალურად იმას ნიშნავს (იმით მიიღწევა), რომ მას აქვს შესაძლებლობათა და უფლებათა სრული სპექტრი, დაწყებული დემოგრაფიული დაცვისაგან (იქ, სადაც იგი კომპაქტურად ცხოვრობს, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს ვეტოს უფლება ახალი პირის შემოსახლებაზე დედამიწის ნებისმიერი სხვა წერტილიდან, ისევე როგორც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ვეტოს უფლება ნებისმიერი პირის შემოსახლებაზე საქართველოს გარედან) და დამთავრებული ავტონომიური უფლებით, რომ უპირატესად აფსუური („აფხაზური") მოსახლეობის ადმინისტრაციულ ერთეულებში სპეციფიკური დეტალები შეიტანოს ყოველდღიური ცხოვრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

აფხაზეთის რესურსთა სიუხვე და მისი ნაკლებ დასახლებულობა განაპირობებს, ჩვენი გათვლით, მოსახლეობის უპრობლემო ურთიერთშეუზღუდავ ზრდასა და გამდიდრებას მრავალრიცხოვან თაობათა მანძილზე.

საქართველოს სახალხო ფრონტი — **ნ. ნათაძე**
საქართველოს სახალხო პარტია — **მ. გიორგაძე**
სამხედრო ორგანიზაცია „იმედის" ვეტერანთა კავშირი „იმედი", გადამდგარი პოლკოვნიკი — **დ. ხომასურიძე**
ეროვნულ-ქრისტიანული პარტია — **პ. ნაზარიშვილი**

1 მაისი, 2008 წელი

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა

რუსეთი საქართველოს კიდევ ერთხელ დაპყრობას ცდილობს. მას სამი მიზანი აქვს.

პირველი (სტრატეგიული) – მას უნდა საქართველოს ოკუპაცია ან მისი გადაქცევა გაუვალ ზონად (დანგრეული გზები, შშიერ ბრბოდ გადაქცეული ხალხი, ეპიდემიები, ეპიზოოტიები, სისხლიანი ქაოსი), რათა დასავლეთმა ვერ იმოძრაოს შუა აზიისკენ და მესამე მსოფლიო ომის ერთერთმა ძირითადმა ფრონტმა შავ ზღვაზე გაიაროს.

მეორე (სტრატეგიული) – მას უნდა დაპყრობილი საქართველო გამოიყენოს პლაცდარმად, რათა მომავალში მუდამ დარტყმის ქვეშ ჰყავდეს ახლო აღმოსავლეთის ნავთობიანი ქვეყნები.

მესამე (დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური) – მას უნდა შექმნას უქართველებო საქართველო, რათა მის ადგილას მოაწყოს მდიდარი სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, დასასვენებელი და სატურისტო რუსული პროვინცია.

დღეს საქართველო თავის ხელისუფალთა ჩვიდმეტწლიანი დანაშაულებრივი პრორუსული პოლიტიკის შედეგად თითქმის მოუმზადებელი ხვდება ამ შეტევას.

სახელდობრ

– ეკონომიკა დანგრეულია, მისი სტრატეგიული ობიექტები გაყიდულია, ხალხი გაღატაკებულია. ამიტომ საქართველოდან გასულია 1.5 მილიონი სული, ძირითადად ახალგაზრდები, ანუ ერი დაბერებულია შემადგენლობით და ენერგია დაკლებული აქვს.

– საქართველოში არ არსებობს (დანგრეულია) იარაღისა და ტყვია-წამლის წარმოება, რაც ქვეყნის ომისუნარიანობისათვის აუცილებელია.

– საქართველოში რეალურად არ არსებობს საყოველთაო სამხედრო სწავლება არც სკოლაში, არც საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარის სახით, რაც მოსახლეობას მისცემდა სამხედრო ცოდნასა და მხედრულ სულს.

– საქართველოში ყოველგვარ მინიმუმზე დაბლაა ჩამოყვანილი პროფესიული სამხედრო განათლების სისტემა (ისევე, როგორც განათლებისა საერთოდ), არ არსებობს სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, არ არსებობს გზათა სტრატეგიულად გააზრებული სისტემა, არ არსებობს ჰაერსაწინააღმდეგო თავდავის ერთიანი სისტემა და სასურსათო უსაფრთხოების ორგანიზებული სისტემა.

– ამ და სხვა ნაკლოვანებათა მიუხედავად და უკვე გაღებული დიდი მსხვერპლის მიუხედავად საქართველოს შეიარაღებული ძალების სულისკვეთებაც და მტრისგან ხელყოფილი მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთებაც ისე მაღალია, როგორც ქართველი ერის საუკეთესო ისტორიულ ტრადიციებს შეესაბამება. ეს იმას მეტყველებს, რომ ქართველი ერი საკმარისად ბრძოლისუნარიანია, რათა გაუმკლავდეს მოახლოებულ და უკვე დამდგარ კიდევ ერთ ისტორიულ საფრთხეს.

ქართველი ერი გაუძლებს რუსეთის დღეს მიმდინარე ყოვლად უღირს შემოტევას მიუხედავად იმისა, რომ რუსებს შეუდარებლად აღმატებული რიცხოვნება, შეიარაღება და სამხედრო გამოცდილება აქვთ. ამას განაპირობებს შემდეგი ორი მიზეზი.

»**პირველი** – ქართველმა ერმა დიდი ტრაგიკული გამოცდილებით იცის, რა არის რუსული იმპერიალიზმი და მასზე დამყარებული რუსული სახელმწიფო. ეს არის კლასიკური მაგალითი აღმოსავლეთის დესპოტიისა, რომელიც დღესაც შედარებით უკან არის და მომავალშიც შედარებით უკან იქნება მსოფლიოს დიდ დემოკრატიულ ქვეყნებზე, ამიტომ თავის გავლენის ზონაში მყოფ მცირე ერთა მიმართ სხვა პოლიტიკა არა აქვს გარდა დემოგრაფიული მოსპობისა (როგორც ჩრდილო კავკასიის რამდენიმე ხალხი მოსპო), გადასახლებისა (როგორც ჯერ კიდევ 1943-1944 წლწბში მოახდინა) და ძალადობითი ასიმილაციისა. ქართველ ერში არიან ნებისყოფაგატეხილი და მონური სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც მზად არიან ცხოვრების ბოლომდე ეროვნული და სოციალური ყმობის მდგომარეობაში დარჩნენ. მაგრამ ცოტაა ისეთი, ვინც თანახმაა თავისი შთამომავლობა დღევანდელი თავისუფალი მსოფლიოს ფონზე ასეთი ბედისათვის გაიმეტოს.

მეორე – არც დღეს, არც როდისმე მომავალში რუსეთი არ არის და აღარც იქნება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს თავისი ნება მოახვიოს მსოფლიოს. მსოფლიო დაინტერესებულია, რომ რუსეთის ექსპანსია სამხრეთისკენ ამიერკავკასიის პლაცდარმად გამოყენებით აღიკვეთოს და რომ განვითარებულ დემოკრატიულ დასავლეთს ამიერკავკასიის გავლით თავისუფალი გზა ჰქონდეს შუა აზიისკენ. ამიტომ რუსეთს დანარჩენი მსოფლიო არ მისცემს იმის საშუალებას, რომ ამიერკავკასიაში ისევ დამკვიდრდეს. შესაბამისად, რუსეთისთვის ხელის აღებინება ამიერკავკასიის მეორედ დასაკუთრებაზე გარდუვალია. მიუხედავად თქმულისა, არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ დასავლეთის მოქმედება რუსეთის დღევანდელი იმპერიალისტური ავანტურის აღსაკვეთად ყოველთვის ისე დაიგეგმება, რომ რუსული შეტევის მოგერიება და ქართველი ერის დაცვა დროულად განხორციელდეს. ამიტომ ქართველი ერი ვალდებულია დაცვის საკუთარი მექანიზმები შექმნას. საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის ამოცანაა ყოველივე იმის შესრულება, რასაც ხელისუფლება უნდა ასრულებდეს, სახელდობრ, რუსულ შემოტევასთან და ოკუპაციასთან ბრძოლის ორგანიზება და ამ ბრძოლის გაგრძელება მანამდე, სანამ რუსეთის უკანასკნელი ფორმიანი მოქალაქე არ დატოვებს საქართველოს მიწა-წყალს.

წინააღმდეგობის მოძრაობა – მოიპოვებს და გააანალიზებს ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხოური (რუსული) მოქმედების შესახებ, აგრეთვე, თუ ხელისუფლება შედრკა, ხელისუფლების შეცდომების შესახებ. იგი ამ შეცდომებს გამოააშკარებს თვით ხელისუფლებისა და საზოგადოების წინაშე.

– სათანადო არგუმენტაციით დაიცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს უცხო ძალების ფიზიკური და იურიდიული შემოტევებისგან.

– მოამზადებს კადრებს შესაბამისი ინფორმირებულობით და შესაბამისი მოქალაქეობრივი ცნობიერებით საქართველოს პოლიტიკის ყველა დარგისათვის.

– მიღებული მეთოდების გამოყენებით შექმნის სიტუაციას, როცა ოკუპანტს ფეხქვეშ მიწა ეწვის.

ძირითადი სასიცოცხლო სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელთათვისაც ბრძოლა საჭიროა:

1. შეწყდეს რუსეთის შეტევა საქართველოზე, საქართველოდან გავიდეს რუსეთის ყველა შეიარაღებული უნიფორმიანი მოქალაქე.

2. აღდგეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. პრინციპულად აღიკვეთოს საქართველოს შინაგანი პრობლემების ინტერნაციონალიზაცია ყველა ასპექტით გარდა შემდეგი ორისა:

– მისი განხილვისა, როგორც რუსეთის აგრესიისა საქართველოს წინააღმდეგ.

– მისი განხილვისა ადამიანის უფლებების, მათ შორის ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების, და ომის წარმოების წესთა დაცვის თვალსაზრისით.

წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიცია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციისაგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მექანიზმების საკითხში განსხვავდება შემდეგით:

1. სახელის „სამხრეთ ოსეთის“ შემოღება, რასაც ხელისუფლება აპირებს, ნიშნავს იმის განცხადებასა და დაკანონებას, რომ ცხინვალის რეგიონის ტერიტორია არის მეზობელი ქვეყნის, სახელდობრ, ოსეთის (ალანიის) ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი, და კაცობრიობის წინაშე ორი „ოსეთის“ – ერთი ნამდვილის და მეორე ყალბის – „გაერთიანების“ ამოცანის დაყენებას, რაც ისტორიულ სიყალბეს ეყრდნობა. „სამხრეთ ოსეთი“, როგორც გეოგრაფიული სახელი, შერქმეულია და დაკანონებულია რუსი კომუნისტი ოკუპანტების მიერ 1922 წლის აპრილში. ამ ხელოვნურ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს არც ერთი საათი არ უარსებია ხსენებულ ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დგომის გარეშე. იგი გაუქმებულია საქართველოს პირველივე კანონიერი (არჩეული) საკანონმდებლო ორგანოს (საქართველოს უზენაესი საბჭოს) მიერ 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით. მისი კვლავ შექმნა ანუ იმის დაკანონება პრეცედენტად, რომ ქვეყნის ტერიტორიის ერთ ნაწილში არსებული დემოგრაფიული დინამიკა (ვინ როგორ მრავლდება მიგრაციის შედეგად) განსაზღვრავს მის იურიდიულ და პოლიტიკურ სტატუსს, იქნებოდა მთელ მსოფლიოში ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკური შიშის სტიმულირება ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და, ამგვარად, ეთნიკური წმენდისათვის და გენოციდისათვის ცდუნება მსოფლიოს მრავალ რეგიონში ევროპის ჩათვლით.

ოსი მოსახლეობის საკუთარ სპეციფიკურ ინტერესთა (მათ შორის ეროვნულთა) სრული რეალიზაცია შესაძლებელია დემოკრატიული თვითმართველობის მექანიზმთა განვითარებით და პარალელურად (ოსთა სურვილის შემთხვევაში) ოსური ერთობლივი ორგანიზაციის (ორგანიზაციების) ფუნქციონირებით, რასაც ის უპირატესობა აქვს, რომ მოიცავს საქართველოში მცხოვრებ 160 000 ოსს და არა მხოლოდ იმ 60 000-ს, რომელიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს 30 000 მკვიდრ ქართველთან ერთად.

2. ხელისუფლება მდუმარედ ეთანხმება რუსეთს და მის მიერ მართულ სეპარატისტებს – აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და მასობრივი მკვლელობის ჩამდენებს – იმაში, რომ აფხაზეთის ნება იგივეა, რაც მისი მოსახლეობის აფხაზური ნაწილის (17%) ნება. იგი დუმს იმაზე, რომ ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობაა, ანუ ის მოსახლეობაა, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელ ტყეთა და საძოვართა მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში და როგორც მაშინ, ისე ახლა, უწყვეტი ეროვნული თვითცნობიერება აქვს; დუმს იმაზეც, რომ მოსახლეობას, რომელიც თავისთავს „აფსუას“ უწოდებს, ქართულად და ქართულის მიყოლით სხვა ენებზეც „აფხაზი“ ეწოდება იმიტომ, რომ აფხაზეთად წოდებულ პროვინციაშია დასახლებული (XVI-XVII ს.ს) და არა პირიქით. შესაბამისად, ხელისუფლება არ აცხადებს და არგუმენტაციაში არ იყენებს ცხად ჭეშმარიტებას, რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის მხოლოდ მისი აფსუური (აფხაზური) მოსახლეობის ნება, არამედ ტოლქმედია სამი ნებისა:

– აფხაზი მოსახლეობის ნებისა, რომ განიხილოს აფხაზეთი, როგორც თავისი მარადიული ეროვნული თვითრეალიზაციის ადგილი,

– ქართველი მოსახლეობის ნებისა, რომ განიხილოს აფხაზეთი, როგორც თავისი მარადიული ეროვნული თვითრეალიზაციის ადგილი,

– ყველა მოსახლის ნებისა, რომ იცხოვროს უსაფრთხოდ და კეთილდღიანად თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის პირობებში.

ეს სამი ნება ერთიდაიგივე არ არის, მაგრამ ჰარმონიზებადია, რასაც მხოლოდ რუსეთის ფაქტორი უშლის.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ორ საკითხზე ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის პოზიცია, რომელიც ჩვენს ზემოფორმირებულ პოზიციას არ ემთხვევა, არ ყოფილა მათ საარჩევნო პროგრამაში, ამგვარად, ამომრჩეველთა მანდატი არ გააჩნია. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, გულითადი მადლობა გადავუხადოთ ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის საფრანგეთის ხალხსა და ხელისუფლებას, რომელიც პრინციპულად და რეალისტურად იცავს მორალური სიმართლისა და იურიდიული სიზუსტის ინტერესებს საქართველოს დღევანდელი მძიმე განსაცდელის ჟამს.

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით

მამუკა გიორგაძე
ალექსანდრე კაკულია
პაატა კოღუაშვილი
ნოდარ ნათაძე

12 აგვისტო 2008 წ.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის, საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის და რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეთა კავშირის პოზიცია ამერიკულ-ქართული ორმხრივი სათავდაცვო თანამშრომლობის თაობაზე

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მიმართულების, მაშასადამე – ჭეშმარიტად დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წრეში, – მაგრამ, სამწუხაროდ, არსად მის გარეთ, – დიდი ხანია მომწიფებულია აზრი, რომ საქართველოს დაცვისათვის მუდამ მოსალოდნელი მორიგი რუსული აგრესიისაგან მიზანშეწონილია არა მხოლოდ საქართველოს წევრობა ნატო-ში, არამედ, მის პარალელურად და დროებით, ანუ ნატოში საქართველოს შესვლამდე, აგრეთვე ორმხრივი სათავდაცვო ხელშეკრულების არსებობაც საქართველოსა და ნატო-ს, როგორც მთლიანს, შორის და, ასევე, ორმხრივი სათავდაცვო ხელშეკრულებების არსებობაც საქართველოსა და დასავლეთის ძირითად დემოკრატიულ ქვეყნებს შორის. სათანადო პუბლიკაცია არაერთხელ მოგვიხდენია პრესაში, ყველაზე ვრცლად – გაზეთში „საქართველო“. ახლაც ამ აზრზე ვდგავართ. საქართველო, როგორც ტიპოლოგიურად დასავლური, ანუ ჭეშმარიტად ფეოდალური (და არა დესპოტური) ისტორიის მქონე, ქრისტიანული და თავის ყოფით კულტურაში დემოკრატიული მენტალიტეტის მატარებელი, მაგრამ ამავე დროს აღმოსავლეთში მდებარე ქვეყანა, დღეს და განჭვრეტად მომავალში მოწოდებულია, რომ იყოს თანამედროვე დემოკრატიისა და თავისუფლების მყარი საყრდენი აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვარზე, - რომ მუდამ ღია გზა ჰქონდეს დასავლური დემოკრატიის მისწრაფებისათვის ცენტრალური აზიისკენ და ცენტრალური აზიის მისწრაფებისათვის დასავლური დემოკრატიისკენ. ჩვენი ქვეყნის დღესდღეობით ყველაზე აგრესიული მეზობლის – რუსეთის – გეოსტრატეგიული მისწრაფება, პირიქით, არის ის, რომ საქართველო ვერშემდგარ და ამ ფუნქციის ვერშემსრულებელ ქვეყნად გახადოს, იგი ქაოსით, ომითა და ეპიდემიებით მოცულ ტერიტორიად აქციოს, რათა დასავლეთს გადაუკეტოს გზა ცენტრალური აზიისკენ და ცენტრალურ აზიას – დასავლეთისკენ. ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული წვლილი თანამედროვე კაცობრიობის მიერ თავისი ძირითადი პროგრესული ღირებულებების დაცვაში – თავისუფლებისაში, თანასწორობისაში, სიტყვისა და აზრის შეუზღუდველობისაში და ა.შ. – ჩვენ, კულტურული სფეროს პარალელურად, წარმოგვიდგენია, როგორც აქტიური მონაწილეობა კავკასიის დაცვაში ხსენებული აგრესიისაგან და სხვა შესაძლო აგრესიებისაგან მომავალში.

ჩვენ გვინდა,ნათელი იყოს ყველა გულწრფელ ქართველთათვის, რომელთა ერთი ნაწილი დღეს საქართველოსათვის ოპტიმალურ პოლიტიკად ნეიტრალიტეტს (და, ამ ტერმინის პოლიტიკური აზრის შენიღბვით, „ბიუმხრობლობას“) რაცხს, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი დღეს და განჭვრეტად მომავალში მიუწვდომელი ფუფუნებაა. ნეიტრალიტეტის აუცილებელი პირობაა ის, რომ პოტენციური აგრესორი (აგრესორები) აღიარებდეს ამ ნეიტრალიტეტს, და რომ მის სიტყვას, რომლითაც მან ეს ნეიტრალიტეტი აღიარა, სიმყარე ჰქონდეს. დღეს რუსეთის სიტყვაზე დაყრდნობა, რომ იგი საქართველოს ნეიტრალიტეტს აღიარებს, იგივეა, რაც მეზობელი დათვისათვის ან მგლისათვის თქმა, „არ ვიჭმევიო“, და ამ ინფორმირების იმედით მშვიდად დაძინება მისი ბუნაგის გვერდით. ნეიტრალიტეტისაკენ მოწოდებას დღეს, პრაქტიკულად, მხოლოდ იმ შედეგების მოტანა ძალუძს, რომ ამით დასუსტდება ერის როგორც იურიდიული, ისე ფსიქოლოგიური მზაობა აგრესორის მოგერიებისათვის. რუსეთის დღევანდელი აგრესია კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნის მიმართ თავისი აგრესიული დამოკიდებულების შეცვლა არც სურს, არც შეუძლია: მის მიერ საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ შექმნა ის მდგომარეობა, რომ საქართველოს თავისი თავისა და თავის შვილთა მომავლის დაცვა სხვაგვარად აღარ შეუძლია, თუ არ რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთხელ და სამუდამოდ გაძევებით ჩვენი მიწა-წყლიდან, რასაც იგი, რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ შეძლებს. დასავლეთთან მჭიდრო და მყარი სათავდაცვო ალიანსი, ამგვარად, ჩვენთვის ორმაგი სასიცოცხლო ინტერესია.

ჩვენ გვაოცებს – და არასასიამოვნოდ გვაოცებს – ჩვენი კოლეგებისა და ნაწილობრივ თანამებრძოლების (კერძოდ, თანამებრძოლებისა საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტთა განვითარების საქმეში) – „ახლებისა“ (დ. გამყრელიძე) და „რესპუბლიკელების“ (დ. უსუფაშვილი) – განცხადება ტელევიზიით, რომ საქართველოსა და შეერთებული შტატების სათავდაცვო თანამშრომლობამ შესაძლებელია რუსეთი „გააღიზიანოს“ და მან ამის გამო გააძლიეროს თავისი შემოტევა საქართველოზე. ხსენებულ ბატონებს უნდა ავუხსნათ, რომ რუსეთი, ისევე როგორც ყველა სხვა ჩამოყალიბებული სახელმწიფო, მოქმედებს არა „გაღიზიანებით“ ან სხვა რამ ემოციის ზემოქმედებით, არამედ კონკრეტული სტრატეგიული გეგმით, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოსა და ქართველი ერის არსებობასთან შეუთავსებადია და რომელზე ხელის აღებასაც აგრესორს სხვა ვერაფერი აიძულებს მყარი, თანმიმდევრული და ჯეროვნად გათვლილი რეალური წინააღმდეგობის გარდა. ამიტომ დღეს ჩვენი ქვეყნის პირველი ამოცანა და ლოზუნგი: არც ერთი შეიარაღებული და უნიფორმიანი რუსი საქართველოს წმინდა მიწაზე! ამ მიზნის მიღწევა ჩვენი, დღეს მცხოვრებელი თაობების, შეუვალი მოვალეობაა შთამომავლობის წინაშე.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, საზოგადოებას მივმართოთ შემდეგი გაფრთხილებით. რუსეთმა თავისი დღეს მიმდინარე აგრესიის პროცესში სხვა პრობლემათა შორის ერთი დიდი სირთულეც შეიქმნა: . დღევანდელი მდგომარეობა, როცა რუსეთმა აღიარა ორი კრიმინალური რეჟიმი საქართველოს მიწა-წყალზე, ხოლო მსოფლიომ არ აღიარა და არც ოდესმე აღიარებს, შეუთავსებელია მის პრესტიჟთან, ამიტომ რუსეთი ეცდება (და უკვე ცდილობს) ამ ჩიხიდან გამოსვლას იმით, რომ,,დამოუკიდებელი“ აფხაზეთისაგან, „დამოუკიდებელი“ „ოსეთისაგან“ და მათსავით (მაგრამ არა მათზე მეტად) დამოუკიდებელი საქართველოსაგან შეიქმნას კონფედერაციული, ანუ სახელშეკრულებო ყალბი სახელმწიფო, რომელიც ერთერთი მონაწილის განცხადების შემთხვევაში კვლავ იშლება, და ამ სახელმწიფოში წესრიგის შეიარაღებულ „გარანტად“ რუსეთი დადგეს (რაც რუსეთს უნდოდა მოლდოვასა და მისი განუყოფელი ნაწილის - „დნეპრისპირეთის“ კონფედერაციული გაერთიანების გზით, მაგრამ ვერ შეძლო ხალხის წინააღმდეგობის გამო ამ რამდენიმე წლის წინ). ანალოგიურად, რუსეთი გეგმავს ამგვარი „კონფედერაციის“ სუბიექტად საქართველოს სხვა ნაწილთა ჩამოყალიბებასაც. რუსეთს ვერ ექნება იმედი, რომ ეს ბრძანებისათვის განკუთვნილი გეგმა განახორციელოს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ორგული და რუსეთის მსახური არ იქნება, ანუ არ იქნება, რეალურად, რუსული აღმინისტრაცია საქართველოში. მაგრამ საქართველოს ამგვარი ხელისუფლება დღეს ჰყავს. ამიტომ ჩვენი მოწოდებაა: ვიყოთ ფხიზლად!

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი,
საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა
რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეთა კავშირი

18.12.2008

საქართველოს სახალხო ფრონტის 2008 წლის წლიური საფინანსო დეკლარაცია

2008 წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ჰქონია არავითარი სახის ფინანსური შემოსავალი და შესაბამისად, გასავალი, არ აქვს თანხები საბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია არ ფლობს საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს და სატრანსპორტო საშუალებებს.

2008 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს სახალხო ფრონტის
ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
ნოდარ ნათაძე
28 იანვარი, 2009 წ.

აუდიტორული დასკვნა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტის“ 2008 წლის ფინანსურ საქმიანობაზე

დამოუკიდებელმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა (სერტიფიკატი №4/231, გაცემული 2006 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოსკოლეგიის მიერ) მოვახდინე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტის“ (მისამართი: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №5) 2008 წელს შემოსავლების და ხარჯების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 14) თანახმად პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელობა, ხოლო მე ვიღებ მთლიან პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოგვიდგინა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „საქართველოს სახალხო ფრონტმა“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

ვადასტურებ, რომ საანგარიშგებო პერიოდში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტს“ 2008 წელს შემოსავლები არ მიუღია, ამასთან, ფინანსური ანგარიშგება, რომელიც თან ერთვის აუდიტორულ დასკვნას, ყველა ასპექტში უტყუარად და რეალურად ასახავს მათ ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე.

ლ. ტაველურაშვილი

საქართველოს ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ძალთა 2008 წლის 12 აგვისტოს

განცხადება

საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები გამოვთქვამთ უკიდურეს აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ბოროტი შეიარაღებული აგრესიის გამო. მივმართავთ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზციას, გამოუცხადონ სოლიდარობა და აღმოუჩინონ აქტიური, დინამიური და ქმედითი თანადგომა საქართველოს,. დაუყონებლივ დაესვას წერტილი რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო ინტერვენციას.

სოლიდარობას ვუცხადებთ ქართველ მეომრებს და ქედმოდრეკით პატივს მივაგებთ სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის თავდადებული და ბრძოლებში დაცემული ქართველი გმირების წმინდა სახელებსა და ნათელ ხსოვნას!

ვგმობთ, რუსეთის იმპერიის აგრესიასთან ერთად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უგუნურ კაპიტულანტურ პოლიტიკას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლებამ არ უზრუნველყო რუსეთთან მიმართებაში თანმიმდევრული, მსოფლიო თანამეგობრობისათვის გასაგები პრინციპული სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება და მისთვის მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნა, გახლიჩა ეროვნული ერთიანობა, სამხედრო მოქმედებებში ჩაერთო საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიკაში რუსეთის აგრესორად მხილების გარეშე და აგრესორი ჯარებისათვის სამშვიდობო მანდატის გაუუქმებლობისა და მათი საქართველოდან გაუყვანლობის პირობებში.

მოვითხოვთ, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი და აფხაზეთი გამოცხადდეს რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად და ყველა საერთაშორისო ინსტანციაში მთელი პრინციპულობით და კატეგორიულობით დაისვას რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სრული, უპირობო და დაუყოვნებელი დეოკუპაციის საკითხი.

სამხედრო აგრესიის შეწყვეტის შემდგომ ჩვენ დავაყენებთ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს, რომლის არაკომპეტენტურობამ და არათანმიმდევრულმა, უპრინციპო პოლიტიკამ საქართველოს მოუტანა მძიმე სამხედრო დამარცხება მრავალრიცხოვანი მსხვერპლითა და დამანგრეველი შედეგებით.

მოვუწოდებთ ქართველ ერს და სრულიად საქართველოს ერთიანობისაკენ, სიმტკიცისკენ, შემართებისა და გამბედაობისკენ ეროვნული თავისუფლებისათვის წმინდათაწმინდა ბრძოლაში!

საქართველოს სახალხო პარტია — **მამუკა გიორგაძე**
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — **ირაკლი წერეთელი**
სახალხო ფრონტი — **ნოდარ ნათაძე**
ი.ჭავჭავაძის საზოგადოება — **თამარ ჩხეიძე**

თენგიზ დიხამინჯია
თემურ ქორიძე
გელა ჩორგოლაშვილი

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა ქვეყანას სიფხიზლისკენ მოუწოდებს

1. რუსეთის დღევანდელი აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ მე-3 მსოფლიო ომის პირველი ეპიზოდია: რუსეთი ცდილობს, დასავლურ დემოკრატიას გადაუკეტოს ცენტრალური აზიის გზა, მოიპოვოს პლაცდარმი სამხრეთისკენ შეტევისათვის, მოიპოვოს პლაცდარმი ირანში ჩარევისათვის და გააზაროს თავისი რიგითი მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილის გული, რომელთაც, ხანგრძლივი პროპაგანდის შედეგად, ქართველი ხალხი ზოოლოგიურად სძულთ. თუ ამ ეპიზოდში რუსეთმა გაიმარჯვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური აზია დიდი ხნით დაემორჩილება მისი ძალის ავტორიტეტს და შავი ზღვიდან აღმოსავლეთით მდებარე მთელი გეოგრაფიული სივრცე – ე.წ. „ხმელეთის გული“ - აღმოჩნდება დასავლეთისადმი (საქართველოს ჩათვლით) დაპირისპირებული ბანაკის ხელში. მაშინ მესამე „ცხელი“ მსოფლიო ომი, პრაქტიკულად, გარდაუვალია ერთიორი ათწლეულის ფარგლებში ან ახლავე. თუ, პირიქით, დღევანდელ კონფლიქტში რუსეთი დამარცხდება – თუ მოხდება მისი იძულებით უკან დახევა საქართველოს დანაწევრებისა და კავკასიონის სამხრეთით სტრატეგიული ბაზის მოპოვების პოზიციიდან, – მაშინ, პირიქით, დასავლეთის ამ გამარჯვებით გამხნევებული ცენტრალური აზია ერთსულოვნად ჩადგება დღესდღეისობით დემოკრატიისა და განვითარების დამცველი დასავლელი ქვეყნების რიგებში. სავარაუდოა, რომ მაშინ მესამე მსოფლიო ომი აღარ მოხდება. იმის წყალობით, რომ დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები დღეს მყარად დგანან რუსეთის ამ შემოტევისაგან საქართველოს დაცვის პოზიციაზე, მოსალოდნელია, რომ მოვლენები სწორედ ამ გზით განვითარდება: რუსეთის ავანტურა მარცხით დამთავრდება.

2. იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება 1992 წლის დამდეგიდან დღემდე ეწეოდა მიზანმიმართულად პრორუსულ პოლიტიკას, რომლის გამჭოლი მიზანი იყო საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევა (ნგრევა რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების“ სახელით, რათა ამით დასავლეთისთვის სახელი გაეტეხათ ქართველი ხალხის თვალში), ზემოხსენებულ მსოფლიო პროცესში დღეს საქართველო მონაწილეობს მხოლოდ როგორც დაზარალებული, როგორც დაუძლურებული და გაღატაკებული ტერიტორია, როგორც მხოლოდ ობიექტი პოლიტიკისა, მაგრამ არა როგორც ნებისა და ძალის მქონე მოქმედი ქვეყანა, როგორც სუბიექტი. ამ პოლიტიკით საქართველოსთვის მიყენებული ზარალი აუარაცხელია, იგი ისტორიული მასშტაბის ზარალია და არა – დროებითი და წარმავალი. მიუხედავად ამისა, საქართველოს გამოყვანა დღევანდელი მდგომარეობიდან შესაძლებელია და წინამდებარე დოკუმენტით ჩვენ მიზნად ვისახავთ, საზოგადოებას გავუთვალისწინოთ ის ძირითადი ნაბიჯები (დასავლეთის ამჟამად, როგორც ჩანს, უკვე სტაბილური პოლიტიკური და სტრატეგიული დახმარების ფონზე, რომელიც საქართველოს ეშნება), რომელთა გადადგმა საქართველოს ხელისუფლებას ჰმართებს. ამ ჩამონათვალს წავუმძღვარებთ საქართველოს ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ (რუსეთისაგან ნაკარნახევ) იმ ნაბიჯთა არასრულ ჩამონათვალს, რომელთა არგამეორება დღევანდელი ქართული პოლიტიკისათვის ყველაზე აქტუალურ იმპერატივთა რიცხვს ეკუთვნის.

– საქართველოს აქამდე არგამოყვანა დსთ-დან; რუსების სამშვიდობო მანდატის არგაუქმება; გაეროსთვის, რუსეთისთვის ნოტის სახით და ჰაგის საერთაშორისო სასამართლოსათვის არმიმართვა იმის თაობაზე, რომ რუსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ (შევნიშნავთ: რუსი მემშვიდობეების არარუსებით ჩანაცვლების შემთხვევაში გალში დაბრუნებული იქნებოდა მოსახლეობა მთლიანად, დანარჩენ აფხაზეთში დაბრუნებული იქნებოდა თითქმის მთლიანად, მოწინააღმდეგე ვერ დაიკავებდა კოდორის ხეობას და სეპარატისტებს ვერ ეყოლებოდათ უმრავლესობა აფხაზეთის დღევანდელ მოსახლეობაში).

– საქართველოს ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, არაფრით არ შეზღუდა რუსეთის აგენტურა საქართველოში, პირიქით, რუსეთს პოზიციები გაუმაგრა მისთვის საქართველოს ეკონომიკურად და სხვა მხრივ სტრატეგიულ ობიექტთა მიყიდვით.

– საქართველოს ხელისუფლებამ ხელოვნურად დაანგრია საქართველოს ეკონომიკა (რითაც მას მოუსპო სასურსათო, სამხედრო, სამრეწველო და მრავალი სხვა სახის უსაფრთხოება), შემოიღო საქართველოს საარსებო ბაზის – მიწის გაყიდვა უცხოელებზე (საქართველოს მოსახლეობის სრული კონკურენტუნარობის პირობებში), გაუხსნა კარები უკონტროლო იმიგრაციას, დაანგრია განათლებისა და მეცნიერების სისტემა, მოახდინა მასობრივი ემიგრაციის სტიმულირება ქართველი ერის დაახლოებით 20%-ის მასშტაბით.

– საქართველოს ხელისუფლებამ (სავარაუდოა, რუსეთის მითითებით. სხვა მოტივი ამ დანაშაულისთვის არ ჩანს) დაუმალა მსოფლიოს და მის საზოგადოებრივ აზრს, რომ არც აფხაზეთში, არც ცხინვალის რეგიონში არ არსებობს არც ისტორიული, არც დემოგრაფიული, არც იურიდიული, არც პოლიტიკური და არც ფსიქოლოგიური ვითარება, რომელიც საფუძველს შექმნიდა ამ ტერიტორიების საქართველოდან გამოყოფისათვის ან მათში ავტონომიურობის დამატებითი ხარისხის შემოღებისათვის, აგრეთვე არ გამოიყენა არცერთ საერთაშორისო განხილვაში ის არგუმენტი, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტების არცერთ მოთხოვნას საქართველოს სახელმწიფოს მიმართ არ აქვს არანაირი საფუძველი ადამიანის უფლებათა მაფიქსირებელი არც ერთი საერთაშორისო კონვენციის ასოსა და სულისკვეთების მიხედვით.

– საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დაშალა კოდორის ხეობის დამცველი ერთადერთი რეალური ძალა – ბატალიონი „მონადირე“ - და იმის ნაცვლად, რომ ხეობა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვით გაემაგრებინა, იგი უბრძოლველად დათმო.

3. იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს შედეგიანი მონაწილეობა რუსეთის ფართოდ დაგეგმილი საერთაშორისო აგრესიის აღკვეთაში, რაც დღეს მთელი კაცობრიობის წინაშე ამოცანად დგას, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აუცილებელია

ა. არ მოახდინოს არავითარი ადგილობრივი თუ ზოგადი კაპიტულაცია, არ დათმოს რუსეთის სასარგებლოდ არც ერთი თავისი უფლება და პრივილეგია, არ იხმაროს არცერთი გამოთქმა, რომლის ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს, როგორც რუსეთისათვის მისი კრიმინალური ტვირთის შემამსუბუქებლისა. მაღალგანვითარებული დემოკრატიული კაცობრიობის დღეს მიმდინარე ბრძოლას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ვერაფერი შეაფერხებს, გარდა დღევანდელი დაზარალებულის – საქართველოს – ხელისუფლების (შესაძლო) უთავმოყვარეობისა, უპასუხისმგებლობისა და რუსეთისადმი პირადი აგენტურული მორჩილებისა, რომელიც გამოვლინდება სიტყვიერი ან დოკუმენტური გამოთქმის ან დუმილის ფორმით.

ბ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას რუსეთზე საქართველოს დამაქვემდებარებელი და საქართველოში რუსეთისათვის პოზიციების მიმცემი ყველა ძაფი, დიპლომატიური ურთიერთობის, სატრანსპორტო ტრანზიტის, საქართველოში რუსეთის მოქალაქეთა უკონტროლო მიმოსვლის, საქართველოში რუსული ფირმების საქმიანობის და ორგანიზაციულ კავშირთა ყველა სხვა ფორმების ჩათვლით.

გ. საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს უფლება, დაეთანხმოს შემომტევი მტრის – რუსეთის – არცერთი შეიარაღებული უნიფორმიანი მოქალაქის მყოფობას საქართველოს მიწაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით.

დ. საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს უფლება, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და მათი მომყოლი ოსური და კაზაკური ბანდების მიერ, აგრეთვე აფხაზი გენოციდისტების მიერ მოსახლეობის მიმართ ჩადენილი არცერთი დანაშაულის პატიებისა. მან სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოს და თავის მოთხოვნას ბოლომდე მიჰყვეს.

4. სადღეისოდ არსებულ კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების ერთგულების თაობაზე ეჭვის არსებობის პირობებში, აგრეთვე პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებში დაშვებული ტოტალური გაყალბების პირობებში საჭიროდ ვრაცხთ, მკაფიოდ და ცალსახად იყოს განსაზღვრული ჩვენი პოზიცია ამ ხელისუფლების (პარლამენტისა და პრეზიდენტის) მიმართ. იგი შემდეგია: ჩვენ ვცნობთ არსებულ ხელისუფლებას დე ფაქტო, ანუ უფლებამოსილებათა იმ მინიმუმის ფარგლებში, რომელიც აუცილებელია მოქალაქეობრივი წესრიგისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის, ომის წარმოების ჩათვლით. მაგრამ ჩვენ არ ვცნობთ მას დე იურე, ანუ არ ვთვლით ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის სავალდებულოდ დღევანდელი და წინა (შევარდნაძის) ხელისუფლების მიერ დადებულ იმგვარ ხელშეკრულებებს და მათ მიერ ნაკისრ იმგვარ ვალდებულებებს, რომლებიც შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან. ჩვენი ამ პოზიციის საფუძველია ის, რომ ხელისუფლება არჩეულია ტოტალური გაყალბებებით, ერთის მხრივ, და ის, რომ არსებობს ეჭვი სახელმწიფოსადმი მისი ერთგულების თაობაზე, მეორე მხრივ. ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ თქმული არანაირად არ ამცირებს უცხო ძალის (რუსეთის) იმ პრეტენზიის აგრესიულობისა და თავხედობის ხარისხს, რომ ჩაერიოს საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურისა და პირადი შემადგენლობის საკითხებში.

საქართველოსთვის სამშობლო და პირადი თავისუფლება ტრადიციულად ერთია, შესაბამისად, პატრიოტობა და დემოკრატიაც ერთია.

არ დავუშვებთ შეიარაღებული რუსების დგომას ჩვენ ტერიტორიაზე აფხაზეთისა და ცხინვალის ჩათვლით.

არ დავუშვებთ საქართველოში რუსეთის პრივილეგიების დარჩენის არც ერთ ფორმას.

საქართველოს ეროვნული
წინააღმდეგობის
მოძრაობის სახელით
ბახტაძე დ.
ბერიანიძე ტ.
გიორგაძე მ.
დუნდუა რ.
კაკულია ა.
კოღუაშვილი პ.
ნათაძე ნ.
ქორიძე თ.
27/08/2008

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის აზრი რუსეთის პასუხისმგებლობაზე

1. საქართველოს პარლამენტის ა.წ. 29 აგვისტოს დადგენილებაში გამოტოვებულია ის არსებითი კონსტანტაცია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (მისი ტერმინოლოგიით – „სამხრეთ ოსეთის“) დამოუკიდებლობის ცნობის აქტი (2008) ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სახელმწიფოთა საზღვრების შეულახობის პრინციპს, რაც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საყრდენია, არამედ აგრეთვე ე.წ. ჰუმანიტარული სამართლის, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სისტემის, ასოსა და სულისკვეთებასაც.

სახელდობრ:

– ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობად, რომელსაც ჰუმანიტარული სამართალი (ადამიანის უფლებათა დაცვის ხსენებული სისტემა) იცავს, როგორც შესაბამის უფლებათა მატარებელ მთლიან ერთეულს, და არა მხოლოდ როგორც ინდივიდთა სიმრავლეს, მიიჩნევა ადგილობრივი უმცირესობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით მოხვედრილია მისგან განსხვავებული ეთნიკური სახელის მატარებელ სახელმწიფოში და უმცირესობას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს ე.წ. სატიტულო უმრავლესობასთან შედარებით. ამგვარი ეთნოსისთვის ხსენებული სისტემა მოითხოვს ეროვნული (ეთნიკური) თვითგანსაზღვრის (ე.წ. „თვითგამორკვევის“), სახელდობრ, ეროვნული თვითრეალიზაციის (პოლიტიკურის ჩათვლით) იურიდიული და სხვა სახის პირობების იმ მაქსიმუმს, რაც შესაძლებელია მოცემული სახელმწიფოს საზღვრების შეუცვლელად.

ეს მაქსიმუმი, როგოც წესი, ხორციელდება პოლიტიკური ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა მოცემული ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა ადგილობრივი ეთნოსი არ არის, ანუ იგივე ეთნოსი სხვა ტერიტორიაზეც ცხოვრობს, რომელიც მისი სამშობლოა, და მისი სახლობის ის ტერიტორია მის სახელს ატარებს, მოცემული უმცირესობის ეროვნული დაცვა ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით გამოიხატება მხოლოდ მასში შემავალ ინდივიდთა დაცვაში დისკრიმინაციისაგან ეროვნული ნიშნით.

საქართველოში მოსახლე ოსები არ არიან ადგილობრივი ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა. ისინი არიან მეზობელი ტერიტორიიდან, სახელდობრ, ოსეთიდან, რომელიც ოსების ეთნიკური ტერიტორიაა, შემოსახლებული ადამიანები (დიასპორა). მათი ეთნოსის ერთობლივი ეროვნულ-ტერიტორიული თვითრეალიზაციის ასპარეზად კაცობრიობა გულისხმობს ოსეთს (ნამდვილ ოსეთს, ალანიას კავკასიონის ჩრდილოეთით) და არა შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს (სადაც ოსების გარდა ადგილობრივი ავტოხთონური მოსახლეობაც, ქართველები ცხოვრობენ და ამ მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ), ხოლო შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში (და საერთოდ საქართველოში) მოსახლე ოსებისათვის მათ სპეციფიკურ ეთნიკურ უფლებად გულისხმობს მათ დაცვას დისკრიმინაციისაგან, ეთნიკური ასიმილაციისაგან დაცვის ანუ კულტურული დაცვის ჩათვლით.

თითო ეთნოსს (ხალხს, ერს) ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციისათვის დედამიწაზე დღეს თითო ქვეყანა (თითო ტერიტორია) ეკუთვნის და არა მრავალი. ეს წესი ვრცელდება ოსებზეც. საქართველოში მათ ცხოვრებისა დ ინდივიდუალური თვითრეალიზაციის, მათ შორის – კულტურული და პოლიტიკური თვითრეალიზაციის შეუზღუდველი უფლება ეკუთვნით, მაგრამ ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციის, ანუ ტერიტორიისათვის თავისი სახელის დარქმევის (მით უმეტეს, ამ ტერიტორიის საქართველოსაგან მოწყვეტის) უფლება არ ეკუთვით.

ამგვარად, როცა რუსეთმა ცნო „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მისი „თხოვნის“ შესაბამისად, მან დააკმაყოფილა თხოვნა, რომელიც ემყარებოდა მთხოვნელის არა კანონიერ უფლებას, არამედ უზურპირებულ უფლებას – უზურპირებულს როგორც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ისე ჰუმანიტარული სამართლის, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემის თვალსაზრისით. ხოლო მ. სააკაშვილი, რომელიც მანამდე აცხადებდა მზაობას საქართველოში კიდევ ერთხელ შეექმნა „ოსეთი“, ამით აკმაყოფილებდა სეპარატისტთა სურვილს, რომელიც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის აზრი რუსეთის პასუხისმგებლობაზე

მე-5 გვერდიდან

გულისხმობდა მათ მიერ უფლების უზურპირებას ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართების თვალსაზრისით.

— რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა აფხაზებისაგან მიღებული შესაბამისი „თხოვნის“ პასუხად ემყარება იმ მდუმარედ ნაგულისხმევ წინამძღვარს, რომ აფხაზ მოსახლეობას, რომელიც მართლაც არის ეთნიკური (ეროვნული) უმცირესობა აფხაზეთის დაახლოებით ერთ მესამედში, აქვს თვითგანსაზღვრის (ე.წ „თვითგამორკვევის“), ანუ მაქსიმალურად შესაძლებელი ეროვნული ტერიტორიული თვითრეალიზაციის უფლება არა მხოლოდ იქ, სადაც იგი რეალურად ცხოვრობს ან როდესმე უცხოვრია (და მიმდგომ თავისუფალ ტერიტორიებზე), არამედ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, იმ ტერიტორიის ჩათვლით, სადაც ცხოვრობს ამ ტერიტორიის ავტონომიური მოსახლეობა — ქართველები.

ეს წანამძღვარი ყალბია. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპზეც რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთის აფხაზი მოსახლეობა (მთელი მოსახლეობის 18%), რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს ავტონომიურ ქართველ მოსახლეობასთან ერთად (46%), არაა უფლებამოსილი, აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედი ერთპიროვნულად გადაწყვიტოს. შესაბამისად, მისი წარმომადგენლობის — ბაღაფშის ეთნოკრატიული გუნდის — „თხოვნა“ რუსეთისადმი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, აფხაზეთის სახელით ლაპარაკის უფლების უზურპაციაა. იგი უზურპაციაა არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმასთან მიმართების თვალსაზრისით, არამედ ჰუმანიტარული სამართლის (ანუ ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემის) ნორმასთან მიმართების თვალსაზრისითაც. რუსეთის ფედერაციის აქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობისა მთხოვნელის მიერ უფლების უზურპაციაზე დამყარებული აქტია.

აფხაზეთის ნება და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის“) ნება საქართველოსგან ამ ტერიტორიათა გამოყოფისა, რომლის საფუძველზეც შესაბამისმა თვითმარქვია ხელისუფლებმა მიმართეს რუსეთის ფედერაციას თხოვნით მათი ცნობის შესახებ, არის მსოფლიოში ცალსახად მიღებული პროცედურის გარეშე, სახელდობრ, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გარეშე ფორმირებული ნება. (რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებით ემიგრირებულია, რეფერენდუმი არ არის). ხელისუფალნი და მათი გუნდები, რომლებმაც რუსეთს ხსენებული თხოვნით მიმართეს, ამ მიმართვამდე უკვე კრიმინალური ჯგუფები იყვნენ, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობის მასობრივი წმენდისა და გენოციდის ჩამდენნი (ცხინვალის რეგიონში მანამდე განადგურებულია 17 ქართული სოფელი, ცხინვალის ქალაქში მოქცეული გუჯაბაურისა და მამისაანთუბნის ჩათვლით, აფხაზეთში დახოცილია ეროვნული ნიშნით 30-დე ათასი, ოფიციალურად — 6 ათასი ქართველი). ამგვარად:

— ორივე თხოვნა წარდგენილია ყალბი პროცედურით, რის გამოც ისინი არ ასახავენ მოცემული ტერიტორიების მოსახლეობის ნებას. მათი დაკმაყოფილება რუსეთის ფედერაციის მიერ არის სიყალბის შეგნებული გამოყენება საკუთარი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური (საქართველოს მიმართ აგრესიული) მიზნების მისაღწევად.

— ორივე თხოვნა ხელმოწერილია ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში უკვე მხილებული ჯგუფების (არძინბა — ბაღაფშისა და კოკოითის ჯგუფის) მიერ. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობა არის ამ ჯგუფთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევა ზემოხსენებული დანაშაულების შედეგთა დაკანონების მოტივით, რის გამოც ამ თხოვნათა დაკმაყოფილება რუსეთის მიერ არის შეგნებული თანამონაწილეობა ზემოხსენებულ დანაშაულებში ადამიანობის წინააღმდეგ იმავე საკუთარი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

შენიშვნა: გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის“) კრიმინალ ხელისუფალთა ზემოხსენებული „თხოვნისა“, რუსეთის ფედერაცია, ცხინვალის შემთხვევაში, თავისი ქმედების გასამართლებლად იმოწმებს იმ არგუმენტს, რომ, თითქოსდა, ცხინვალში ა.წ. 6 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ მოინდომა ოსი მოსახლეობის სიცოცხლის მასობრივი ხელყოფა. ეს არის ბრალდება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ და, როგორც ასეთი, არგუმენტად ვერ გამოიყენება მანამდე, სანამ არ ჩატარდება გამოძიება (შემდგომი იურიდიული პროცედურითურთ), რითაც ფაქტების ნამდვილობა თუ არანამდვილობა გაირკვევა.

2. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას სრული საფუძველი აქვს, მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების და მათი მომყოლი ოსური და რუსეთის მოქალაქეებისაგან შემდგარი ბანდების მიერ დაღვრილი სისხლის და მოყენებული ზარალის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის ფიზიკური ხეყოფის გამო, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობის იურიდიული აქტის გამოც, რაც მან განახორციელა საერთაშორისო სამართლის და ჰუმანიტარული სამართლის (ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემის) ნორმათა საწინააღმდეგოდ და მიზანმიმართულად ყალბ პროცედურაზე დაყრდნობით.

ხსენებული მიმართვა საერთაშორისო სასამართლოსადმი საქართველოს ხელისუფლების არა მხოლოდ უფლებაა, არამედ პირდაპირი მოვალეობაც. იგი მიუცილებელი ელემენტია საქართველოსათვის ამ ტერიტორიების დაბრუნებისა მშვიდობიანი გზით.

რამდენადაც ჰუმანიტარული სამართალი იცავს ყველა ეთნიკური ჯგუფის ადამიანურ უფლებებს, და არა მხოლოდ ზოგისას, არის სრული საფუძველი იმისთვისაც, რომ მ. საკაშვილს და მის პოლიტიკურ გუნდს მოეთხოვოს პასუხისმგებლობა მათ მიერ მზაობის გამოცხადებისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს უწოდონ „ოსეთი“ და ამ ნაწილის ადგილობრივად მკვიდრ ავტოხთონურ ქართველ მოსახლეობას წაართვან ამ ტერიტორიაზე სატიტულო ერის სტატუსი, ეს სტატუსი მიაკუთვნონ ქართველი მოსახლეობის მიმართ ეთნიკური წმენდის ჩამტარებელ ოს მოსახლეობას.

ამ კონსტატაციების სრულ იურიდიულ გაშლას და დასაბუთებას წარმოვადგენთ უახლოეს მომავალში.

9 სექტემბერი, 2008წ.

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის სახელით:

მ. გიორგაძე, დ. ბახტაძე, ტ. ბერიანიძე, რ. დუნდუა, ო. ზარდალიშვილი, ა. კაკულია, პ. კოლუაშვილი, ნ. ნათაძე, თ. ქორიძე, ბ. შოშიაშვილი.

საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიცია ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების დარეგულირების თაობაზე

1. ოსები საქართველოში არიან დიასპორა. XVIII საუკუნეში ცნობილია ოსების გაბნეული დასახლებები არაგვისა და ქსნის ხეობებში. XVII საუკუნეში ცნობილია ოსების კომპაქტური დასახლება (რამდენიმე ასეული სული) თრუსოს ხეობაში, ყაზბეგის რაიონში. ოსების ძირითადი მასა საქართველოში შემოსახლებულია ჯერ 1864 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ, როცა საქართველოში გაუქმდა ბატონყმობა და უყმოდ დარჩენილმა ქართველმა მემამულეებმა თავისი მიწების დასამუშავებლად დაიწყეს ოსების ხიზნებად შემოყვანა კავკასიონის ჩრდილოეთ მხრიდან. ამ წესით ცხინვალის რეგიონში გაჩნდა ოსური მოსახლეობა, მაგრამ იგი ვერ გაუთანასწორდა რაოდენობით ადგილობრივ ქართულს.

თვითორგანიზაციის არანაირი ფორმა, თვით თემურიც კი, ამ მოსახლეობას არ ჰქონდა. არანაირი საფუძველი ცხინვალის რეგიონში ოსური ტერიტორიული პოლიტიკური ავტონომიის შექმნისათვის არც 1920-იან წლებში, არც დღეს, ადამიანისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის დღევანდელი პრინციპებისა და პრაქტიკის არსებობის პირობებში, არ არსებობდა და არ არსებობს.

2. საქართველოში „ოსეთის“ შექმნა („სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახით) დადგენილ იქნა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის კავკასიის ბიუროს მიერ 1920 წელს, ანუ ისეთ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო და, ამგვარად, რუსეთისთვის უცხო ქვეყანა იყო. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921) საქართველოს მთავრობამ (ცაკმა) გაიმეორა რუსეთის ბოლშევიკების პარტიის კავბიუროს დადგენილება და შექმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელშიც შევიდა 40 ქართული სოფელი, 26 ოსური სოფელი და ქალაქი ცხინვალი, სადაც იმ დროს ოსების სულ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ამის შემდეგ დაიწყო ახალი ტალღა რეგიონში ქედის ჩრდილოეთიდან, „ჩრდილო ოსეთიდან“ ოსების მასობრივი შემოსახლებისა.

ამ მეორე ხანგრძლივი პროცესის შედეგად ოსურმა მოსახლეობამ ადგილობრივ ქართულთან შედარებით უმრავლესობას მიაღწია (60 000 ოსი, 30 000 ქართველი). ამ ქართულ სოფელთაგან რამდენიმეს დექართველიზაცია მოხდა. დღეს ეს სოფლები ოსურია.

3. საქართველოს პირველი კანონიერად არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — საქართველოს უზენაესი საბჭო — ვალდებული იყო გაეუქმებინა უკანონო ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნი, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და გააუქმა კიდეც იგი 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით.

4. 1919 წელს რუსი და ქართველი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული იქნა ოსების რამდენიმე ამბოხება (რამდენიმე ტალღად) საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს ამბოხება შინაარსით აგრარული იყო (ეს იყო უმიწაწყალო ყოფილი ხიზნების ბრძოლა მიწის მოპოვებისათვის), მაგრამ ბოლშევიკების მიერ მას მიცემული ჰქონდა ეროვნული (პრორუსული და ანტიქართული) ელფერი. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921) ფართოდ გაიშალა ოსური რაზმების მიერ ქართველი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა (რომელსაც დღევანდელი ტერმინოლოგიით ეთნიკური წმენდა და გენოციდი ეწოდება). „ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ 1922 წლიდან დღმდე არც ერთი საათი არ უარსებია მასში რუსული შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე.

5. დღეს საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ სახელის მატარებელი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის კიდევ ერთხელ შექმნა დაუშვებელია შემდეგი მიზეზებით:

— ეს იქნება უსამართლობა. ქართველი ერის ეთნიკური და ისტორიული ტერიტორიისათვის მეზობელი ქვეყნის (კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ოსეთის) სახელის დარქმევა ქართველი ერის ბუნებრივი და წმინდა უფლების ხელყოფას ნისნავს.

— ორი „ოსეთის“ არსებობა — ერთი ნამდვილისა (ჩრდილოეთით) და მეორე ყალბისა (სამხრეთით) — იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის წინაშე დგება ამ ორი „ოსეთის“ გაერთიანების, ანუ საქართველოს ტერიტორიული დაზარალების ამოცანა.

— იმის პრეცედენტის შექმნა, რომ ტერიტორიის დემოგრაფიული დინამიკა (რომელი ეთნიკური ჯგუფი რამდენად მრავლდება იმიგრაციით ან სხვა მიზეზით) განსაზღვრავდეს მის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს, იქნება ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშის სტიმულირება ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და ცდუნება ეთნიკური წმენდისა და გენოციდისათვის მთელ მსოფლიოში.

— გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც სეპარატისტებს ემხრობა, ღრმად გამჯდარია ქართველთა გენოციდის ფსიქოლოგიური ჩვევა. 1992 წლიდან დღემდე რეგიონში მოისპო 31 ქართული სოფელი. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონის „ოსეთად“ გარდაქმნა არის გზის გახსნა ახალი გენოციდისათვის.

6. ცხინვალის რეგიონში მოსახლე ოსების ყოველგვარი საზოგადო და სპეციპიკური ინტერესების, მათ შორის — ეროვნული ინტერესების დაცვისათვის სავსებით საკმარისია დემოკრატიული თვითმმართველობის მექანიზმთა განვითარება, ერთის მხრივ, და საერთო-ოსური პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ორგანიზაციების) განვითარება მეორეს მხრივ (ამ უკანასკნელს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მოიცავს არა მარტო ცხინვალის რეგიონში 30 000 ქართველთან ერთად მაცხოვრებელ 60 000 ოსს, არამედ იმ 100 000-საც, რომელნიც ამ რეგიონის გარეთ ცხოვრობენ, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით

მ. გიორგაძე
დ. ბახტაძე
ა. კაკულია
პ. კოლუაშვილი
ნ. ნათაძე

საქართველოს ეროვნული პარტიებისა და ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის განახლებული იმპერია შეიარაღებული ძალით, აგენტურის საშუალებით და მძლავრი საპროპაგანდო მანქანის საშუალებით ებრძვის საქართველოს, რათა ტერიტორია წაართვას, ფედერალურად დაშალოს, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონტროლი მოიპოვოს, მისი ძირითადი უძრავი ქონება ხელთ იგდოს, მის სტრატეგიულ პოზიციებს დაეუფლოს, მისი სამეურნეო ცხოვრება ჩაახშოს, მისი შემდგომი ხელოვნური ეკონომიკური დაუძლურებით მოსახლეობა ემიგრანტად გახადოს, მისი დემოგრაფიული კატასტროფა გამოიწვიოს, ქართველი ერის რიცხოვნება საქართველოში რადიკალურად შეამციროს, საქართველოს არშემდგარი ქვეყნის მდგომარეობა და სტატუსი შეუქმნას და მასზე თავისი განუკითხავი ბატონობა დაამყაროს, როგორც თავისი „ინტერესების ზონაზე", დასასრულ, მისი ანექსია კიდევ ერთხელ მოახდინოს, საქართველო უქართველებო ქვეყანად გადააქციოს და ქართველი ერი მსოფლიოში მოფანტოს. რუსეთის მიერ ა.წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში დაწყებულ ღია შეიარაღებულ შემოტევას საქართველოზე დაჰხვდა ჯერ შევარდნაძის, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ხელოვნურად დაუძლურებული, გადატაკებული, შეუიარაღებელი, კორუფციისაგან გამოხრული და ორგანიზაციულად მოშლილი საქართველო. არის უტყუარი ნიშნები იმისა, რომ ორივე ამ ხელისუფლებამ, იმყოფებოდა რა რუსეთის ფარულ სამსახურში, ხელოვნურად მოახდინა საქართველოს ყოველმხრივი პარალიზაცია, რათა რუსეთს მისი კიდევ ერთხელ დაპყრობის საშუალება მიეცეს.

I. ხელისუფლების ძირითადი მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი აქტები 1992 წლიდან დღემდე შემდეგია

1. ეკონომიკის დარგში

ა. საქართველოს ფინანსური გაღატაკება; სახელმწიფო ბანკების კერძო საკუთრებაში გადაცემა სიმბოლურ ფასებად შემთხვევითი პირებისათვის ან თანაგუნდელი კორუმპირებული პირებისათვის; ამ ბანკების შემდგომი ხელოვნური გაკოტრება მეანაბრეთა საზარალოდ.

ბ. სამრეწველო წარმოების განადგურება; ნედლეულის მარაგების გაყიდვა და სამრეწველო სიმძლავრეთა გაყიდვა ჯართად; წარმოების ხელოვნურად ჩამხშობი საგადასახადო სისტემის შემოღება.

გ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაყიდვა მეზობელ ქვეყნებზე და საწვავით მომარაგების საბოტირება. ამით საკვებ პროდუქტთა წარმოების ხელოვნური შემცირება და სოფლის მოსახლეობის სტიმულირება კატასტროფული მასშტაბის ურბანიზაციისთვის (პროლეტარიზაციისთვის).

დ. სასოფლო-სამეურნეო მიწის არარაციონალური გაკერძოება: მისი გატანა თავისუფალ ბაზარზე ისეთ ვითარებაში, როცა ამ ბაზარზე არცერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არსებობს. ამით გზის გახსნა ქართველი ერის ძირითადი სიმდიდრის – მიწის – გადასვლისათვის უცხოელების ხელში. მოსახლეობის ფართო ფენის დატოვება უმიწოდ.

ე. მტაცებლური კორუფციის ფართო გაშლა და მფარველობა ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, რისი გამჭოლი მიზანიცაა, სახელმწიფოს ეკონომიკურ პარალიზაციასთან ერთად, ჯანსაღი საშუალო კლასის შექმნის არდაშვება.

2. საშინაო პოლიტიკაში

ა. დიქტატურის ორგანიზება და განუხრელი გაძლიერება. სასამართლოს და სმი-ს ტოტალური დაქვემდებარება ერთპარტიული ხელისუფლების მიერ. სახელმწიფო ტერორის ფართო გამოყენება, რასაც ერთერთ შესაძლო მოტივად დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციის, ამ რიცხვში მისი ნატოში შესვლის, გაძნელება აქვს.

ბ. არჩევნების, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, ფაქტობრივი გაუქმება. გაყალბების ტოტალური ქმედითი მანქანის აგება და სისტემური გამოყენება.

გ. განათლებისა და მეცნიერების მიზანმიმართული ნგრევა. შეგნებული კურსი ქართველი ერის დაყვანისა მომსახურე ერის დონემდე.

დ. მიზანმიმართული შეგნებული კურსი ქართველი ერის მორალურ და ფსიქიკურ დეგრადაციაზე ანტიპედაგოგიური იდეოლოგიის სტიმულირების გზით; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ფარული შევიწროება და დესტრუქციული სექტანტური პროზელიტიზმის სტიმულირება, ამ ქმედებაში ფულის ფაქტორის გამოყენების ჩათვლით.

3. საგარეო პოლიტიკაში

ა. დსთ-ში საქართველოს შეყვანა (1994) და მისი დსთ-დან არგამოყვანა.

ბ. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ხან ფარული, ხან თითქმის ღია ომის და მის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაკავების ფაქტის არდაფიქსირება სასამართლოში მიმართვისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო და სხვანი) მიმართვის ფორმით; რუსეთისათვის საქართველოს „მეგობარი ქვეყნის" და საქართველოს საშინაო პრობლემებში „ფაცილიტატორის" სტატუსის მინიჭების დაშვება და ამ სტატუსის არშეწყვეტა ა.წ. აგვისტომდე.

გ. რუსული კერძო და სახელმწიფო ფირმებისათვის (ცრუმაგიერი იურიდიული პირების ჩათვლით) საქართველოსთვის საკვანძო მნიშვნელობის ობიექტების უდიდესი ნაწილის მიყიდვა.

დ. რუსეთისათვის, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრისათვის, დიდი მატერიალური და ფინანსური ფასეულობების უმართებულო შერჩენა სსრკ-ს ქონების განწილების პროცესში.

4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში

ა. აფხაზეთში ომის ორგანიზება რუსული სცენარით და შევარდნაძისა და არძინბას ერთობლივი მოქმედებით; ომის ხელოვნური წაგება ქართული მხარის მიერ; რუსი „მემშვიდობეების" ჩაყენება ხსენებულ ტერიტორიაზე და აფხაზეთში მათი მანდატის მრავალჯერადი გაგრძელება.

ბ. სააკაშვილის მრავალგზის გაცხადებული მზაობა კანონსაწინააღმდეგო სახელის -„სამხრეთ ოსეთის" - მატარებელი ერთეულის შესაქმნელად და ამ გამოთქმის დანაშაულებრივად ჯიუტად გამეორება დღესაც კი; ახალგორის შეყვანა „მემშიდობეთა" სამოქმედო სივრცეში, შემდეგ კი ისევ „სამხრეთ ოსეთის" შემადგენლობაში.

გ. დღემდე სრული იურიდიული ფორმულირების არშემუშავება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის") დამოუკიდებლობის აქტის სამართლებრივი უსაფუძვლობის შესახებ და ამ იურიდიული აქტის დღემდე არგასაჩივრება შესაბამის საერთაშორისო სასამართლოში.

დ. სისხლის სამართლის საქმის არაღძვრა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის გამო.

ე. მოხალისეთა ბატალიონის „მონადირის" დაშლა 2004 წელს და კოდორის ხეობის უბრძოლველად ჩაბარება მტრისათვის ა.წ. აგვისტოში.

ვ. რუსეთის მხრიდან პროვოკაციაზე წამოგებით ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედების შეგნებული დაშვება ისეთ პირობებში, როცა რუსების საშშვიდობო მანდატი გაუქმებული არ არის, ნაცვლად იმისა, რომ დაუყოვნებლივ გაუქმებულიყო მანდატი, რითაც აგრესორს ყველას დასანახად გამოეცლებოდა ახალი აგრესიის იურიდიული საფუძველი.

დასახელებულ ქმედებათა შორის ზოგი იმგვარია, რომ ვერანაირი სხვა ახსნა ვერ მოეძებნება, თუ არ როგორც მიზანმიმართული მოქმედებისა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ და მტრის, კერძოდ, რუსეთის ინტერესთა სასარგებლოდ. ესაა ზემორე მოცემული ჩამონათვალით 3ა, 3ბ, 3გ, 3დ, 4ა, 4ბ, 4დ, 4ე, 4ვ. სხვა შემთხვევებში ხელისუფლების ქმედებათა ახსნა, როგორც საქართველოს ინტერესთა შეგნებული ღალატისა რუსეთის სასარგებლოდ, უეჭველი არ არის, მაგრამ მაღალი ალბათობა აქვს.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ქმედებათა ჩამდენი ხელისუფლების შემდგომი ყოფნა საქართველოს სათავეში იმ უმძიმესი ამოცანების პირისპირ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას უახლოეს მოსალოდნელ მომავალში აქვს, დაუშვებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს დამოკიდებულებას საქართველოს ხელისუფლებისადმი განვსაზღვრავთ შემდეგნაირად:

II ჩვენი დამოკიდებულება საქართველოს არსებული ხელისუფლებისადმი

1. ჩვენ ვცნობთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მისი პირადი შემადგენლობის სახით დე ფაქტო, ანუ უფლებამოსილებათა იმ მინიმუმის ფარგლებში, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო წესრიგის შესანარჩუნებლად და სახელმწიფოს ფუნქციობის გასაგრძელებლად, რადგან მისი არცნობა ამ მინიმუმის ფარგლებში იქნება ქაოსის წყარო.

2. ჩვენ არ ვცნობთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მისი პირადი შემადგენლობის სახით დე იურე, ანუ არ ვთვლით არც ჩვენთვის, არ ჩვენი ქვეყნისათვის სავალდებულოდ იმ აქტებს (ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, კანონებს და სხვას), რომელიც ამ ხელისუფლებამ განახორციელა ან განახორციელებს საქართველოს ინტერესთა საზიანოდ. მათი არცნობის საკმარისი საფუძველი არის ისიც, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გააგრძელა მისი წინამორბედის ტრადიცია და ძალაუფლების წყაროდ გაიხადა ტოტალურად გაყალბებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები 2008 წლისა.

3. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა ქვეყნის ერთგული კვალიფიციური ხელისუფლებით და, უფრო ფართოდ, ქვენის მართვის ოპტიმიზაცია, ჩვენის აზრით, უნდა მოიცავდეს ურთიერთპარალელურად შემდეგ ქმედებებს:

- ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში (სასურველია ევროკავშირის ეგიდით). ახალი პარლამენტის ერთ-ერთ ამოცანად მიგვაჩნია საქართველოში სახელმწიფო წყობის ოპტიმალური ფორმის განსაზღვრა.

- საზოგადოებრიობის მხრიდან მაქსიმალური ზეწოლა არსებულ ხელისუფლებაზე, რათა დროის იმ მონაკვეთშივე, როცა იგი მართავს, მან გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც საქართველოსთვის მომგებიანია, და არ გადადგას ის, რომელიც საქართველოსთვის საზიანოა. ეს უკანასკნელი ამოცანა გულისხმობს კონკრეტული ჩამონათვალის წარმოდგენას იმაზე, თუ რა ნაბიჯები არის აუცილებელი საქართველოსთვის დღეს და უახლოეს განჭვრეტად მომავალში.

- აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის მთავრობის შეცვლისთვის კადრის შერჩევისა და მომზადების დაუყოვნებლივ დაწყება (რამდენსამე ვარიანტად). უნდა შედგეს (პოტენციურად გამოყენებადი) მაქსიმალურად კვალიფიციური და სანდო აღმასრულებელი ხელისუფლება (ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის ხილული შესაძლებლობის სახით), რომლის დაკომპლექტების პროცესი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე და საზოგადოების აზრის მაქსიმალურად გამთვალისწინებელი.

წარმოვადგენთ ამ, ჩვენის აზრით, საჭირო ნაბიჯების მოკლე ჩამონათვალს ანუ კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის და უახლოეს განჭვრეტად მომავალში მისი მართვის გეგმას.

III. დღევანდელი კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის პირველი და აუცილებელი ნაბიჯები რუსეთის აგრესიის მოგერიებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის

1. იმის გათვალისწინებით, რომ დრო არ ითმენს, ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე ზრუნვის პარალელურად ზრუნვა იმაზე, რომ საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა დასავლეთთან პრაქტიკულად დაიწყოს დაუყოვნებლივ ორმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე საქართველოსა და ნატოს, როგორც მთელს, შორის, აგრეთვე ორმხრივი თანამშრომლობის სახით (სასურველია, ხელშეკრულების სახით) საქართველოსა და ნატოს წევრ ცალკეულ ქვეყნებს, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

2. მსოფლიოსთვის ოფიციალურად განმარტება იმისა, რომ სახელი „სამხრეთ ოსეთი" ყალბია და კანონსაწინააღმდეგო (იგი შეთხზულია რუსი დამპყრობლების მიერ საქართველოში ქართველი ერის პოზიციების დასუსტების მიზნით); ყველა ოფიციალურ ტექსტსა და ზეპირ გამოსვლაში ამ გამოთქმის შეცვლა გამოთქმით „ცხინვალის რეგიონი". პარლამენტის მიერ დამავალდებულებელი დოკუმენტის შიღება, კანონის ფორმით, რომელიც შესაბამის ფორმულირებას შეიცავს. მზაობის გაცხადება ხსენებულ თემაზე დისკუსიისათვის ნებისმიერ სახელმწიფოსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან აკადემიურ ჯგუფებთან; განმარტება იმისა, რომ აფხაზეთში ქართველი ერი არის ავტოხთონური მოსახლეობა და რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის გადაწყვეტაში აფხაზეთის ქართველ მოსახლეს აფხაზი მოსახლის თანაბარი ხმა აქვს. ამ თემაზე დისკუსიისათვის მზაობის გაცხადება ამავე წესით.

3. მსოფლიოსთვის ოფიციალურად სამხედრო და პოლიტიკური დახმარების თხოვნა რუსეთის მიმდინარე და ყოველდღიურად კვლავ მოსალოდნელი პირდაპირი აგრესიისაგან საქართველოს დასაცავად.

4. კანონის ფორმით დაფიქსირება იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ ან მის დარღვევაზე დათანხმებისაკენ მიმართული ყველა ქმედება არის სახელმწიფოს ღალატი; საპარლამენტო კანონის ფორმით იმის დაფიქსირება, რომ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

საქართველოს ეროვნული პარტიებისა და ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიცია

მე-7 გვერდიდან

საქართველო არ ურიგდება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობას და არასოდეს არ დაეთანხმება მას, არამედ იბრძოლებს ამ ტერიტორიების დაბრუნებისათვის მანამდე, სანამ საქართველოს მთლიანობას არ აღადგენს.

5. საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილების დამოუკიდებლობის ცნობის თვით იურიდიული აქტისა, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევისა და სამართლებრივობის პრინციპის დარღვევისა; ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიდან, სადაც საქართველოც წევრია და რუსეთიც, რუსეთის გარიცხვის მოთხოვნა, როგორც ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული კონცეფციისა და პრაქტიკის პრინციპთა დამრღვევისა.

6. საქართველოში არსებული ყველა რუსული საკუთრების შემოწმება მისი წარმოშობის მექანიზმთა თვალსაზრისით. თუ იგი გარეგნულად მხოლოდ კორუფციული გარიგების შედეგია, რეალურად კი აგებულია საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოდ რუსული პოზიციების შექმნის მიზანზე (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთია რუსეთის თითქმის მთელი საკუთრება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე), რუსეთის ამ უჩინარი ბაზების უვნებელყოფა დაუყოვნებლივ.

7. საქართველოს ტეერიტორიაზე ყველა იმ რუსული სახელმწიფო და კერძო ინტერესის ბლოკირება, სატრანზიტო მიმოსვლის და ტვირთბრუნვის ჩათვლით, რაც ამავე დროს საქართველოს ინტერესიც არ არის.

8. საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა სრულებით ახალ საწყისებზე დამყარებით. სახელდობრ

- საზოგადოების მხედრული სულისკვეთებით აღზრდა. ამისთვის

ა) სამხედრო საქმის სწავლების შემოღება სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში იმ ორიენტაციით, რომ სკოლაში ძირითადად მთავრდებოდეს მებრძოლის ინდივიდუალური მომზადება, ხოლო უმაღლესი სასწავლებლიდან გამოდიოდეს ოფიცერი სათანადო (სპეციალობის მიხედვით) სამხედრო სპეციალობით.

ბ) საკონტრაქტო ნაწილების მშენებლობის გაგრძელება, მაგრამ იმ პირობით, რომ მათში მსურველი მიიღებოდეს მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ (ასევე, პოლიციაში მიიღებოდეს მხოლოდ ამ სამსახურის გავლის შემდეგ).

— სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის რეალურად განხორციელება

— საქართველოში სათავდაცვო მრეწველობის აუცილებელი მინიმუმის შექმნა.

— სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება ყველა დასახლებული პუნქტის მოცვით

— რეზერვისტთა ინსტიტუტის მოწყობა შვეიცარიული მოდელით.

9. საქართველოს მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან 1990–1992 წლებში და 2008 წელს დევნილი მოსახლეობის ჯანსაღი დაცვისა და მისი ქმედუნარიანობის განვითარების ორგანიზება შემდეგი პრინციპით:

— დევნილი მოსახლეობა ორიენტირებულია საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე და საამისო პირობების შექმნისათვის ბრძოლაზე (იმ საკუთრების შენარჩუნებით, რაც მათ მოპოვებული ექნებათ დევნილობის დროის მანძილზე). ამ მიზნიდან გამომდინარე, დევნილთა დასახლება კომპაქტურად და ერთობლივად, სახელდობრ, მათი მშობლიური ადგილისდა მიხედვით. ამით შენარჩუნდება ერთიანობისა და ერთი მიზნის, საკუთარ სახლებთან და საკუთარ არე-მიდამოსთან განუყრელობის ფსიქოლოგია.

— დევნილი მოსახლეობის დროებით მოწყობაში გათვალისწინება იმისა, თუ ვინ რა ცხოვრების წესს არის მიჩვეული და რომელი დასაქმება ურჩევნია (რაც ყოველი მიგრაციის — როგორც მუდმივის, ისე დროებითის — საანბანო წესია). სოფლის მეურნეობაში გაზრდილსა და ჩაბმულ მოსახლეობას უნდა მიეცეს მიწა (საკმარისი რაოდენობით) დროებით საწყისებზე, რითაც ხელი შეეწყობა მის ეკონომიკურ მდგომარეობასაც და მის დემოგრაფიულ სიჯანსაღესაც (ასეთი მიწების გამოყოფის საუკეთესო ადგილია ტირიფონის ველი და თბილისთან ახლოს მდებარე ტერიტორიები ქვემო ქართლში).

რეკომენდაცია : სასურველია, ამ წესით დროებით მიცემული მიწა იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება, რათა პრობლემები არ გაჩნდეს, დევნილების შინ დაბრუნების პროცესში, ამ მიწების პატრონისათვის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

— იმ შემთხვევაში, თუ იქნება დასავლეთის დემოკრატიების ფინანსური დახმარება, ამ დახმარების წარმართვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული ამოცანებისაკენ, ხოლო დევნილებმა, ძირითადად, თავისი მატერიალური შემოსავალი დაამყარონ არა დახმარებაზე (რომელიც გაგრძელდება), არამედ ხელფასებზე ამ ამოცანებთან დაკავშირებული დასაქმებიდან.

— დევნილი მოსახლეობისათვის ორგანიზება ქმედითი ფორმებისა, რათა მონაწილეობა მიიღონ თავისი და ქვეყნის ინტერესების დაცვაში მსოფლიოს წინაშე (პირველ ყოვლისა მზაობა იმისათვის, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში დევნილები წარმოდგენილნი იყონ ორგანიზაციული სახით).

10. დაუყონებლივ უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი რუსული ფართო აგენტურული ქსელის უვნებელყოფა. ამ რთული ღონისძიების ერთ-ერთი ელემენტი უნდა შეადგინოს საზოგადოებისათვის საკანონმდებლო წესით იმის ნების დართვამ (რაც ჯერჯერობით შემოიფარგლება პოლიტიკაში მოღვაწე პირებით), რომ საკუთარი ინიციატივით მოახდინოს მოკვლევა და გამოძიება ხსენებულ სფეროში, და სახელმწიფო დაწესებულებების დავალდებულება, რომ შესაბამისი ინფორმაცია (დადგენილი ჩამონათვალით) მიაწოდონ მოქალაქეს მის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

11. საქართველოს ხელისუფლების მიერ უნდა იქნას ცალსახად გაცხადებული, რომ ყოველგვარი მოლაპარაკებისა და შეთანხმებისათვის საქართველოს მხრიდან აუცილებელი პირობაა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე დევნილების უპირობო დაბრუნება და მათი დაცვა საქართველოს პოლიციის ან საერთაშორისო პოლიციური ძალების მიერ. უნდა იქნას გაცხადებული აგრეთვე (და რეალურად გატარებული) ის პრინციპი,რომ ყოველგვარ მოლაპარაკებაზე საერთაშორისო ფორმატით, სადაც წარმოდგენილნი იქნებიან სეპარატისტები, როგორც არასახელმწიფოებრივი მხარე, წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ქართველი დევნილებიც ამავე სტატუსით.

12. რამდენადაც სტატუსი „ოკუპანტი" გულისხმობს გარკვეულ მოვალეობებსა და უფლებებს, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კი საქართველოში არც ერთი ეკუთვნით და არც მეორე, რუსეთის საქართველოში მყოფი შეიარაღებული ძალების მიმართ პარლამენტის მიერ დღეს ხმარებული კვალიფიკაცია „ოკუპანტი" უნდა შეიცვალოს კვალიფიკაციით „დამპყრობელი" /invader/.

IV. ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია დღევანდელი კრიზისისგან დამოუკიდებლადაც :

1. უცვლელ და ყოველდღიურ მოთხოვნად საქართველოს დღეს არსებული ხელისუფლებისადმი დღევანდელ პირობებშიც, სახელდობრ, რუსეთის ღია აგრესიის პირობებშიც რჩება ხელის აღება

- დიქტატურის, კონკრეტულად — დესპოტიის ტიპის დიქტატურის რეციდივებზე, რომლებიც გაძლიერდა და ახალი ელემენტებით შეივსო „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ხანაში (არჩევნების ფაქტობრივი გაუქმება, სასამართლო სისტემის სრული დაქვემდებარება, ტელევიზიის სრული დაქვემდებარება, ეკონომიკური მონოპოლიის კონცენტრაცია საკუთარი პოლიტიკური ჯგუფის ხელში და სხვა)

- სახელმწიფოს ეკონომიკური ნგრევისა და ერის მასობრივი ემიგრაციის სტიმულირების პოლიტიკაზე (რაც სხვაგვარად ვერ დახასიათდება, თუ არა როგორც ფიზიკური და ეკონომიკური გენოციდი), რომელიც თანმიმდევრულად ტარდება 1992 წლიდან დღემდე რუსული დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების" სახელით და რომელსაც, ამგვარად, თანმხლებ მიზნად აქვს დასავლეთის დისკრედიტაცია მოსახლეობის (საზოგადოების) თვალში.

- ანტიეროვნულ და, ზოგადად, ანტიპედაგოგიურ პოლიტიკაზე (რომელიც სხვაგვარად ვერ დახასიათდება, თუ არა როგორც სულიერი და ინტელექტუალური გენოციდი), რომელიც დროის ამავე მონაკვეთში ტარდება, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერებულია „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ხანაში და რომლის მხოლოდ ერთი ელემენტია განათლების სისტემისა და მეცნიერების მიზანმიმართული დათრგუნვა, მისი კვეცისა და მისი ხელოვნური შინაარსობრივი დეგრადირების (მისგან ფუნდამენტური ცოდნის მიზანმიმართული მოცილების) სახით.

2. რეალური საარჩევნო კანონმდელობის შემოღება, ანუ ისეთისა, რომელიც შეუძლებელს ხდის არჩევნების ტოტალურ გაყალბებას ხელისუფლების მიერ; ამომრჩეველთა რეალური სრული სიის შექმნა და საზოგადოებისათვის მისი მისაწვდომობის უზრუნველყოფა ამავე მიზნით; იმის უზრუნველყოფა, რომ საქართველო ყოველ მომენტში მზად იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის, რაც აუცილებელია.

3. საქართველოში განუკითხავი იმიგრაციის შეწყვეტა

4. ორმაგი მოქალაქეობის ან გაუქმება ან შეზღუდვა კანონის მიერ განსაზღვრულ დონემდე. (გასაგები მიზეზების გამო) იმ პრაქტიკის აღკვეთა, როცა სახელმწიფოს პირველხარისხოვნად მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები ან მათი ოჯახები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და, ამგვარად, პირადი დაცულობის ხარისხი საქართველოს რიგითი მოქალაქისაზე უფრო მაღალი აქვთ.

5. რუსეთში ემიგრირებული ქართველებისათვის (მათი სურვილის შემთხვევაში) საქართველოში დაბრუნების პირობების შექმნა: სახელმწიფო პროგრამების მოაზრება და ორგანიზება (ფინანსურ შესაძლებლობათა შესაბამისად), რომელშიც რეპატრიანტებს შეეძლებათ მონაწილეობა.

6. დაუყოვნებლივ განხორციელება საქართველოს ბარბაროსული ეკონომიკური და სამართლებრივი ჩამორჩენილობის სალიკვიდაციო ყველაზე სასწრაფო ნაბიჯებისა: შრომის გონივრული კანონმდებლობის შემოღება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემოღება, საკვები პროდუქტების უვნებელობის ელემენტარული დაცვის ორგანიზება და შესაბამისი პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა, ამისთვის რეალური კონტროლის შექმნა. ეკოლოგიური უსაფრთხოების ეფექტური დაცვის ორგანიზება და შესაბამის პასუხისმგებლობათა განსაზღვრა.

7. დაუყოვნებლივ ფორმულირება და მსოფლიოს კომპეტენტური პოლიტოლოგიური და იურიდიული აზრის წინაშე (საკონსულტაციოდ) წარდგენა აფხაზეთის, აფხაზი (აფსუა) მოსახლეობისა და ოსური მოსახლეობის სტატუსისა და უფლებამოსილების იდეალური განსაზღვრისა, ხოლო შემდეგ ამ ფორმულირებების მიღება, როგორც კონსტიტუციური ნორმისა.

8. დაუყოვნებლივ აღდგენა და რეალური განვითარება მინიმალური ერთეულის — სოფლის — თვითმმართველობისა, როგორც სოფლის დაცვისა და რეგულირების პირველი საშუალებისა და დემოკრატიის პირველი სკოლისა.

9. საგარეო და საშინაო პოლიტიკაში საქართველოს მართვის განუხრელი ორიენტირება იმაზე, რომ საკუთარი ბედის განსაზღვრაში, რეგიონულ პოლიტიკაში და, იდეალურ შემთხვევაში, მსოფლიო პოლიტიკაში საქართველო და ქართველი ერი უნდა იყონ არა მხოლოდ ობიექტი (იდეალურ შემთხვევაში — ზრუნვის ობიექტი), არამედ სუბიექტიც; საქართველოს უცხოელი დემოკრატი მეგობრებისათვის იმის დაუზარებელი და მაქსიმალურად ნათელი განმარტება, რომ საქართველოში, ტრადიციულადვე, პატრიოტიზმი და დემოკრატობა ერთიმეორესთან განუყრელად დაკავშირებული ცნებებია; რომ საქართველოს საზოგადოების ყველაზე ძირეული ღირებულებითი იდეები — სახელდობრ, თავისუფლებისა, ადამიანთა პრინციპული თანასწორობისა, აზრისა და სიტყვის შეუზღუდველობისა, რელიგიური შემწყნარებლობისა, რიგით ადამიანად ყოფნის კულტურის, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურის, ძირითადი ელემენტისა, პიროვნების ღირსების აბსოლუტურობისა და ყოველი ინდივიდის მიერ საკუთარი ბედის ასარჩევად უფლებამოსილებისა — თანამედროვე საქართველოში დასავლეთიდან შემოტანილი და შემოსატანი კი არ არის, არამედ საკუთარი ტრადიციული ფუნდამენტური რწმენებია, რომლებიც ემთხვევა დასავლურს; რომ საქართველო თვითონ არის ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანა და მისი უყოყმანო მისწრაფება დასავლეთის ელემენტად ყოფნისაკენ მარტოოდენ პრაგმატული კი არ არის, არამედ ღრმა სულიერი და მსოფლმხედველობრივი მოტივაციაც გააჩნია; რომ, თქმულიდან გამომდინარე, დასავლეთის ურყევი მოკავშირე ერთადერთი ტიპი მენტალიტეტისა (და ამავე დროს საქართველოში გაბატონებული ტიპი) არის ქართული პატრიოტული მენტალიტეტი და არა რომელიმე სხვა, მით უმეტეს, არა კომუნისტური ანტიეროვნული ტიპი მენტალიტეტისა, რომელიც დღეს ცუდად გაგებული „დასავლური ღირებულებების" ნიღაბს ეფარება.

ნ. ნათაძე, მ. გიორგაძე, თ. ჩხეიძე, მ. ბაღდავაძე, პ. კოღუაშვილი, დ. ბახტაძე, თ. ქორიძე, რ. დუნდუა, გ. ჩორგოლაშვილი, თ. დიხამინჯია, შ. ჩხაიძე, ლ. აფციაური, ო. ზარდალიშვილი, ა. კაკულია, მ. ფირცხელანი, ვ. შარვაშიძე, ზ. მგალობლიშვილი.

29. სექტემბერი 2008 წ.

ბატონ მ. სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მმართველ პარტიას „ნაციონალებს“

ღია წერილი

I. მიგვაჩნია, რომ მ. საკაშვილისა და მისი გუნდის მმართველობის ყოველი დღე აღრმავებს საქართველოს სახელმწიფოებრივ კატასტროფას და ზრდის ხიფათს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოებისათვის. მიგვაჩნია აგრეთვე (ზოგადი საერთაშორისო ვითარების არსებული პროგნოზირებისა და საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე), რომ რუსეთი ამზადებს ახალ სამხედრო დარტყმას საქართველოზე, ამჯერად – აფხაზეთიდან, რისთვისაც ახალი პროვოკაციის ორგანიზებას ეწევა და რაშიც, ვშიშობთ, ისეთივე ხელშეწყობას მოელის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, როგორიც ობიექტურად ცხინვალის რეგიონში მიიღო. მაგრამ ამავე დროს არ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების შეცვლა, რაც აუცილებელია, უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც დააპირისპირებს ერთმეორესთან ერის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი პოტენციალის სხვადასხვა ნაწილებს და ხიფათს შეუქმნის, ან შეაფერხებს, ზოგად-სახელმწიფოებრივ ძალისხმევას მიმდინარე ომში. თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ყველაზე უსაფრთხო და ამავე დროს სწრაფი გზა საქართველოს გამოხსნისა არსებული ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლების ხელიდან არის **ვადამდელი (დაუყოვნებლივი) საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება საქართველოში გაეროს მიერ** (გაეროს თავის წესდებაში აქვს შესაბამისი მუხლები და სათანადო პრაქტიკა). ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა შესაბამისი სურვილი საქართველოს საზოგადოებრიობისა მივაწოდოთ გაეროს და გადავდგათ სხვა პრაქტიკული ნაბიჯები ამ სურვილის რეალიზაციისათვის.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ ნათლად დაინახოს, თუ რატომ არის აუცილებელი არსებული ხელისუფლების შეცვლა საქართველოს ერთგული და კვალიფიციური ხელისუფლებით, საჯაროდ მივმართავთ მას, პირველ ყოვლისა ბატონ სააკაშვილს, შემდეგი კითხვებით:

1. რა მიზნით და რა უფლებამოსილებით გაქვთ გაცხადებული მზაობა, რომ საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნათ „სამხრეთ ოსეთი“, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი გამოაცხადოთ მეზობელი ქვეყნის, ოსეთის (ალანიის) ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად და ამით კაცობრიობას ამოცანად დაუსახოთ ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორე ყალბის - „გართიანების“ ამოცანა?

2. რატომ არ გააუქმეთ რუსეთის სამშვიდობო მანდატები (თუნდაც 58-ე არმიის შემოტევის წინადღით), რითაც მტერს მიეცით საშუალება ყალბი ბრალდების წამოყენებისა, თითქოს მის „მემშვიდობეებს“ ქართულმა ჯარმა ცეცხლი გაუხსნა.

3. რატომ დატოვეთ საქართველო დსთ-ში (ნაცვლად იმისა, რომ ბათილად გეცნოთ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტს უკანონოდ მიღებული აქტი ამ ორგანიზაციასთან საქართველოს მიერთების შესახებ)?

4. რატომ არ განაცხადეთ ოფიციალურად, რომ რუსეთი აგრესიულ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ, მანამდე, სანამ საქართველოზე შეტევა არ დაიწყო რუსეთის 58-ე არმიამ და ბომბდამშენმა ავიაციამ?

5. რატომ არ მიიღო პარლამენტმა კანონი, რომ საქართველო არასოდეს ცნობს თავისი ტერიტორიების „დამოუკიდებლობას“ და არ ექნება დიპლომატიური ურთიერთობა იმასთან, ვინც მას ცნობს, და რატომ არ შეიტანეთ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის **იურიდიული** ხელყოფის გამო (მის ნაწილთა „დამოუკიდებლობის“ ცნობის გამო)?

6. რატომ მოუხსენით უფლებამოსილება პარლამენტის იმ წევრებს, რომელნიც არჩეულნი იყვნენ უშუალოდ აფხაზეთში მოსახლეობის მიერ 1992 წლის შემოდგომაზე და რომელნიც იყვნენ აფხაზეთის მოსახლეობის ნების ყველაზე უშუალო და მყარი გამომხატველები ამ პარლამენტში? (შეგახსენებთ, რომ ამ უკანონო და უსაფუძვლო აქტის შედეგი იყო ის, რომ 1999 წლის თითქმის ტოტალური გაყალბებით არჩეულ პარლამენტში ფაქტობრივად აღარ ეწეოდა წინააღმდეგობა აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენისათვის საზრალო წინადადებებს და პრატიკულ ნაბიჯებს, აგრეთვე მსოფლიოში მიმდინარე ხდომილებებს, რომელთა შედეგადაც შესუსტდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი პოზიციები როგორც პრაქტიკულ, ისე იურიდიულ სფეროში).

7. რატომ გაიტანეთ თავისუფალ ბაზარზე ისეთ პირობებში, როცა ამ ბაზარზე საქართველოს არც ერთ კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ ფიგურირებს, ქართველი ერის ძირითადი საარსებო ბაზა – მიწა (აგრეთვე ერისა და ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სხვა ობიექტები), რითაც არსებითი ზიანი მიაყენეთ ქართული სოფლის ფსიქოლოგიურ სიმყარეს საერთოდ და მის მხედრულ სულისკვეთებას კერძოდ?

8. რატომ უქმნით ძველსა და ახალ დევნილებს მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან ცხოვრების არარეალისტურად მძიმე პირობებს, რომლებითაც ხელი ეშლება ამ მოსახლეობის ჯანსაღ დემოგრაფიულ განვითარებას, ერთის მხრივ, და თავის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლის სულისკვეთებას, მეორეს მხრივ? რატომ არის, რომ არა მხოლოდ ითმენთ, არამედ ხელს უწყობთ აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა რაიონებში გაჭირვებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კარგი სახლებისა და ნოყიერი ჰექტარიანი ნაკვეთების გაყიდვას 5-6 ათას დოლარად და მათ სახლებში უცხოელების დასახლებას მეზობელი ქვეყნებიდან (რუსეთის ჩათვლით) იმის ნაცვლად, რომ ეს სახლები და ნაკვეთები შეისყიდოთ და დევნილთა დროებითი განთავსებისათვის გამოიყენოთ? (ეს ხდება იმ დროს, როცა დევნილთათვის შენდება უხარისხო სახლები შეუდარებლად უფრო მაღალ ფასად, რაც ძალიან ხშირ შემთხვევაში კორუფციას გზას უხსნის).

9. რატომ არ შექმენით და არ ქმნით სამოქალაქო თავდაცვას? რატომ გააუქმეთ (და არა ახლებურად აგებულით შეცვალეთ) სოფლის თვითმმართველობა, რომელიც, პრაქტიკულად, ამ თავდაცვის აუცილებელი ყოველდღიური ელემენტია?

10. რატომ შეკვეცეთ და დააკნინეთ სამხედრო ხელოვნების სწავლება საქართველოში – გააუქმეთ კადეტთა კორპუსი, დაასუსტეთ სამხედრო აკადემია, რითაც შექმენით ოფიცერთა შემადგენლობის მწვავე დეფიციტი? რატომ დააქვეითეთ და მიზანმიმართულად დააკნინეთ საქართველოში განათლება მთლიანად, სახელდობრ, პრაქტიკულად მოაცილეთ სასწავლო პროგრამებს ფუნდამენტური მეცნიერება, რადიკალურად შეავიწროეთ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობათა სპექტრი, დააუძლურეთ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სისტემა,მართვის ანტიპედაგოგიურ მეთოდთა შემოღებით და მოუმზადებელი კადრის დაწინაურებით (პარტიული კუთვნილების ნიშნის მიხედვით) დეგრადაციის გზაზე დააყენეთ საშუალო განათლება, რისი ერთერთი ნეგატიური შედეგიცაა თანამედროვე პროფესიული საკონტრაქტო სამხედრო ნაწილების მომზადების დონის გარდუვალი და მზარდი დაცემა დღეს და უახლეს მომავალში?

11. რაკი თქვენთვისაც, ისევე როგორც ჩვენთვის, ცნობილია, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში გეგმავს დანარჩენ დასავლეთ საქართველოზე დარტყმას აფხაზეთიდან, რატომ არ ახდენთ წინმსწრებ დიპლომატიურ დემარშს (ამასთან, არ უმარტავთ მსოფლიოს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობაა ავტოხთონური და არა სხვა) და არ იღებთ გადამჭრელ ზომებს არც სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზებისათვის, არც შეიარაღებული პროვოკაციის აღკვეთისათვის?

12. რატომ არ აცხადებთ ოფიციალურად და საჯაროდ რუსეთის რეალურ მიზანს – საქართველოს ჯერ სახელმწიფოებრივ დაშლას, შემდეგ მის კვლავ დაპყრობასა და ეროვნულ განადგურებას – და რატომ არ აცხადებთ პოლიტიკის შეუვალ პრიორიტეტად დღევანდელ პირობებში საქართველოს, როგორც ქვეყნისა და ერის, დაცვას ტერიტორიული ხელყოფისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხელყოფასთან ბრძოლაში ყოველი მოქალაქე ჯარისკაცია?

ჩვენ ამ კითხვათა სხვა პასუხი არ გვაქვს გარდა იმისა, რომ თქვენ რუსეთის სამსახურში დგახართ და არა საქართველოსაში, რაც ყველა ქვეყნისა და ყველა დროის სამართალში კვალიფიცირდება მხოლოდ როგორც სახელმწიფო ღალატი. ამ კითხვების საჯარო დასმით გაძლევთ საშუალებას, თუკი სათანადო პასუხი მოგეპოვებათ, თქვენი რეპუტაცია დაიცვათ.

II. ჩვენ ყალბად მიგვაჩნია ზოგი პოლიტიკური ფიგურის მიერ გამოთქმული, ზოგის მიერ ნაგულისხმევი, თუმცა ღიად ვერგამოთქმული შეხედულება (პოზიცია), თითქოს ეროვნული ღირებულებები და დემოკრატიული ღირებულებები ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. პირიქით – ისინი ერთიმეორეს გულისხმობენ და ავსებენ. კონკრეტულად, პატრიოტიზმი და მამულიშვილური მოვალეობის შეგნება უაღრესად დემოკრატიული სულისკვეთება და მსოფლმხედველობაა. ქართველი ერის ცნობიერებაში ღრმად დამკვიდრებულია, როგორც უმაღლესი ღირებულებები, თავისუფლების, ადამიანთა თანასწორობის, სიტყვისა და აზრის შეუზღუდველობის, კანონის წინაშე ყველა მოქალაქეთა თანასწორობის, რწმენისა და კულტის აღსრულების შეუზღუდველობის, სახელმწიფოს მართვაში ყველა მოქალაქის პრინციპული თანასწორუფლებიანობის, კანონის უზენაესობის, საკუთრების ხელშეუხებლობის და სხვა ანალოგიური პრინციპების შეუვალი რწმენა, რომლებიც დღევანდელი დემოკრატიის ძირითად მატერიასა და შინაარსს შეადგენენ. მიზანმიმართული ბარბაროსული ლაშქრობა ქართული ეროვნული ცნობიერების, კულტურის, სიამაყის, ტრადიციული სიწმინდეების წინააღმდეგ, რასაც თქვენი ხელისუფლება ეწევა, მხოლოდ ერის მტრობაა, როგორც ასეთისა, მაგრამ არა დემოკრატიის დაცვა ამავე დროს. ეს შეტევა ქართველი ერის ცნობიერებაზე, რასაც თქვენ დღეს ეწევით, ისევე როგორც საქართველოს ეკონომიკის მიზანმიმართული ნგრევა თქვენი ხელისუფლების მიერ, ჩვენის აზრით, ხდება რუსეთის დავალებით, თუმცა ამოფარებულია „დასავლური ღირებულებების“ სახელს, რათა ფართო მასის თვალში დასავლეთის დისკრედიტაცია მოახდინოს.

არა გვგონია, რომ თქვენ მოგეპოვებათ დამაჯერებელი არგუმენტი, რათა ჩვენი ეს ეჭვი გააქარწყლოთ.

III. ვიმეორებთ: თქვენი ყოფნა საქართველოს ხელისუფლებაში ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს უბედურებად მიგვაჩნია. წმინდა პრაგმატული მოსაზრებების გამო ჩვენ თქვენს მიერ ორგანიზებულსა და მართულ წესრიგს, მიუხედავად მისი სიმახინჯისა, განუხრელად ვიცავთ, რადგან ცნობილია, რომ ცუდი წესრიგიც სჯობია ქაოსს. მაგრამ თქვენი არა მხოლოდ წასვლა ხელისუფლებიდან, არამედ თქვენი სამართალში მიცემაც საშურ ამოცანად მიგვაჩნია. ამიტომ ჩვენი შეუვალი მოთხოვნა: საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა დაუყოვნებლივ და მათი ჩატარება გაეროს მიერ.

საქართველოს ეროვნული პარტიების ალიანსი
ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა

24.12.2008

სახალხო პარტიის საფინანსო დეკლარაცია

„სახალხო პარტიას“ 2008 წელს არანაირი საფინანსო ოპერაცია არ უწარმოებია, არც შემოსავალი ჰქონია, არც გასავალი, არც უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნია და 2003 წლიდან არც საბანკო ანგარიში გამოუყენებია. 2008 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

სახალხო პარტიის თავმჯდომარე
ი. (მამუკა) გიორგაძე
26.01.2009 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„სახალხო პარტიის“ 2008 წლის ფინანსურ საქმიანობაზე

დამოუკიდებელმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა (სერტიფიკატი №4/231 გაცემული 2006 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის მიერ) მოვახდინე პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო პარტიის“ 2008 წლის შემოსავლების და ხარჯების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების აუდიტი.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

ვადასტურებ, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო პარტიას“ 2008 წელს არანაირი შემოსავალი არ მიუღია, პარტიის წლიური შემოსავალი, გასავალი, ქონებრივი მდგომარეობა, არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრები ნულის ტოლია. ხოლო საბანკო ანგარიშზე, რომელიც გახსნილი აქვთ „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში (ანგარიშის ნომერი 020019724) დასკვნის შედგენის მომენტისათვის ერიცხებათ 236 ლარი და 92 თეთრი.

ლ.ტაველურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

„საქართველოს“ ინტერვიუ ნ. ნათაძესთან

„საქართველო“: ვისაც კი ეკითხებიან – პოლიტიკოსს თუ ქუჩის გამვლელს, - რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გასული წლის ხდომილებათა შორის,ყველა ასახელებს აგვისტოს ომს. ეთანხმებით?

ნ. ნათაძე – დიახ. ეს ომი არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოხდა, ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე მოღალატური სახელმწიფო ინტერესების მიმართ. სააკაშვილმა გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა, გაისროლა ის, რაც რუსმა უბრძანა, და იმ მიმართულებით, რომლითაც რუსმა უბრძანა. მარტივი ლოგიკა გვიკარნახებს, სრული დარწმუნებით ველოდეთ, რომ იგი ამ ქმედებას კიდევ გაიმეორებს: გაისვრის მაშინ, როცა რუსი ეტყვის, გაისვრის იმას, რასაც რუსი ეტყვის, და იქითკენ, საითაც რუსი ეტყვის. ამას ველი იმიტომ, რომ ყველა მოქმედი პირი და ყველა მამოძრავებელი ინტერესი ისევ თავის ადგილზეა: სააკაშვილიც თავისი გუნდით, რუსეთიც, როგორც დამვალებელი, და მსოფლიოც, რომელიც არბიტრად ზის და რომლის თვალშიც საქართველო „აგრესორად“ და „გენოციდის ჩამდენად“ უნდა წარმოაჩინონ. კიდევ ველი იმიტომ, რომ სამხედრო ესკალაცია დღეს, ამ რამდენიმე თვის მანძილზე, რუსეთს სჭირდება და არა მის მოწინააღმდეგეებს. მერე ვითარება შეიცვლება: ესკალაცია რუსეთისათვის უფრო სამძიმო იქნება, ვიდრე მისი მოპირისპირეებისათვის.

„საქართველო“: რა გვაძლევს ასეთი დიაგნოზისა და ასეთი პროგნოზის უფლებას?

ნ. ნათაძე: კონტექსტი, სხვა თანმხლები მოქმედებები. პირველი ისაა, რომ სააკაშვილმა არ გააუქმა რუსების სამშვიდობო მანდატი, რომელიც „ბოროტების იმპერიას“ შევარდნაძემ მისცა, სააკაშვილზე ერთი თაობით უფროსმა სახელმწიფო მოღალატემ. ამით სააკაშვილმა რუსეთს დაუტოვა საბაბი სათქმელად, „ქართველებმა ჩემს მემშვიდობეებს ესროლესო“. ქართველებს არ გვისვრია, მართალია, მაგრამ რაკი რუსები ფიზიკურად იქ იდგნენ სამშვიდობო მანდატით ხელში, მათ ამის მოგონების საშუალება დარჩათ. მანდატი რომ არ ჰქონოდათ, ამას ველარ იტყოდნენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსებს ჩვენ წინააღმდეგ შეტევის დასაწყებად ირად-ორი საბაბი ჰქონდათ და აქვთ: ერთი ეს, რაც გითხარით, მოერე ის, რომ ქართველებმა თითქოს ოსი მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფა მოახდინეს: „თქვენ სეპარატისტების ბანდიტური მოქმედების წინააღმდეგ გამოიყენეთ არა პოლიციის სასტვენი და პისტოლეტი, არამედ მძიმე იარაღი, მაშასადამე (რუსის ლოგიკით), მათი გენოციდი მოახდინეთო“. ორივე ეს ყალბი არგუმენტი, როგორც დავინახეთ, სააკაშვილის ხელითაა შექმნილი. მართალია, ორივე არგუმენტი მტყუვნდება, მათ, მოსალოდნელია, სიცრუეში ამხელს საერთაშორისო გამოძიება, რომელიც დაგეგმილია. მაგრამ თავისი საქმე აგვისტოში მათ უკვე გააკეთეს – რუსეთს საშუალება მისცეს, საქართველოში თავისი გაშლილი დროშით, ღიად შემოეტია, რასაც სააკაშვილის მხრიდან ამ დახმარების გაწევის გარეშე ვერ იზამდა. ეს არის, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო სახელმწიფო ღალატი თავისი ფორმის მხრივ – ამ სახის ღალატი, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ისტორიამ ჯერ არ იცის. ეს ახალი ტიპის ღალატია. მაგრამ ეს სუპერღალატი მხოლოდ ერთ-ერთია სააკაშვილის მიერ ჩადენილ სხვა სახის ღალატთა შორის, როგორიცაა, მაგალითად, მზაობა საქართველოში „ოსეთის“ არსებობის ცნობისათვის, ანუ იმის თქმისათვის, რომ ცხინვალი და ჯავა „ოსეთის“ მიწაა, და, მაშასადამე, მსოფლიოს წინაშე ამოცანა დგას, რომ „გააერთიანოს“ ორი „ოსეთი“ – ერთი ნამდვილი და მეორე ყალბი. სახელმწიფო ღალატის მაგალითია სააკაშვილის მზაობაც აფხაზეთში ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების დადებისათვის რუსეთთან და გარანტად რუსეთის მოწვევისათვის. ღალატია კარგი მასალისაგან – მამაცი და მორალურად მყარი ადამიანებისაგან – ყალბი, ანუ ნაკლოვანი სტრუქტურის მქონე შეიარაღებული ძალის შექმნაც, ღალატია კოდორის დატოვებაც და არაერთი სხვა ნაბიჯიც, რამაც ჩვენი ქვეყნის დამარცხება განაპირობა არც თუ მრავალრიცხოვან მტერთან ჩვენსავე ტერიტორიაზე.

„საქართველო“: რატომ ახსენეთ წეღან ის რამდენიმე თვე? რა უნდა შეიცვალოს ამ თვეების მანძილზე საქართველოს სასარგებლოდ ან რუსეთის საზიანოდ?

ნ. ნათაძე: ძალიან მნიშვნელოვანი რამ. თუ ქართულ-დასავლური სამხედრო თანამშრომლობა გაფორმდება (რაც, ალბათ, მოხდება), მაშინ საქართველოზე კიდევ ერთხელ გაშლილი დროშით შეტევა რუსეთის მხრიდან ველარ მოხდება. რუსეთი დასავლეთთან ომისათვის მზაობას კი სიმულანტობს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი ომი სრულებითაც არ ჰსურს. გარდა ამისა, დღის წესრიგშია დასავლური რაკეტების განლაგება შავი ზღვის ზოგ სახელმწიფოში, რომელიც ნატოს წევრია, შესაძლოა – უკრაინაშიც. ამ უკანასკნელთან შეერთებული შტატების სამხედრო თანამშრომლობა, რაც აგრეთვე დღის წესრიგშია, თავისთავადვე დიდი ფაქტორია. დასავლეთის ძალა ჩვენი რეგიონისკენ ნელა, მაგრამ განუხრელად მოიწევს. ჩვენთვის ეს, ჯამში, კარგია. რუსეთს ბნელში ხელის საფათურად ამ რეგიონში, მშვიდი გათვლით, დაახლოებით ეს რამდენიმე თვეღა აქვს. გარდა ამისა: დღეს ჩვენი ქვეყანა რუსეთისათვის ერთადერთი უკვე გახსნილი ფრონტია. უშუალოდ დღის წესრიგშია, პარალელურად, რუსეთსა და დასავლეთს შორის კიდევ ერთი-ორი სხვა ფრონტის გახსნაც.

„საქართველო“: ეს ცალკე თემაა. რა არის, თქვენის აზრით, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის დღევანდელი ომის ჭეშმარიტი მიზანი? იმ ბავშვურ სიცრუეს ხომ ვერ გავიმეორებთ, რომ პუტინს ეწყინა, სააკაშვილმა „ლილიპუტინი“ რატომ მიწოდაო, და ომი ამის გამო დაიწყო!

ნ. ნათაძე: მიზანი რამდენიმეა. საქართველოს დაპყრობისაკენ, მისი არსებობის შეწყვეტისაკენ, მისი გაუდაბნოებისაკენ, რასაც რუსეთი ვერასოდეს ველარ მიაღწევს, რუსეთს რამდენიმე რეალური ინტერესი უბიძგებს. მათი გადმოცემა შორს წაგვიყვანს. დღეს, ამ თვის დღევანდელ რიცხვში, მას ჩვენს წინააღმდეგ სამოქმედოდ ერთი კონკრეტული და მისთვის სასწრაფო მოტივი და მიზანი აქვს. იგი ხელისგულზე დევს: რუსეთის მდგომარეობა დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე სკანდალურია: მან კანონდარღვევით აღიარა ორი „დამოუკიდებელი“ ახალი „სახელმწიფო“ სხვის ტერიტორიაზე და ამ აღიარებაში მარტო დარჩა – დღეს და სამუდამოდ. ამ სკანდალური მდგომარეობიდან მისი თავდაღწევის გზა ერთადერთია: მან უნდა შექმნას ერთიანი კონფედერაციული სახელმწიფო სამი სახელმწიფოსაგან: საქართველოსაგან, „ოსეთისაგან“ და „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისაგან. არ დაგავიწყდეთ: „კონფედერაცია“ იმას ნიშნავს, რომ ერთიანი სახელმწიფო დაიშლება, როგორც კი ერთ-ერთი მონაწილე ამას მოისურვებს. რუსეთი მოწადინებულია, რომ ასეთი „სახელმწიფოს“ სამხედრო გარანტად თვითონ დადგეს, ანუ განუკითხავად გაბატონდეს ამ „ახალ“ სახელმწიფოზე. ამ გეგმას იგი ვერ შესთავაზებს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც დამოუკიდებელი ხელისუფლება ჰყავს, მაგრამ იგი მას სთავაზობს საქართველოს, რომლის ხელისუფლება რუსეთის მარიონეტია. რატომ? იმიტომ, რომ აქვს იმედი, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა რუსეთის ბრძანებას ამჯერადაც შეასრულებენ. რატომ იმუქრება და ახალ ომს რატომ ამზადებს (და ამიტომაც სააკაშვილს კვლავ უბრძანებს, კიდევ ერთხელ „გაისროლოს“, რაც შეიძლება უფრო შეუფერებელი იარაღი)? იმიტომ, რომ ამით სააკაშვილს უადვილებს ზემოხსენებულ კაპიტულაციას. რუსეთის გეგმით, სააკაშვილს უნდა შეეძლოს უთხრას თავის ხალხს: ხომ ხედავთ, რუსმა გაგვანადგურა, როცა უნდა თბილისს მაშინ აიღებს, დამოუკიდებლობას წაგვართმევს, ბლოკადაში მოგვაქცევს და შიმშილით დაგვხოცავს. სხვა გზა არ არის, კონფედერაციას უნდა დავეთანხმოთ“. ანუ, საწყალი ჩიტივით, მელას ერთ ბარტყს გადაუგდებს, ხვალ იძულებული იქნება, კიდევ ერთი გადაუგდოს და ასე შემდეგ. რაში ატყუებს სააკაშვილი ხალხს? იმაში, რომ, თითქოს, თუ რუსეთს მადა არ დაუკმაყოფილეს, იგი საქართველოდან არ გავა. ტყუილია! იგი საქართველოდან ყველა შემთხვევაში გავა! რუსეთს არა აქვს (აღარა აქვს) ის ძალა, რომ განვითარებული მსოფლიოს ნების საწინააღმდეგოდ კავკასიონის სამხრეთით იდგეს და სამხედრო ბაზრებს იწყობდეს.

„საქართველო“: როგორ ავხსნათ მედვედევის განცხადება, საქართველოს წინააღმდეგ ომს მრავალი წელია ვამზადებთო? ეთანხმებით თუ არა ხელისუფლებას, რომ ეს არის აღიარებითი ჩვენება რუსეთის მხრიდან?

ნ. ნათაძე: აქ ზოგი რამ ცალსახაა, ზოგიც – საორჭოფო. ცალსახაა ის, რომ მსოფლიო დღეს თუ არა ხვალ რუსეთს დაუმტკიცებს, რომ ომი მან დაიწყო. სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიაზე არამემშვიდობე შეიარაღებული ძალები, 58-ე არმიის ნაწილების სახით, მან მანამდე შემოიყვანა, სანამ თოფი გავარდებოდა. ეს დამტკიცდება და გაჟღერდება განურჩევლად იმისა, სააკაშვილმა შემდეგში ცხინვალის რეგიონში პისტოლეტი იხმარა თუ ბირთვული ჭურვებით აღჭურვილი ქვემეხები. ამიტომ რუსეთს ურჩევნია, ეს თვითონვე თქვას, სამაგიეროდ აქცენტი გადაიტანოს ამ ომის დაწყების „აუცილებლობაზე“ (ბრჭყალებში), რასაც, რა თქმა უნდა, თვითონაც არ დაიჯერებს, არა თუ სხვანი. დიდად ალბათია ისიც, რომ მედვედევს ერთერთ მიზნად აქვს, განაცხადოს, ომის მომზადებაც და გადაწყვეტაც ჩემამდე მოხდა, პუტინის პრეზიდენტობაშიო. რაც შეეხება მედვედევის განცხადებას, ცეცხლის გახნისა და შეტევის ბრძანება მე მივეცი, იგი, შესაძლებელია, ასახავს პუტინის დავალებას, რომ მედვედევმა ომის დაწყების პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღოს. მეორეს მხრივ, ამის საპირისპიროდ, მედვედევი ხაზს უსვამს „არც მიფიქრია, ისე გავეცი ბრძანებაო“, რათა ამით შეამსუბუქოს თავისი როლი რუსეთისათვის საზარალო ამ ნაბიჯის გადადგმაში. კიდევ რუსეთის ამ რამდენიმე დღის წინანდელ განცხადებებში საყურადღებოა შემდეგი: რუსეთი და მისი სამხედრო კასტა აცხადებენ, უშიშროების ახალი დოქტრინის სახით, რომ მათ განზრახული აქვთ მუდმივად მზად იყვნენ ერთდროული ომისათვის სამ ფრონტზე. (ეს არის ანალოგია ამერიკის ცნობილი დოქტრინისა, რომლის თანახმადაც აშშ-ს უნდა შეეძლოს სრულმასშტაბიანი ომის წარმოება (თვით მსოფლიო

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

ომისაც კი) ერთდროულად ორ ფრონტზე: ატლანტის ოკეანისკენ და წყნარი ოკეანისკენ (სხვა შესაძლო ფრონტი შეერთებულ შტატებს, გარდა ჩრდილოეთის ყინულონი ოკეანისა, არცა აქვს). ამიტომ ქართველი „პოლიტოლოგები“ სხედან და მკითხაობენ საკმაოდ შეშინებულნი, ეს სამსახოვანი „მსოფლიო ძალა“ ნეტა ვის და ვის უპირებს ერთდროულად დარტყმასო. სიმართლე, პირადად ჩემთვის, გაირკვა ეკრანზე რუსი გენერლის დანახვისას, რომელიც ამბობს: ჩვენ მზად უნდა ვიყოთ სამი მცირე ომისათვისო. „მცირე ომი“ და „ომი“, ანუ მასშტაბშეუზღუდველი ომი, სხვადასხვაა. „მცირე ომთა“ კონცეფცია დიდი ხანია არსებობს (ორმოცი წელიწადია მაინც) და იგი ზედმიწევნით არგია იმას, რასაც რუსეთის „მცოცავი იმპერიალიზმი“ ჰქვია ისტორიულად: მას უნდა მცირე-მცირე ნაკვეთების წართმევა მასთან შედარებით მრავალჯერადი სამხედრო უპირატესობის მქონე დასავლეთისათვის ისე, რომ ეს უკანასკნელი ზედმეტად არ დააფრთხოს და მისი მხრიდან რადიკალური პასუხი არ გამოიწვიოს. რომელი და რომელია ეს სამი ნაგულისხმევი ფრონტი? პასუხი ამ შემთხვევაშიც, მე მგონი, ხელისგულზეა: ესაა კავკასია, შუა აზია და უკრაინა. რატომ უკრაინა და არა, ვთქვათ, დნეპრისპირეთი ან ბალტიისპირეთი? იმიტომ, რომ პირველი ეხება რუმინეთის ინტერესებს, რომელიც ნატოშია, მეორე კი სამ სახელმწიფოს (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი), რომელნიც აგრეთვე ნატოში არიან. ვითარებას აქვს კიდევ ერთი საგულისხმო მხარე: უშიშროების ოფიციალური დოქტრინის აგება სამფრონტიან „მცირე“ ომის პერსპექტივაზე იმის თქმას ნიშნავს (რასაკვირველია, სტრიქონებს შორის), რომ რუსეთს ან არ ძალუძს, ან არ უნდა დიდი ომი, რაც ევენტუალური მოწინააღმდეგისათვის (ანუ დასავლეთისათვის) დამამშვიდებელი და დამაძინებელია. უნდა ენდოს და ენდობა მას დასავლეთი? ალბათ, არა.

„საქართველო“: აქვს თუ არა, თქვენი აზრით, მინუსები ამერიკულ-ქართულ ერთობლივ დოკუმენტს, რომელსაც ხელი მოეწერა ცოტა ხნის წინ?

ნ. ნათაძე: პლუსები უდიდესი აქვს. მინუსს მე, თეორიულად, მხოლოდ ორს ვხედავდით. ერთი ის იყო, რომ ჩვენ არ ვიცოდით მისი ტექსტი. ხომ არ წერია იქ რაღაცა ისეთი, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ზედმეტად სახიფათოა ან რაც ასუსტებს რუსეთის აგრესიასთან მიმართებაში ჩვენთვის აშშ-ის მიერ დახმარების გაწევის პერსპექტივას. ეს მინუსი თავისთავად ან მოიხსნებოდა, ან დამძიმდებოდა ძალიან მალე, როცა დოკუმენტის პუბლიკაცია მოხდებოდა. ახლა ვიცით, ასეთი იქ არაფერი წერია. მკითხველს შევახსენებ აქვე, რომ მთავარი ის კი არაა, რა წერია ამ დოკუმენტში, რომელიც თავისი იურიდიული ფორმით მხოლოდ სამომავლო განზრახვათა დაფიქსირებაა, არამედ ისაა, რა ეწერება მომავალ დოკუმენტში, რომელიც შეეხება ურთიერთობის კონკრეტულად სტრატეგიულ მხარეს. მეორეა: რაკი ჯერჯერობით ის, რასაც ხელი ეწერება, არის მხოლოდ შეთანხმება განზრახვაზე, ხოლო ამ განზრახვის რეალიზაცია უნდა მოხდეს შემდგომი დოკუმენტების ხელმოწერის სახით, ანუ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მიერ, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაცია, რომელიც მიდის, ამით დადებით პოლიტიკურ ქულას იწერდეს თვითონ, როგორც ამ დოკუმენტის შემქმნელი, და უარყოფით ქულას უწერდეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, დემოკრატებს, რომლებიც, შესაძლებელია, ამ ახალ კავშირს ენთუზიაზმით არ მოეკიდებიან და დაწყებულ კარგ საქმეს შუაგზაზე მიატოვებენ, ანუ ამ კარგ ინიციატივას ჩაახშობენ, სახელდობრ, იმ დარჩენილ კონკრეტულ შეთანხმებებს ხელს აღარ მოაწერენ? ეს თეორიული საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ, ვფიქრობ, პრაქტიკულად ეს არასაჩვენო პერსპექტივა რეალური არ არის. რადგან დასავლეთისა და მსოფლიოს ინტერესი შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონისადმი, პირველ ყოვლისა – ამერკავკასიისადმი დღეს და განჭვრეტადი მომავლისათვის ძალინ დიდია. იგი სასიცოცხლოა და თავისი ხარისხით რუსეთისას აჭარბებს. დასავლეთისათვის ეს დედამიწაზე ისეთი პოზიციის შექმნის ინტერესია, რომელიც მას საშუალებას აძლევს ან მომგებიანი სტრატეგიული განლაგებით შეჰხვდეს მესამე მსოფლიო ომის ცხელ სტადიებს, ან სულაც არ დაუშვას ამ სტადიათა დაწყება. რუსეთს კავკასიაში, პირიქით, მარტოოდენ კონსერვატიული ინტერესი აქვს: რუსეთს უნდა, ერთის მხრივ, შეინარჩუნოს პოზიცია ახლო აღმოსავლეთის ნავთობიან ქვეყნებზე სტრატეგიული დიქტატისათვის (რისი მიღწევის არანაირი რეალური შანსი მას დღეს აღარა აქვს), და, მეორეს მხრივ, არ შეუშვას დასავლეთი აზიის ცენტრალურ ნაწილში, რაც, რეალურად, ჩინეთის ინტერესი უფროა, ვიდრე თვით რუსეთისა. იქ დასავლეთის ვერშელწევის შემთხვევაში ხომ იქ მსოფლიო ძალის ვაკუუმს ჩინეთი უფრო სწრაფად შეავსებს, ვიდრე თვითონ რუსეთი! ამ რეალური (თუმცა, როგორც ვთქვით, არალეალისტურად სათავისოდ ოპტიმისტური) ზრახვების შენიღბვას რუსეთი ცდილობს სიმულაციით, თითქოს ამერკავკასიაში დასავლეთის სტრატეგიული შემოღწევა და შემდგომი მყოფობა მას უქმნიდეს სამხრეთიდან სტრატეგიული დარტყმის საფრთხეს. ასეთი საფრთხე არ არსებობს. ასეთი შეტევა არ მოხდება და რუსეთმა ეს, უეჭველია, კარგად იცის. იგი ვერ მოხდება იმიტომ, რომ გეოსტრატეგიული დაწოლა (წნევა) კავკასიონის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ყოველთვის მეტი იყო და დღესაც მეტია (ასევე მომავალშიც მეტი იქნება), ვიდრე, პირიქით, სამხრეთიდან მისი ჩრდილოეთისაკენ. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ისტორიაც, რომელიც იცნობს მრავალ სტიქიურსა თუ ორგანიზებულ შეტევას კავკასიონის ჩრდილოეთი მხარიდან სამხრეთისაკენ, მაგრამ არც ერთს – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. დაახლოებით მსგავსი ასეთი შეტევისა იყო ჭაბუკი ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა დარიალიდან ჩრდილოეთისკენ თავისი დატყვევებული დის გამოსახსნელად, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მოკლე რეიდი და არა გეოსტატეგიული შინაარსის მქონე ლაშქრობა. კავკასიის ვიწრო ყელზე, მით უმეტეს – საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთი ვერასოდეს ვერ შექმნის ისეთ მუშტს, რომ აქედან რუსეთზე შეტევა შეეძლოს. ამ ყელის დაცვა, როგორც დერეფნისა, სხვა საქმეა: იგი შეუდარებლად უფრო ადვილია, მას ბევრად ნაკლები ძალა სჭირდება.

„საქართველო“: ეს კარგად ჟღერს თეორიულად, მაგრამ არც ისე ცხადია, მასშტაბების მხრივ, პრაქტიკულად. როგორ ეთანადება თქვენი ეს წარმოდგენა რიცხვებს? ამიერკავკასიაში ხომ გადის ერთადერთი რკინიგზა დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და ასევე – ერთადერთი ავტომაგისტრალი (ტრადიციული ბათუმი- ბაქო ან ფოთი-ბაქო). ცნობილია თუ არა თქვენთვის სპეციალისტების რაიმე კონცეფცია იმისა, თუ რამდენად გასწვდება ეს ძალიან წვრილი სატრანსპორტო ძაფი ისეთ სტრატეგიულ ამოცანას, როგორიცაა დასავლეთის ეკონომიკური და სტრატეგიული სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ და პირიქით?

ნ. ნათაძე: ასეთი კონცეფცია არ ვიცი. გათვლილი იქნება, ცხადია, მაგრამ პუბლიკაციას არავინ იჩქარებს. მაგრამ ზოგი რამ რუკიდანვე ჩანს. საქართველო – ეს სტრატეგიული დერეფანი დიდ კავკასიონსა და მცირე კავკასიონს ანუ თრიალეთს შორის – მართლაც ძალიან ვიწროა. ის, რომ თურქეთიდან თბილისზე მოძრაობის სხვა გზაც არსებობს – ჯავახეთის ვაკე ზეგნის გავლით, სადაც ნებისმიერ სახმელეთო ძალას თავისუფლად შეუძლია მოძრაობა – ჩვენთვის პლუსი არ არის. უფრო, მინუსია, თუ გავითვალისწინებთ თურქეთისა და რუსეთის დაახლოების დიდ პერსპექტივას, ალბათობასა და უკვე ცხად სიმპტომატიკას (რომლის ნიმუშად კმარა ისიც, რომ თურქეთს ძალიან არ მოსწონს ამერიკული ფლოტის შემოსვლა შავ ზღვაში). ამიტომ ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ ჩვენი დასავლელი მოკავშირეები (ხაზს ვუსვამ: ერთგული მოკავშირეები, რადგან ჩვენ მხოლოდ ურთიერთსიმპათია კი არ გვიზიდავს ერთმანეთისაკენ, არამედ პირველ ყოვლისა ინტერესთა ერთობაც) არ იფიქრებენ და არ იზრუნებენ ამ დერეფნის გაფართოებაზე, ვთქვათ, სომხეთისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე გავლით. სანამ ამ კითხვის პასუხი არ გვაქვს, ვერ გამოვთქვამთ ვერც რაიმე პროგნოზს იმაზე, თუ რას მოასწავებს მ. სააკაშვილის მიერ დიდად გაპიარებული „ჩალიჩი“ ბათუმ-ხულო-ახალქალაქზე სომხეთისაკენ გამავალი ავტომაგისტრალის მშენებლობის თაობაზე. ვერ შევიმუშავებთ ჩვენს დიაგნოზს ვერც იმაზე, თუ რამდენად საშიშია ან უსაფრთხოა ჩვენთვის დღეს ეს ტრადიციულად ანტიქართული და პროსომხური პროექტი. საყურადღებოა ისიც, რომ ამ შესაძლო გზის აღმოსავლეთი ნაწილი – გზა სომხეთიდან სპარსეთისაკენ და სპარსეთიდან შუა აზიისაკენ – დამოკიდებულია ამერიკელების სასპარსეთო პოლიტიკის მიმართულებაზე, მათი შესაძლებლობებისა და მათი განაზრახების მდგომარეობაზე. ამ გზის გაკაფვის ინტერესი, ალბათ, ამერიკელთა პოლიტიკისათვის არანაკლებ განმსაზღვრელი იქნება დღეს, ხვალ და ახლო მომავალში, ვიდრე ირანის ბირთვული პროგრამების ჩაშლის მისწრაფება (რადგან ბირთვული ტექნოლოგიების „გაუვრცელებლობის“ იდეალი, ცხადია, ვერასოდეს ვეღარ მიიღწევა). ჩვენთვის საშიში თუ არა, დამაფიქრებელი მაინცაა კიდევ ერთი შესაძლებლობა: ხომ არაა პერსპექტივაში მოსალოდნელი, რომ ამ გზის გაფართოება ხდებოდეს ან საპერსპექტივოდ იგეგმებოდეს ჩრდილოეთის მხრიდანაც, – რომ ერთი გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირუკუ გადიოდეს ამიერკავკასიაზე, მეორე კი, მისი პარალელური, ჩრდილო კავკასიაზე? ასეთი პერსპექტივა ჩვენთვის ან ძალიან საზიანო იქნება, ან სასარგებლო (მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ნეიტრალური. მე უფრო მგონია, რომ სასარგებლო იქნება).

„საქართველო“: თქვენი ნათქვამი რომ შევაჯამოთ, უნდა ვთქვათ, რომ ყველანი, მეგობართა ჩათვლით, მუდამ თავისი ინტერესებისათვის იბრძოლებენ და არა ჩვენთვის.

ნ. ნათაძე: რა თქმა უნდა!

საქართველო: ეს აზრი, **რომ ჩვენი თავდავიწყებული მეგობარი არავინაა, ხშირად ისმის. მართალია, უფრო ხშირად, იგი ანგაჟირებულ რუსოფილებში ისმის, მაგრამ არც თუ იშვიათად სხვებშიც. მიგაჩნიათ თუ არა, რომ იგი სიმართლის მარცვალს შეიცავს?**

ნ. ნათაძე: რა თქმა უნდა, შეიცავს. ეს აზრი რეალისტურია. ეს არცაა აზრი, უბრალოდ, ფაქტის აღნიშვნაა. მაგრამ არის სხვა გარემოებებიც, რომლებიც ყველაფერს ფარავს, როგორც იულიუს ცეზარმა თქვა რუბიკონის გადალახვისას, წილი ყრილია. მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია. იგი რუსეთმა დაიწყო. საქართველოზე დარტყმა მისი პირველი ცხელი ეპიზოდია. იგი დიდხანს გაგრძელდება – ხან ცივი სახით, ხან ცხელი სახით. მასში აღმოსავლეთის კოალიცია (ჩინეთი, რუსეთი, ისლამის დიდი ნაწილი) გარდუ-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

ვალად დამარცხდება. დასავლეთი ძნელად გაიმარჯვებს, მაგრამ გაიმარჯვებს. ომი არ დამთავრდება აღმოსავლეთის კოალიციის უპირობო კაპიტულაციით, როგორიც „ღერძის სახელმწიფოებმა“ მოახდინეს 1945 წელს, არამედ დამთავრდება აღმოსავლეთის მხოლოდ უკანდახევით და მისი სამხედრო განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი შენელებით. რუსეთი მასში უნდა დამარცხდეს და, როგორც ვთქვით, დამარცხდება კიდეც. სამწუხაროდ, საქართველოსათვის ეს უკვე აუცილებელია, რადგან რუსეთმა უკვე დაადო თათი ჩვენს მიწაწყალს და ნებით მის დაბრუნებას არ აპირებს. მის დამარცხებაში ჩვენი წილი იქნება ჩადებული იმ სახით, რომ ჩვენ მოგვიწევს ჩვენივე მიწაწყლის დაცვა, როგორც ამ ომის — თუნდ თავის ცხელ ფაზაში მყოფის და თუნდ ცივში მყოფის — ერთერთი ძირითადი არტერიისა. ეს მძიმე ტვირთია და მძიმე პერსპექტივაა, მაგრამ ამ ულმობელი ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება გვმართებს. ის, რომ ეს ასეა — რომ ჩვენი ქვეყნის დაცვა და კაცობრიობის დაცვა ისტორიის დღევანდელ ეტაპზე ჩვენთვის ერთი და იგივეა — ჩვენთვის ბედნიერებაა (რადგან ჩვენ, რეალურად, მომავალ გამარჯვებულთა ბანაკში ვართ და არა დამარცხებულთა ბანაკში). ეს ბედნიერება ყოველთვის ყველას წილად არ ჰხვდომია და არ ჰხვდება, მაგრამ მისი გაცნობიერება ინდივიდთა შორის მხოლოდ იმას ძალუძს, ვისაც ადამიანის კოლონიალურ-იმპერიული დამონებისა და დაჩლუნგების პროცესი თუმც კი შეჰხებია, მაგრამ ბოლომდე ვერ მოჰრევია. ვისაც მოჰრევია, ის, ბუნებრივია, საქართველოს მომავალსაც ისევე დათმობს,როგორც ოჯახს, მის ღირსებას და საკუთარ ღირსებას

„საქართველო“: რამეს ხომ არ დაამატებთ?

ნ. ნათაძე: დიახ, დავამატებ. მაოცებს, გულს მტკენს და მაშინებს ქართველ „პოლიტიკოსთა“ და “პოლიტოლოგთა“ სიბეცე და დალტონიზმი, რომელნიც ვერც რუკას კითხულობენ, ვერც პრესის ტექსტს, და ქართველ საზოგადოებას ტკბილი ნანით აბრუებენ. გასაოცარია, მაგალითად, რომ ეს ეკრანზე განუკითხავად მონავარდე პატივცემული კორპორაცია თავის „წამყვანებითურთ“ არ უფიქრდება, თუ რატომ აპირებენ რუსები, რომ „ისკანდერად“ წოდებული რაკეტები განალაგონ კალინინგრადში (ანუ კენისბერგში, გერმანიის აზრისა და სამხედრო ძალის ერთ-ერთ ტრადიციულ დედაქალაქში) და არა, ვთქვათ, სადმე პსკოვის ოლქში, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით დასავლეთისათვის ისევე საშიშია, როგორც კალინინგრადი, მაგრამ იურიდიულად და მორალურად, თავისი სლავურობის თვალსაზრისით, რუსეთისათვის შეუდარებლად უფრო უსაფრთხოა. სიმულანტობენ რუსები ამ განზრახვას? თუ არა, მაშინ ამ ნაბიჯს რა მოჰყვება? ითვალისწინებენ რუსები, რა მოჰყვება? ხოლო თუ ითვალისწინებენ, რას მოელიან თავისთვის სახეიროს იმ დიდი დანაკლისის სანაცვლოდ, რომელიც ამის შედეგად მოელით? საქართველოს ... ამ უკანასკნელი კითხვის სწორი პასუხი ყველაზე უფრო დამაფიქრებელია თავისი შედეგით და ყველაზე უფრო დიდი სათავდაცვო და დიპლომატიური აქტივობის მომთხოვნი. ევროპასა და ამერიკაში ეს პოლიტოლოგთა აზრის თემა გახლავთ, თუნდაც დროებით მალულისა. ასეა, ალბათ, აღმოსავლეთშიც. საქართველოში, სადაც პოლიტიკა ავთვისებიანი ბრიყვების ხელშია, ხოლო პოლიტოლოგია, უკეთეს შემთხვევაში, არაავთვისებიანებისაში, ეს თემა ფირუზა-ასტროლოგის, ზაურა-მუცლთთმეზღაპრის, მაკა-ნათელმხილველისა და შუშიკა-მკითხავის მონოპოლურ განმგებლობაში რჩება. კიდევ კარგი! სულ არავის ეს ოთხნი ხომ მაინც სჯობიან!.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ ჯონ ტეფტს

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ დენის კიფს

საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ ერიკ ფურნიეს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ძალბატონ პატრიცია ფლორს

იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ ვიტტორიო სანდალლის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ გუნ ჯან ვეის

განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის

მიმართვა

თქვენო აღმატებულებანო

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი ღრმა პატივისცემა თქვენი მაღალი მისიისადმი.

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა, ცხინვალის რეგიონსა და ახალგორის რაიონში ირღვევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1957 წლის №105 კონვენცია „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“. რუსეთმა აღიარა რა ბაგაფშისა და კოკოითის ტერორისტული დიქტატურები, ხელყო მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები. შედეგად, ამ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეები ეროვნული ნიშნით დისკრიმინირებულნი არიან. მათ სასჯელის (მოკვლის) მუქარით იძულებით ამუშავებენ. 2008 წლის აგვისტოში ქ. ცხინვალში ფუნქციონირებდა იძულებითი შრომის საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც დატყვევებულნი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. იძულებითი შრომა კვლავ გრძელდება.

განათლების ეროვნული კავშირი მოგმართავთ თხოვნით:

1. თქვენმა ქვეყანამ მიმართოს შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციულ საბჭოს, რათა საქართველოში სასწრაფოდ მოვლენილ იქნეს მისი მაღალი მისია, რომელიც გენერალური კონფერენციის სესიისათვის მოამზადებს ობიექტურ მოხსენებას, შეისწავლის ზემოხსენებულ ტერიტორიაზე იძულებითი შრომის საკონცენტრაციო ბანაკების არსებობას, კოლექტიური და ინდივიდუალური იძულებითი შრომის გამოყენების ფაქტებს, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს იმ მოქალაქეების გამოხსნას, რომლებიც დღესაც სიკვდილის მუქარით იმყოფებიან იძულებითი შრომის პირობებში.

2. თქვენმა ქვეყანამ დაუყოვნებლივ მიმართოს რუსეთს, რათა ხსენებულ რეგიონებში შეწყდეს საქართველოს მოქალაქეების იძულებითი შრომა, რომლის ორგანიზებასაც კოკოითის და ბაგაფშის რეჟიმები ვერ გაბედავდნენ რუსეთის პირდაპირი დახმარების გარეშე.

3. თქვენმა ქვეყანამ დაუყოვნებლივ მოავლინოს საქართველოში შრომითი სამართლის სპეციალისტები, რომლებიც სათანადო დახმარებას გაუწევენ იძულებითი შრომის მსხვერპლთ.

ველით ოფიციალურ პასუხს.

პატივისცემით

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე
გიორგი ამაშუკელი
საქართველო. თბილისი 1010.
სუმბათაშვილ-იუჟინის ქ. №16
ტელ. 893-31-06-18
66-72-82; 79-46-33

„მოგვეცით მიწა და მიწაზე შრომის შესაძლებლობა, არ გვინდა თქვენი შემწეობა“

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს პრემიერ მინისტრს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს

ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისა და სიძლიერის წყარო იყო და მუდამ იქნება ქართული სოფელი. სოფელი აახალგაზრდავებდა, აჯანსაღებდა და ეკონომიკურად აძლიერებდა ქართველ ერს. მაგრამ რამდენიმე ათეული წელია, რაც ქართული სახელმწიფოს „უხილავი“ მტერი ჩვენი ადათ-წესების ამოძირკვასთან ერთად ქართულ სოფელსა და სოფლის მეურნეობასაც ებრძვის, — ებრძვის და სავალალო შედეგიც სახეზეა.

— გაჩანაგებულია და გაპარტახებულია სოფლის მეურნეობა, მისი უძველესი დარგები, ასევე უკლებლივ ყველა არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნებიც კი, რომელთა საწარმოო სიმძლავრეები ჯართად იქნა გატანილი ქვეყნის გარეთ.

— გაჩეხილია ტყე და დარღვეულია ეკობალანსი, შედეგად გაძლიერდა უძველესი სოფლების ნგრევა გახშირებული მეწყერების გამო;

— მიწა დაუმუშავებელია და სახლები გამოკეტილია წარწერით „იყიდება“;

— დაცარიელებულია სოფლები, შრომისუნარიანი ახალგაზრდები გამოქცეულნი არიან. სამწუხაროდ, დღემდე ხორციელდება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან გატარებული მცდარი და თავისი შედეგებით მეტად მავნე „კონცეფცია“ ე.წ. უპერსპექტივო სოფლებისა და წვრილი სოფლების გაერთიანება-გამსხვილების შესახებ, რომლის განხორციელებაც საქართველოსთვის დაუშვებელია;

— მიმდინარეობს არასწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია და უცხოელების ასეთივე მასობრივი იმიგრაცია ჩვენს ქვეყანაში.

უძველესი სოფლების აღგვა პირისაგან მიწისა, წყალსაცავების თუ სხვა რამ ობიექტების მშენებლობების საბაბით რატომღაც, — უვიცობით თუ შეგნებულად — უძველესი ეკლესია-მონასტრების თუ ხუროთმოძღვრული ძეგლების ადგილზე ხდება. ქართული ძირძველი ოჯახების ნგრევის ღონისძიება, სოფლისა და მასთან ერთად ქართული მიწის განადგურების ღონისძიება დაჩქარებული ტემპით მიდის.

დღეს გლეხი წაქცეულია საქართველოს ყველა კუთხეში. დროის უკუღმართობით „გაქალაქებული“ გლეხიც (და მასთან — ძირძველი ქალაქელიც) საწარმოების გაუმართლებლად მასიური დახურვის გამო ბოგანოდ იქცა: იგი უმუშევარია, გაღატაკებულია, მოწყვეტილია ფუძეს, აღარა აქვს არც ქალაქში ფიზიკურად არსებობის შესაძლებლობა, არც სოფლად მიბრუნების და იქ მამა-პაპისეული შრომით ოჯახის გამოკვების შესაძლებლობა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მასიურად შიმშილობს.

დღეს საფრთხეშია ქართული სოფლები, ტრადიციული ოჯახები. ქართული გენოფონდი გადაგვარებისა და განადგურების პირასაა, მას მიწას, — ქართველთა სისხლით შენარჩუნებულ მიწასაც კი ვართმევთ.

ქვეყნისა და ერისათვის მიუღებელი და სამარცხვინო ამ პროცესის შეჩერება, გენოფონდის დაცვა, მიგრაციის შეჩერება, სამშობლოში მართლაც და ჯანსაღი შრომისა და ცხოვრების პირობების შექმნა და საქართველოს ეკონომიკური ჩიხიდან გამოყვანა **შესაძლებელია**. ჩვენ **შეგვიძლია** უმოკლეს დროშო ქართული სოფლებისა და ნასოფლარების აღდგენა, აღორძინება, განვითარების გზაზე დაყენება.

საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის (დაფუძნებულია 2007 წლის 6 სექტემბერს) მიზანია:

— საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაცარიელებული სოფლების და ნასოფლარების აღდგენა, აღორძინება, დასახლება, განვითარება;

— ეკობალანსის მნიშვნელოვანწილად აღდგენა;

— დაუსაქმებელი და გაღატაკებული ოჯახების — უპირველესად, საკუთარ სამშობლოში, წინაპართა სისხლით შენარჩუნებული მიწიდან გამოყრილი დევნილების — უმოკლეს დროში ფუძეზე ღირსეულად დაბრუნება და მათი კარმიდამოს აღდგენა, გაღატაკებული მრავალშვილიანი და მარჩენალდაკარგული, მათ შორის ახალგაზრდა ოჯახების და ეკომიგრანტების სრულად ჩასახლება, მათთვის სახლების და კარმიდამოს უფასოდ გადაცემა, ფუძეზე დაბრუნებაში და დამკვიდრებაში ხელშეწყობა, დასაქმება.

ფონდი ითხოვს: საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს კეთილი ნება, შეგვხვდეს, გაეცნოს საქართველოში სიღატაკის დაძლევის და მიგრაციის შეჩერების ნაბიჯთა ჩვენეულ ეროვნულ პროექტს და, დადებითად შეფასების შემთხვევაში, გამოყოს შესაბამისი თანხები (მაგალითად, საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის გათვალისწინებული 521 მილიონი ლარიდან მეათედი თანხა მაინც გამოიყოს იმ ნასოფლარების შესანარჩუნებლად, სადაც გზები უნდა მივიდეს, რადგან საკითხავია, გზის მიყვანის მომენტში, დაგვხვდება იქ ქართველი გლეხი?

გთხოვთ, მიეცით ქართველ გლეხს მიწაც და შრომის შესაძლებლობაც და სულ მოკლე დროში გიჩვენებთ ის, თუ როგორ უნდა ამ უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრის მქონე ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა ყოველგვარ მრავალმილიონიანი „სიღარიბის დაძლევის პროგრამების“ დამუშავებისა და კრედიტების აღების გარეშე.

ველით პასუხს.

საქართველოს დევნილთა, ემიგრანტთა და სოფლების აღორძინების ორგანიზაციათა არარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის სახელით

საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი
თავმჯდომარე ელენე კახნიაშვილი
თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-03; 989 119 888

რატომ არ უნდა გერმანიას საქართველოს ყოფნა ნატო-ში?

ამ კითხვას და მის ანალოგიურ სხვა კითხვებს კარგა ხნის ისტორია აქვთ.

რანი არიან ერთმანეთისთვის დღესდღეობით (და მთელს განჭვრეტად მომავალში) მსოფლიო პირველობისთვის თითქმის ყველა პარამეტრში მებრძოლი გერმანია და დღეს ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგომი საქართველო?

ისინი არიან, პირველ ყოვლისა, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გაქრისტიანებული ქვეყნები იმ განსხვავებით, რომ საქართველოში ქრისტიანობის აღიარებას სახელმწიფო რელიგიად (354 წ) წინ უსწრებდა მრავალსაუკუნოვანი სხვა საკუთარი (და აღმოსავლეთის სამყაროსაგან მნიშვნელოვნად დავალებული) კულტურა, გერმანელებისათვის კი ქრისტიანობაში შესვლა და მწიგნობრულ კულტურაში შესვლა ერთი და იგივე ხდომილება იყო. საერთო აქვთ ისიც, რომ თავისი დღევანდლამდელი ისტორიის უდიდესი ნაწილი ცხოვრების ფეოდალური წესის პირობებში აქვთ გავლილი, სხვა სიტყვით — განვითარებული და განშტოებული ფეოდალური საზოგადოების შემოქმედნი არიან თავის მიწაწყალზე (რაც სრულებითაც არ არის ყველა ერის მიღწევა და პრივილეგია, არამედ მხოლოდ ზოგიერთისა. არ არის, კერძოდ, იმ ერთა მიღწევა, რომელთაც ევროპაშიც, და არა მხოლოდ აზიაში, ცხოვრების დესპოტური წესი აირჩიეს). საერთოა (ანალოგიურია) ჩვენს შორის ისიც, რომ ერთერთ ყველაზე ტრაგიკულ ტვირთად საუკუნეთა მანძილზე ქართველებსაც და გერმანელებსაც ფეოდალური დაქსაქსულობა გვქონდა და, ამავე დროს, ზოგადეროვნულ იდეალად — ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ ყოფნა. საქართველოს ინტელექტუალურმა წრეებმა გერმანიის შესახებ ბევრი იცოდნენ, გერმანიისამ საქართველოს შესახებ — ცოტა. პირველებს გერმანიისადმი, ტრადიციულად, დიდი ინტერესი ჰქონდათ და მასში, ასევე ტრადიციულად, პოტენციურ მოკავშირეს ხედავდნენ, როგორც ევროპის ერთერთ დიდსა და მოწინავე ძალას, რომელიც (იგულისხმებოდა) რუსეთის იმპერიული ბატონობის ამბიციებს პირისპირ უდგას, ამა თუ იმ სახით, და მომავალშიც ყოველთვის ედგომება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გერმანია დამარცხებული და, გამარჯვებულთა აზრით, ლამის დამნაშავე სახელმწიფოს როლში იმყოფებოდა, რამდენიმეწლიან დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველო მსოფლიოს პირისპირ ოფიციალურად აცხადებდა (იხ. „წითელი წიგნი“), რომ მას ომისა და მისი შემდგომი დროის მანძილზე გერმანიის მხრიდან სრული კორექტულობისა და საკუთარი სიტყვისადმი სრული ერთგულების გარდა არაფერი უნახავს (რაც, რა თქმა უნდა, სრულებით არ ემთხვეოდა იმას, რისი გაგონებაც ამ დროს საწადელი იყო გამარჯვებულთათვის). საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ ანექსიის შემდეგ (1921) საქართველო, როგორც თავისთავადი სუბიექტი პოლიტიკისა, აღარ არსებობდა და, შესაბამისად, აღარ არსებობდა რაიმე დამოუკიდებელი ურთიერთობა ერთის მხრივ ქართულ სახელმწიფოსა და ხალხს, მეორე მხრივ გერმანულ სახელმწიფოსა და ხალხს შორის.

კითხვები იწყება 1994 წლიდან, როცა საქართველოში 1992 წლიდან დაარსებული ეუთოს მისია ჯერ ელჩი აიფის, ხოლო შემდგომ ელჩი ბოდენის ხელმძღვანელობით (ორივე გერმანელია) იკავებს მკაფიოდ და, რაც არსებითია, ულოგიკოდ და უპრინციპოდ მტრულ პოზიციას საქართველოსა და მისი სასიცოცხლო სახელმწიფოებრივი ინტერესების მიმართ. ეს დახასიათება რომ ჰიპერბოლას არ შეიცავს, ეს სხვა მრავალ დეტალთან ერთად იქიდანაც ჩანს, რომ მისიის რეკომენდაციაში ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ნათქვამია, არაერთ ქართველს მიაჩნიაო, რომ დემოგრაფიული სიტუაცია უნდა გადაისინჯოს საქართველოში მაცხოვრებელი ოსების საზიანოდ (თუმცა ვერ იმოწმებს, — უფრო მეტიც: ვერ ასახელებს — ვერც ერთ წერილობით ან ზეპირად ამ აზრის გამომთქმელ ქართველს), აგრეთვე, ფაქტის დაუსახელებლად ახდენს კონსტატაციას, რომ ქართველები უარყოფენ ოსი მაცხოვრებლების უფლებას იცხოვრონ საქართველოში, მაშინ როცა სინამდვილეში ქართველები უარყოფენ მხოლოდ ოსი მოსახლეობის უფლებას, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილს უწოდონ „ოსეთი“ (ანუ სახელი, რომელიც მხოლოდ რუსმა ოკუპანტებმა და დამპყრობლებმა შეთხზეს ყოველგვარი ისტორიული ან დემოგრაფიული საფუძვლის გარეშე, ისიც — არა საქართველოს რომელიმე ინსტანციის, არამედ რუსეთის ბოლშევიკური პარტიის კავკასიის ბიუროსა და ცეკას დადგენილებით და რომელიც შემდეგღა გაიმეორა საქართველოს მარიონეტულმა ხელისუფლებამ, საქართველოს ხელმეორე ანექსიის მომდევნო 1922 წელს. ეუთოს მისიის ეს რეკომენდაცია დაბეჭდილია გაზეთში „სვობოდნაია გრუზია“ (შერბილებული სახით), მასზე ქართველ პარლამენტართა ერთი ჯგუფის პასუხიც დაბეჭდილია (ინგლისური შეურბილებელი დედანი ხელთ მაქვს და შემიძლია მსურველს წარვუდგინო, თუ იგი მიმართავს გაზეთის „სააქართველო“ რედაქციას). საყურადღებოა, რომ როდესაც საქართველოს პარლამენტის ერთერთმა წევრმა ეუთოს მისიის ახალ წევრს, ეროვნებით ფრანგს, უსაყვედურა მისიის არაობიექტურობის გამო, ხსენებულმა ფრანგმა დიპლომატმა მას უპასუხა „უკაცრავად, — ეს მისიის აზრი კი არ არის, არამედ მისი გერმანიული ნაწილის აზრია“.

ბუნებრივია, რომ კითხვა, რამ განაპირობა (პრაგმატული ინტერესების თვალსაზრისით, ფსიქოლოგიურად ან სხვა რამ მიზეზითა და მოტივით) მისიის გერმანული ნაწილის ეს ქართველებისათვის საზიანო მიკერძოება, ქართველ საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა. შესაძლო პასუხი ორი იყო — ორივე არასაკმარისი და ამასთანავე ნაკლებ ალბათი. ერთი ის გახლავთ, რომ II მსოფლიო ომის დროს უნგრეთი იყო გერმანიის ყველაზე უკეთ მეომარი მოკავშირე, რამაც გარკვეული როლი ითამაშა იმაში, რომ უნგრეთისთვის სადავო ტერიტორია — ტრანსილვანია — ცალსახად და უყოყმანოდ დაუკანონდა პაექრობის მეორე მხარეს. ამიტომ — ასეთი იყო ამ აზრის მომხრეთა მიერ მიცემული ინტერპრეტაცია — გერმანია თავის ვალად თვლის საქართველოში „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის დაკანონებით ხელი შეუწყოს პრეცედენტის შექმნას, როცა ეთნიკური ანკლავი, როგორც არის კომპაქტური უნგრული მოსახლეობის შემცველი ტრანსილვანიაც, არის მაქსიმალურად ფართო უფლებების მომცველი (პოლიტიკური) ერთეული, რეალურად — სახელმწიფო სახელმწიფოში (თუმცა განსხვავებად ის დარჩა, რომ ტრანსილვანიას სახელად „აღმოსავლეთ უნგრეთი“ არ სწოდებია, საქართველოს კი ეუთოს მისიამ ურჩია „ცხინვალის რეგიონს“ „ოსეთი“ უწოდოს. მეორე შესაძლო მოტივად იგულისხმება ის, რომ, როგორც გვიჩვენა მეორე მსოფლიო ომის პრაქტიკამ, ოსებთან, როგორც ინდოევროპული (იგივე ინდოგერმანული) მოდგმის ხალხთან, პროპაგანდულ-იდეოლოგიური მუშაობისთვის გერმანელებს ფართო შესაძლებლობები აქვთ, რის გამოც ოსების ეთნიკურ მისწრაფებათა მხარდაჭერა, რომელთაც თავისი ეთნიკური ტერიტორიის გაფართოება უნდათ ქართველთა ისტორიული და ეთნიკური ტერიტორიის ხარჯზე, გერმანიას ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის საყრდენის მოპოვებისათვის კავკასიაში და კერძოდ ამიერკავკასიაშიც. იგულისხმებოდა აგრეთვე, რომ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ სახით ფაქტობრივად თითქმის დამოუკიდებელი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის არსებობა გერმანულ სახელმწიფოს, რომელსაც მინორიტეტულ ჯგუფთა პრობლემები არ გააჩნია, გაუძლიერებდა პოზიციებს მის მშვიდობიან მეტოქეობაში სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან, რომელთაც ამგვარი პრობლემები აქვთ. არსებითად იგივე პასუხი (ვიმეორებ: უკმარისი პასუხი) ეძლეოდა საზოგადოებრიობის მიერ კითხვას, თუ რით არის მოტივირებული ცნობილი და პოპულარული გერმანელი ჟურნალისტის ფრიც პლაიტგენის წიგნში Durch den wilden Kaukasus რამდენიმე გვერდი, სადაც სტრიქონებს შორის ძალიან მკაფიოდ იკითხება სინანული იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდით გამოდევნილ ქართველებს, ალბათ, ოდესმე საშუალება მიეცემათ, თავის სახლებში დაბრუნდნენ — სინანული, რომელიც მას მოჰგვარა საუბარმა ბერიას აგარაკში დაბინავებულ ზემოხსენებულ ბოდენთან, იმ დროს გაეროს წარმომადგენელთან აფხაზეთში.

ანალოგიური კითხვები და მათი პასუხების ბნელში ხელის ფათურით ძიების ანალოგიურივე საჭიროება გაჩნდა ახლა, როცა, როგორც ჩვენი გერმანიაში მაცხოვრებელი თანამემამულეებისაგან ვიცით, გერმანიის მედიაში ძალიან ფართოდ არის გავრცელებული საქართველოსთვის არასასარგებლო ინფორმაცია (პირდაპირ ვიტყვი — ყალბი ინფორმაცია) საქართველოს სეპარატისტებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და საქართველოსთვის აგრეთვე ძალიან არასასარგებლო თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საქართველოს გაწევრიანება ნატოში არა თუ სასურველი, არამედ დასაშვებიც არ არის. მასალები მწირია. რაც უნდ პარადოქსულად ეღერდეს, ფაქტია, რომ ეს მასალები გამოირჩევა სრული არაინფორმირებულობით (არ მინდა ვიხმარო სიტყვა — იგნორანციით, ქართულად — უმეცრებით) კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში, ერთის მხრივ, და იმის ასეთივე სრული უგულებელყოფით, რომ არსებობს კაცობრიობისთვის სასიცოცხლო პროცესთა მართვის, მათ შორის — პოლიტიკის მართვის პრინციპები, რომელთა გარდახდომაც არა მხოლოდ ზოგადმნიშვნელადი მორალური სისწორისაგან გადახვევას ნიშნავს, არამედ პრაგმატულად არსებითისგანაც, და რომელთა დაცვა და დაუცველობა განაპირობებს შესაბამისი პოლიტიკის წარმატება-წარუმატებლობას შედარებით ახლოსა თუ შორეულ მომავალში.

ჩვენ ხელთ გვაქვს გერმანიაში მაცხოვრებელი ორი ქართველი მანდილოსნის — ნანა ჭელიძე-უაკისა და მარიკა ლაფაური-ბერკის წერილი სათაურით „რას წერენ გერმანელი მეცნიერები საქართველოში კონფლიქტების შესახებ (ერთი სტატიის მაგალითზე)“. სტატია ეკუთვნის, ავტორთა სიტყვით, „გერმანელ მეცნიერსა და კავკასიის საკითხებში ეუთოს მრჩეველს“ მარიეტა ქიონგს, რომელიც, მათივე ცნობით, „მიწვეულია ყველა კონფერენციაზე, ბოლო წლებია, აქვეყნებს საქართველოზე სტატიებს. მისი შეხედულებები და თეზისები გერმანიაში განიხილება, როგორც სტანდარტი საქართველოს საკითხების შეფასებისას (დამატებითი ინფორმაცია: www.core-hamburg.de). ავტორებს მოჰყავთ შემდეგი ვრცელი ამონარიდი ქ-ნ მ. ქიონგის სტატიიდან საკუთარ თარგმანში მოკლე-მოკლე კომენტარებით. აი, იგი:

„სამხრეთ ოსეთის გადაუჭრელი პრობლემები“ (არამდგრადი სამშვიდობო შეთანხმება).

„1990-იან წლებში კავკასიაში გაჩაღებულმა ომებმა საბოლოოდ დაამსხვრია აქამდე არსებული რომანტიული მითები ამ რეგიონის შესახებ. კავკასია ოდითგანვე ხომ „ენების მთად“ იწოდებოდა, სადაც 40-მდე განსხვავებული ეროვნების მოსახლე 60-მდე ენაზე საუბრობს და ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობს. ეს მშვიდობა კი საბოლოოდ მაშინ დაირღვა, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად საზღვრების ხელოვნური გადაწევა განხორციელდა.

„ამ პროცესების შედეგად კი განსაკუთრებით ოსი ხალხი დაზარალდა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად ოსი ხალხი საბოლოოდ შუაზე გახლეჩილი აღმოჩნდა საქართველოსა და რუსეთს შორის.

„უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას ორად გაყოფილ ოს ხალხზე ხშირად გაიგონებთ გერმანიაში. მთარგ.). მომდევნო 70 წლის მანძილზე საბჭოთა დიქტატურის პირობებში ეთნიკურ-ტერიტორიული დაპირისპირებები თუმცა ფარულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა.

„მოსალოდნელი ასიმილაციის და გაუცხოების შიშით ინსპირირებულ კონკურენციებს ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ გავლენის სფეროების გადანაწილებაზე დაემატა საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი მცდელობები, გამოეყენებინა სამხრეთ ოსეთი როგორც კოზირი საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ ოსეთი თავისი ტერიტორიული პოზიციების გაძლიერებას შეეცადა, რასაც ქართველების მხრიდან წინააღმდეგობები მოჰყვა. გაჩაღდა საომარი მოქმედებები. ოფიციალურად ქართულ-ოსური კონფლიქტი 1992 წლის 24 ივნისს სოჭში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით და 2004 წელს განახლებული ხელშეკრულებით გადაჭრილად ითვლება. მიუხედავად ამისა, შეიარაღებული კონფლიქტები მუდმივად მიმდინარეობს. სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი კი 2007 წლამდე გადაუჭრელი დარჩა.

„ოსი ხალხის ეთნოგენეზისი. კონფლიქტი ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის ისტორიულად ღრმად ფესვებგამდგარი ეთნო-ტერიტორიული დაპირისპირების შედეგია. ის ეფუძნება ამ ორ ერს შორის არსებულ ეთნიკურ, ტერიტორიულ და კულტურულ-ანთროპოლოგიურ განსხვავებას. ამით აიხსნება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის განსახლების და ძალაუფლების დემონსტრირების მიმდინარე პროცესები“.

შემდეგ, მთარგმნელთა სიტყვით, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ოსური ენის ჩამოყალიბების პროცესებს და აღნიშნავს, რომ **„1954 წლიდან ოსური ენის დამწერლობა კირილიცაზე იქნა აგებული, მანამდე კი, საქართველო და რუსეთი წლების მანძილზე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ენობრივი გავლენის მოსაპოვებლად და ცდილობდნენ ახლადშექმნილი ოსური დამწერლობისათვის თავს მოეხვიათ შესაბამისად ხან ქართული და ხან რუსული ანბანი“.**

(გაუგებარია, რას ნიშნავს „მანამდე“. მთარგ.).

შემდეგ გრძელდება:

„...მათ (ოსების) ეთნოლოგიური და ენობრივ-ავტოქტონურ განსაკუთრებულობას ემატება ისიც, რომ ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან და ჩრდილოეთ-კავკასიის მუსულმანი ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რომელიც მე-19 საუკუნეში ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, ისინი მონაწილეობას არ იღებდნენ. ოსები საკუთარი თვითგამორკვევისათვის იბრძოდნენ სამხრეთ კავკასიაში ქართველების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის ფონზე მუდმივად ცდილობდნენ რუსეთისაგან მხარდაჭერა მოეპოვებინათ. აქედან გამომდინარე, ოსები რუსების „ყმებად“ მოიაზრებოდნენ და დიდი ხნით იზოლაციაში იმყოფებოდნენ“.

ქართული საზოგადოებისათვის, ალბათ, ყველაზე საინტერესო იქნება ქვესათაური „კონფლიქტის ისტორიული განვითარება“, ამიტომ ამ თავს მთლიანად მოვიყვანთ:

„მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსები ჩრდილოეთ კავკასიაში საუკუნეების მანძილზე მცხოვრებ თავიანთ წინაპრებზე მიუთითებენ და თავიანთი განსახლებისა და ავტონომიურ უფლებებს ამით ასაბუთებენ, საქართველო მათ მოთხოვნებს სამაჩაბლოდ წოდებულ (სამაჩაბლო — ასე უწოდებენ ამ რეგიონს წლების მანძილზე აქ

გაგრძელება მე-14 გვერდზე

მე-13 გვერდიდან

გაბატონებული თავადის სახელის მიხედვით) შიდა ქართლში (შიდა ქართლი რეგიონია ჩრდილოეთ საქართველოში) კატეგორიულად უარყოფს (გვინდა აღვნიშნოთ, რომ „სამაჩაბლო“ აქ ხშირად განსაკუთრებულ კონტექსტში მოიხსენიება, — როგორც რეგიონი, სადაც ქართველი თავადი იყო გაბატონებული. მთარგმ.). საქართველოს არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტები, რომ ოსები რუსეთის სამხრეთ საზღვარზე პირველად მე-17 საუკუნეში დასახლდნენ და, აქედან გამომდინარე, ამ რეგიონში „სტუმრები“ არიან და რომ ოსეთი მე-19 და მე-20 საუკუნეებში ხელმეორედ იქნა გაყოფილი საქართველოსა და რუსეთს შორის და, ამდენად, სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, არ არსებობდა. ოსეთის სამხრეთ ნაწილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართველი თავადების მმართველობის ქვეშ იყო, ჩრდილოეთ ნაწილი კი რუსეთის ადმინისტრაციული ერთეულების დაქვემდებარებაში შედიოდა. იმ დროისათვის ოსები ყველაზე გაჭირვებულ ფენას წარმოადგენდნენ, ხშირი იყო გლეხთა ამბოხებები, რომლებიც უმეტესად მარცხით სრულდებოდა. 1918 წლის 22 აპრილს (შეცდომა არაა, 22 აპრილია ტექსტში მითითებული. მთარგმნ.), ისარგებლა რა რუსეთში რევოლუციური არეულობებით, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რითიც ოსეთის გაყოფის საკითხი საბოლოოდ დაგვირგვინდა.

„ამას, 1918-1920 წლებში მოჰყვა რიგი აჯანყებებისა, რომლებიც ქართულმა ჯარებმა სისხლში ჩაახშეს. მხოლოდ 1920 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით 5000 ადამიანი დაიღუპა, დაახლოებით 20 000 ოსმა კი სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთს შეაფარა თავი.

„1922 წელს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. ხოლო, ჩრდილოეთ ოსეთმა 1936 წელს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. ასეთი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი დაყოფა საბჭოთა კავშირის დაშლის მერეც შენარჩუნდა.

„1989 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 164 000 ოსი, ამათგან სამხრეთ ოსეთში 65 000 (მთლიანად სამხრეთ ოსეთში 98 000 მაცხოვრებელი იყო).

„ამჟამად არ არსებობს დაზუსტებული რიცხვები მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური დაჯგუფებების შესახებ“.

ციტირებული ტექსტიდან ჩანს, რომ ავტორმა, ქ-ნმა ქონიგმა არ იცის საგანი, რომელზეც წერს, თუმცა ეს არ უშლის მას ხელს, რომ ამავე საგანზე ეუთოს მრჩეველი იყოს, „ყველა კონფერენციაზე იყოს მიწვეული“ და ამავე საკითხებზე სამსჯელოდ გერმანიაში „სტანდარტთა“ დამდები (ამით — აგრეთვე გერმანული პოლიტიკის თანაგანმსაზღვრელი) იყოს. აი, მისი შეცდომები ციტირებულ ამონარიდში.

1. არაა მართალი, რომ „1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსი ხალხი საბოლოოდ შუაზე გახლეჩილი აღმოჩნდა საქართველოსა და რუსეთს შორის“ (რასაც ავტორი ამავე აბზაცში ოსების „დაზარალებად“ რაცხს), ისევე როგორც არ ვიქნებით მართალნი, თუ ვიტყვით, რომ ჩინელი ხალხი „დაზარალებულია“ იმის გამო, რომ ჩინელ ხალხს დიასპორები ჰყავს, ანუ ჩინელთა გარკვეული რაოდენობა ჩინეთის გარეთ ცხოვრობს და მათი სახლობის ადგილები ჩინეთთან ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული არ არის. ოსები საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, ანუ ძირითადად კავკასიონის სამხრეთით (დღეს რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიათა ჩათვლით) ცხოვრობენ მხოლოდ XVII საუკუნიდან (თრუსოს ხეობის გამოკლებით, რომელიც კავკასიონის ჩრდილო ფერდობშია და რომელშიც ოსები XVI საუკუნიდან არიან ამოსულნი). რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე (1801) ოსური მოსახლეობა საქართველოში არსებობდა მხოლოდ მიმოფანტული მცირე მთის სოფლების სახით და არც ერთ ხეობაში, ისევ, როგორც არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის ცოტა მაინც მნიშვნელოვანი პროცენტი არ შეუდგენია. კომპაქტური ოსური მოსახლეობა საქართველოში (თრუსოს ხეობის გარდა, სადაც რამდენიმე ასეული ოჯახი ოსი ცხოვრობს) მაინც არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის რომელსამე ნაწილს ამ დროს (1801 წლის შემდეგ 1917 წლის რევოლუციამდე) „ოსეთი“ ეწოდებოდეს.

შენიშვნა. რუსულ კოლონიურ ადმინისტრაციას (1801 წლიდან) ჰქონდა ტენდენცია ზედსართავი **„ოსეტინსკი (აია)“** ეხმარა საქართველოში შემავალი სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების მიმართ (მაგრამ არა არსებითი სახელი „ოსეტია“), სადაც კი ოსები რაგინდარა მცირე პროცენტით ცხოვრობდნენ. ეს მეტყველებს მხოლოდ რუსების სიმპათიაზე ოსებისადმი იმის გამო, რომ ოსები იყვნენ ერთადერთი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში (ისევე, როგორც სომხები სამხრეთ კავკასიაში), ვინც მხარს უჭერდა რუსეთის კოლონიურ გაბატონებას ამ რეგიონში (და არა „არ მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში“, როგორც ქ-ნი ქიონიგი ფიქრობს). ოსთა რაოდენობა საქართველოში ზრდას იწყებს განსკუთრებით 1864 წლიდან (ბატონყმობის გაუქმებიდან), როცა უყმებოდ დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა (Adel) იწყებს ოსების ჩამოსახლებას ხიზნებად კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობებიდან.

ოსი მოსახლეობის ზრდის დინამიკა საქართველოში ჩვენთვის პოლიტიკურ კონტექსტში საინტერესოა. ხსენებულ წლებში შემდეგია (A. Тотадзе, Осетины в Грузии, Тбилиси, 2006)

თუ 1860 წელს საქართველოში ცხოვრობს 19 324 ოსი, 1880 წელს (ჩრდილოეთიდან იმიგრაციის შედეგად) ცხოვრობს 51 988 (ამათში, თუ გავითვალისწინებთ ტრადიციულ პროპორციას, ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს 40%-ზე ნაკლები) და 1989 წლის აღწერით სულ საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 160 ათასი ოსი, ამასთან ცხინვალის რეგიონში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ — 65 ათასი (ქართველები დაახლოებით 30 ათასი), „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის მომენტისათვის ოსები ამ ტერიტორიაზე უმცირესობა არიან, ქართველები — აბსოლუტური უმრავლესობა.

2. არაა მართალი, რომ საქართველოსა და ოსეთს შორის „საზღვრების ხელოვნურად გადაწევა“ „საბჭოთა კავშირის ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად“ არის იმის მიზეზი, რომ „მშვიდობიანი ცხოვრება“ სხვადასხვა ხალხებისა დაირღვა კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირი თავისი „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ იდეოლოგიითურთ იყო დაუძინებელი მტერი ნაციონალიზმისა, განსაკუთრებით — შედარებით მსხვილი და კულტურულად ძლიერი ერების ნაციონალიზმისა, რის გამოც იგი ქართველებს შეუდარებლად უფრო საძულველ მტრებად თვლიდა, ვიდრე ოსებს (ეს იყო საბჭოთა პოლიტიკის პრინციპთა პრინციპი. ვინც ეს მარტივი ჭეშმარიტება არ იცის, იმან, შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირი არ იცის). მეორეც. საზღვრის გადაწევა საქართველოსა და ოსეთს (ანუ კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ნამდვილ ოსეთს, დღეს „ჩრდილო ოსეთად“ წოდებულს) შორის მოხდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, და არა პირიქით, რითაც საქართველომ თავისი ეთნიკური და ისტორიული ტერიტორიის კარგა მოზრდილი ნაკვეთი დაკარგა. მესამეც (და მთავარი), იმ სიახლეთა ჩამოთვლისა და აღწერისას, რაც ოსი ხალხის ცხოვრებაში მოხდა გასაბჭოებასთან დაკავშირებით, ავტორი არ ახსენებს იმას, რაც ყველაზე არსებითია: რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ოს ხალხს ის, რაც მას არასოდეს ჰქონია და დედამიწაზე მოქმედი არც ერთი იურიდიული, ადათობრივი, მორალური ან ტრადიციისმიერი ნორმით არ ეკუთვნოდა: მან ოსებს შეუქმნა ახალი ეროვნული ტერიტორია მათი ქვეყნის (ოსეთის) გარეთ, სხვა ქვეყანაში (საქართველოში), ამ უკანასკნელის ეთნიკური და ისტორიული მიწაწყლის ხარჯზე, და ამ ახალ ტერიტორიას თვითნებურად, ანუ ყოველგვარი ისტორიული, იურიდიული, მორალური ან სხვა რამ საფუძვლის გარეშე, დაარქვა „ოსეთი“, კონკრეტულად — შეუთხზა სახელი „სამხრეთ ოსეთი“. ოსი ხალხისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბოძებული ეს საჩუქარი იყო გასამრჯელო იმისათვის, რომ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა მხარი დაუჭირეს ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ აგრარულ ამბოხებას დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ 1919 წელს.

3. ყველაზე პირდაპირი დეზინფორმაცია ცხინვალის რეგიონის კონფლიქტთან დაკავშირებით, რაც დღეს მსოფლიოში ფიგურირებს და რასაც ან ფაქტთა უმეცრებით ან შეგნებული სიცრუით აცხადებს პუტინიც, არის ის, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის პროცესში სტალინმა „ოსეთის“ ნაწილი საქართველოს მისცა. სინამდვილეში, ჯერ ერთი, ის, რაც იმ დროს გადაწყდა და გაკეთდა, სტალინის დონეზე კი არ გადაწყდა, არამედ უფრო მაღალ ინსტანციებში. მეორეც, საბჭოთა ხელისუფლების არც ერთი აქტით საქართველოს არაფერი არ მისცეს: პირიქით, საქართველოს ტერიტორიაზე, მაშასადამე, საქართველოს ხარჯზე შექმნეს ის, რაც მანამდე არ არსებობდა — „სამხრეთ ოსეთი“, ანუ შეკვეცეს საქართველოს იურისდიქციის ხარისხი მისივე მიწაწყლის 4500 კვ. კილომეტრის მიმართ. ქ-ნ ქონიგის მსჯელობა (ვმსჯელობ თარგმანის მიხედვით. დედანი, სამწუხაროდ, ხელთ არ მაქვს) ძალიან ბუნდოვანია, მაგრამ იმის შეუვალად ჯიუტი ტენდენცია (სიტყვისათვის „ჯიუტი“ მე აქ ალტერნატივა არ მეგულება), რომ ვერ გაიგოს მთავარი — რომ „სამხრეთ ოსეთი“ შეთხზული ქვეყანაა, სახელდობრ, რუსი დამპყრობლის მიერ შეთხზული, და არა რეალური — მის მსჯელობას ამ ტერიტორიის სტატუსის ისტორიაზე და მისი დადგენის ფაქტორებზე განუშორებლად გასდევს (იხ. აქვე ზემოთ აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით „მაშინ, ქართველი საზოგადოებრიობისთვის“ და თავდება სიტყვებით „საბოლოოდ დაგვირგვინდა“). პირველ ყოვლისა, აბერაციაა იმის თქმა, რომ როცა ოსები იმოწმებენ თავის მრავალსაუკუნოვან სახლობას ჩრდილო კავკასიაში, ამით ისინი ასაბუთებენ თავის უფლებებს სამხრეთ კავკასიის რომელიღაცა ნაწილის, სახელდობრ, ცხინვალის რეგიონის მიმართ. ოსებმა ძალიან კარგად იციან, რომ ეს ორი სულ სხვადასხვა ტერიტორია გახლავთ. ჩრდილო კავკასიაში თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე რომ ლაპარაკობენ, ამით ისინი ასაბუთებენ თავის უფლებებს ვეინახების (ჩეჩნებისა და ქისტების) პირისპირ, რომელნიც მათ იქაც (ჩრდილო კავკასიაში) მოსულებად რაცხენ, და არა ქართველების პირისპირ). მეორეც, ოსები XVII ს-ში რუსეთის სამხრეთ საზღვარზე კი არ დასახლდნენ, არამედ საქართველოში. მესამეც, XIX-XX საუკუნეებში „ოსეთის“ „მეორედ გაყოფა“ ფანტაზიაა, რადგან არავითარი „ოსეთი“ არ „გაყოფილა“ არც XX საუკუნეში (ამ დროს, როგორც ვთქვით წელან, ერთი ოსეთის, სახელდობრ, ნამდვილის გვერდით, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მდებარეობს, რუსი დამპყრობლის მიერ შეთხზული იქნა და 1922 წლიდან „დაკანონებულ“ იქნა მეორე, ყალბი „ოსეთი“ მის მიერ დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიის შიგნით და მის ხარჯზე). რაც შეეხება „ოსეთის“ რაღაც გაურკვეველ სივრცეში მოთავსებულ მითიურ პირველ გაყოფას, იგი არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა, ვინაიდან ერთადერთ მანამდე არსებულ ოსეთს — კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარეს — არც რამე მოჰკლებია, არც რამე შეჰმატებია. მეოთხეც, აბერაციაა გამოთქმა, რომ „სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, არ არსებობდა“. იგი არ არსებულა არც როგორც ეთნიკური ტერიტორიული ერთეული, და არა მხოლოდ როგორც ადმინისტრაციული ერთეული. აბერაციაა იმის თქმაც, რომ ცხინვალის რეგიონში „ხშირი იყო გლეხთა ამბოხებები“ (ასეთი ამბოხება, რამდენსამე ტალღად, მოხდა მხოლოდ 1919 წელს, ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული)“.

შეცდომებით უხვადაა მოფრქვეული ტექსტი ამ აბზაცის გარეთაც. მრავალთა შორის საყურადღებოა შემდეგიც (მოვყვები ციტირებულ ნაწყვეტს თავიდან): 1992 წლის 24.VI ხელშეკრულებით ცხინვალის კონფლიქტი „გადაჭრილად ითვლება“ მხოლოდ რუსების მიერ და მათი ქართველი მარიონეტების მიერ, მაგრამ არა მოსახლეობის მიერ. „ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის კონფლიქტი“ „ისტორიულად ღრმად ფესვგამდგარი“ ვერ იქნება, რადგან კავკასიონის სამხრეთით ოსების სახლობა ამდენ დროს არ ითვლის; ძალიან საეჭვოა ბოლშევიკურად „იდეოლოგიზირებული“ ციფრები, — რომ 1920 წლის აპრილიდან ივნისამდე აჯანყების ჩაქრობისას 5000 კაცი დაიღუპა და 20 ათასი ჩრდილოეთში გავიდა (სულ ამ დროს საქართველოში 51 ათასზე ცოტა მეტი ოსი ცხოვრობდა, ამათში უმეტესობა — ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები ცხინვალის რეგიონის გარეთ). დასკვნას, მე მგონი, ალტერნატივა არა აქვს: მკვლევარი კომპეტენტური არ არის. თუ, როგორც საგაზეთო პუბლიკაციის ავტორები წერენ, იგი საქართველოს საკითხებში ეუთოს მრჩეველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეუთოს ამ საკითხებში მრჩეველი არ ჰყავს, ხოლო თუ იგი ამ საკითხებში სტანდარტთა დამდებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სტანდარტები ვითარებისადმი არაადექვატურად იდება.

ჩვენი მსჯელობის კონტექსტში მოსაყვანად ღირს ნიკოლას ბუსეს (Busse) პუბლიკაცია ინტერნეტში სათაურით „ომი, რომლის გადახდა ღირდა“. აი, იგი:

„ბოლო კვირათა მანძილზე ბრიუსელში ორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელთა კვალი ალბათ კიდევ დიდხანს გაჰყვება მსოფლიო პოლიტიკას — ოღონდ ყველა შემთხვევაში სხვა, ვიდრე დღეს მრავალი მონაწილე მოელის. ერთი ისაა, რომ ევროკავშირმა გადაწყვიტა გააგრძელოს რუსეთთან მოლაპარაკება პარტნერობის ახალი შეთანხმების შესახებ, რომელიც შეწყვეტილი იყო საქართველოში მომხდარი ომის გამო. მეორე, ნატომ გზა გაიკაფა იმ გადაწყვეტილებისაკენ, რომ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომები თანდათანობით განახლდება. ეს სხდომებიც ამ ომის გამო იყო შეჩერებული.

„ჯამში ეს ნიშნავს: ომიდან ოთხი თვის თავზე დასავლეთი აუქმებს თავის ზომებს მოსკოვის წინააღმდეგ, მას დღის მიმდინარე საქმეებთან დაბრუნება ჰსურს.

„ეს საქმის იმგვარი განვითარებაა, რომელიც უშუალოდ ომის შემდეგ მოსალოდნელი არ იყო, ყოველ შემთხვევაში — ასე მალე მოსალოდნელი. აგვისტოში ორსავე ხსენებულ ორგანიზაციაში ძლიერი ძალები არსებობდნენ, რომლებსაც ჰსურდათ რუსეთის დასჯა მისი შეჭრისათვის პატარა კავკასიურ ქვეყანაში: ბრიტებს, შვედებს, ბალტებს, სხვა აღმოსავლეთ ევროპელებს და პირველ ყოვლისა ამერიკელებს ჰსურდათ, რუსეთისათვის ფასი გადაეხდევინებინათ მისი მოქმედების გამო.

„ვაშინგტონში ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ დაემუხრუჭებინათ რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და იგი გაერიცხათ დიდი რვიანიდან. ევროკომისიაში ხდებოდა რუსეთთან არსებული ყველა ხელშეკრულების გადათვალიერება სანქციების შესაძლებლობათა დადგენის თვალსაზრისით.

„ის, რომ დღეს ამაზე აღარავინ ლაპარაკობს, მნიშვნელოვანწილად გერმანიის საგარეო პოლიტიკის შედეგია. მისი მთავრობა ევროკავშირშიც და ნატოშიც იმ პოზიციით გამოვიდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ რაც შეიძლება ნაკლები ზომები ყოფილიყო მიღებული, კიდევ უკეთესი — სულაც არ ყოფილიყო მიღებული. ევროკავშირისა და რუსეთის შეთანხმებაზე მოლაპარაკებათა შეწყვეტის წინააღმდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ის მოსაზრება წამოაყენა, რომ ახალი მოლაპარაკების დადება ევროპელებს მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე რუსებს. ნატოსა და რუსეთის დიალოგის შეწყვეტის წინააღმდეგ კი იგი იმ არგუმენტით გამოვიდა, რომ

ვაგრძელება მე-15 გვერდზე

რატომ არ უნდა გერმანიას საქართველოს ყოფნა ნატოში?

მე-14 გვერდიდან

სწორედ კრიზისის დროსაა საჭირო დიალოგში ყოფნა.

„ამ ხაზს განსაკუთრებით დაბეჯითებით იცავდა საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი. მაგრამ კანცლერის კანცელარიდანაც მოდიოდა ხმა, რომ უმჯობესია რუსებს მათ შეცოდებებზე განმარტოებაში ველაპარაკოთ, ვიდრე ისინი საჯაროდ დავსაჯოთ.

„საყურადღებოა, რომ გერმანიაში ამ თემის განხილვაში ოდნავ თუ უთამაშია აქამდე როლი იმ ასპექტს, რომელიც, გრძალვადიანი მომავალი ინტერესების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობისაა: ესაა კითხვა, თუ რა სიგნალს უგზავნის დასავლეთი თავისი ქმედებით მსოფლიო პოლიტიკის სხვა მონაწილეებს, როცა რუსეთის ხსენებულ ქმედებებს უყურადღებოდ ტოვებს. სტრატეგიული თვალსაზრისით — მსოფლიო პოლიტიკაში კი ჭეშმარიტი მნიშვნელობა მხოლოდ ამ თვალსაზრისს აქვს — ზაფხულის ომში საქმე ეხება არა სამხრეთ ოსთა და აფხაზთა ბედს, არამედ კითხვას, თუ სადაა საქართველოს ადგილი — ნატოში და ევროკავშირის გვერდით თუ, პირიქით, იგი რუსეთის გავლენის სფეროს ნაწილია.

„პასუხს, რომელიც დასავლეთმა ამ კითხვას გასცა, მოსკოვში ალბათ კმაყოფილებით შეეხვდნენ. ეს პასუხი ხაზგასმით მეტყველებს: თუ შეიჭრებით ქვეყანაში, რომელსაც დასავლეთი ნატოში მიღებას შეეჰპირდა და რომლითაც შეგიძლიათ ააწყოთ ენერგიის ტრანსპორტირება კასპიის რეგიონიდან, ამისთვის თქვენ, ყველა შემთხვევაში, გემუქრებათ მხოლოდ ორი კვირის მანძილზე უბრად ყოფნა. მეტიც: ისიც კი შეგიძლიათ, რომ ეს ქვეყანა დაანაწევროთ და იქ მეტი ჯარები ჩააყენოთ, ვიდრე მოლაპარაკებული იყო (იგულისხმება მოლაპარაკებები ჩვეულებრივი იარაღის განლაგების შესახებ. რედ.), ისე, რომ ამას არანაირი სერიოზული შედეგი არ მოჰყვება.

„მტკიცე კურსი ჩინეთთან

„იმას, რომ დასავლეთს, პირველ ყოვლისა — ევროპელებს შეუძლია დიდ ქვეყანას სხვაგვარადაც მოეპყრას, მოწმობს ევროკავშირის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. მას შემდეგ, რაც მოხდა დიდი სისხლისღვრა პეკინის მთავარ მოედანზე, უკვე 19 წელია გასული, მაგრამ ამის გამო ევროკავშირი დღესაც აგრძელებს ჩინეთისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს. ამაშიც სტრატეგიული სიგნალი ძევს: ევროპელები მზად არიან ათწლეულთა მანძილზე საჯონ შორეული მსოფლიო ძალები მათს შინაგან საქმეებში ჩადენილის გამო, მაგრამ შემკრთალნი ჩერდებიან, როცა ახლო მყოფი მსოფლიო ძალა ძალით უხვდება წინ მათ ხელჩართულ ინტერესებს.

„მსოფლიო პოლიტიკის დაუწერელ სახელმძღვანელოებში ასეთი მოქმედება, ჩვეულებრივ, სისუსტედ გაიგება. სწორედ ისეთი აღმავალი ქვეყნები, როგორნიც ჩინეთი და ინდოეთი არიან, აღბეჭდავენ ამით თავის გონებაში, რა დაბალი ყოფილა ფასი, რომელსაც ბრიუსელი ახდევინებს საკუთარი ძალის დემონსტრაციის ჩამდენს. დამაფრთხობელ შთაბეჭდილებას ეს ფასი, ნამდვილად, არ ახდენს.

„ხარჯის ფხიზელი გათვლა ევროპაში წარმოებულ ღია დებატებში ოდნავ თუ ხსენებულა, რადგან ეს თემა ვერ ეთანადება ევროკავშირის სურათს საკუთარ თვალში, როგორც „რბილი ძალისას“. კულისებში, მართალია, მტკიცე რეაქციის პრო და კონტრას აწონ-დაწონას ადგილი უწყვეტად ჰქონდა. საწინააღმდეგო არგუმენტი მუდამ ის იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიღებით დასავლეთი თავისთავს ავნებს.

„ფაუსტური გირაო ნატოს გაფართოების წინააღმდეგ

„ერთხელ ერთმა მინისტრმა ირონიულად პასუხი გასცა კითხვას, თუ რა საშუალებების გამოყენება ძალუძთ ევროპელებს რუსეთის წინააღმდეგ: ჩვენ შეგვიძლია კოლექტიურად უარი ვთქვათ რუსეთისაგან საწვავის მიღებაზეო. კომისიამ ის აზრიც კი კონტრპროდუქტიულად ჩათვალა, რომ რუსეთის მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემის პროცედურა გაამკაცრონ, რადგან მოსკოვი ამაზე ირეაგირებს ზომების მიღებით ევროპელ ეკონომიკურ სუბიექტთა წინააღმდეგ. ამ პოზიციაშიც ვლინდება ღირებულსაგანთა გათვლა: მრავალ ევროპელს, და საკუთრივად გერმანელებს, თავისი სამეურნეო ინტერესები უფრო უღირთ, ვიდრე ევროპული უშიშროების სტრუქტურა.

„კონკრეტული მოგება ამ სიტუაციიდან რუსეთს სწორედ ნატოს გაფართოების საკითხზე არსებული მწვავე დაპირისპირებიდან აქვს: რაკი გერმანელები და სხვა დასავლეთ ევროპელები სეცესიასთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებას ნატოში საქართველოს მიღების პირობად აყენებენ, რუსეთს შეუძლია ეს უკანასკნელი ბლოკოს იმით, რომ ამ რეგიონებში ჯარები ჰყავდნენ.

„რაც შეეხება უკრაინას, აქ კრემლმა მაგალითი გვიჩვენა ქმედებისა, რომელიც უკვე შთამბეჭდავი ხდება.

„უშიშროების პოლიტიკასთან დაკავშირებულ წრეებში გერმანიაში აქა-იქ გვესმის ისტორიული კიევის რუსეთის დამოწმებით იმის ხსენება, რომ უკრაინის მიღება ნატოში ისე იმოქმედებს რუსებზე, როგორც მათი სამშობლო მიწის მიტაცება. მედვედევი და პუტინი რომ თავის წლიურ ბალანსს გამოიყვანენ, მათ ალბათ იმის გრძნობა ექნებათ, რომ ზაფხულის ომი ჩატარებად ღირდა“.

მიხაელ შტურმერის (Stürmer) პუბლიკაცია „Die Welt“-ში **„ხორცი ხორცთაგანი რუსეთისა?“** — რეცენზია ჯონათან ლიტელის წიგნზე „საქართველოში მოგზაურობის დღიური“ — ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ ბ-ნი შტურმერი, რამდენადაც გერმანიაში მაცხოვრებელი ქართველებისგან ვიცით, ჯერ ერთი, პოპულარული და ავტორიტეტული პოლიტოლოგი ჟურნალისტია, მეორეც, თავის კოლეგებში ტრადიციულად გამოირჩევა ფხიზლად კრიტიკული დამოკიდებულებით რუსული პოლიტიკისადმი. და დასავლური პოლიტიკის პრორუსული დინებებისადმი, მაშასადამე — სიმპათიითაც იმ მიზნებისა და ღირებულებებისადმი, რომელთაც ჩვენ, ქართველები ვაღიარებთ. ამჯერად მისი კილო და სიმპათია-ანტიპათიათა რუკა გადახრილია საქართველოს მტრებისაკენ. ანალიტიკოსისა და მკვლევარის ხედვის ეს მეტამორფოზა, როგორც ჩანს, დიდი სისწრაფით მომხდარა, რის გამოც ახალი საგნის — კავკასიის ვითარების — საკმარისად გაცნობა ვერ მოუსწრია და, შედეგად, მის სამგვერდიან რეცენზიაში რამდენსამე თვალში საცემ აბერაციას ვხვდებით.

პირველი. იგი ფიქრობს, რომ **„აფხაზები არ არიან არც ქართველები, არც რუსები, არამედ ხალხთა დიდი გადასახლების დროიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირთან არიან შემორჩენილნი“.** სინამდვილეში პოზიტიურმა მეცნიერებამ კარგად იცის, როგორც უცილობელი ფაქტი, რომ აფხაზები, რომლებიც მართლაც არც ქართველები არიან, არც რუსები, კავკასიური მოდგმის ხალხთა ოთხიდან ერთი ჯგუფის — აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის (და მათი ენებიც, შესაბამისად, აფხაზურ-ადიღეურ ენათა ჯგუფის) — ერთერთი შემადგენელი არიან და მათს, ისევე როგორც მთლიანად ამ ჯგუფის, — მყოფობას შავი ზღვის აღმოსავლეთით საქმე არა აქვს ხალხთა გადასახლებებთან გარდა იმ მცირე დეტალისა, რომ აფხაზები (თავის თავს ისინი „აფსუა“-ს უწოდებენ), მეცნიერთა ერთი ნაწილის ვარაუდით, ისტორიულად ცოტა უფრო ჩრდილო-დასავლეთით, სახელდობრ, ყუბანის შესართავის მიდამოებში სახლობდნენ (თ. გვანცელაძე და სხვანი), შემდეგ იმოძრავეს კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებამდე (სადაც მათი უახლოესად მონათესავე ხალხები ახლაც სახლობენ) და ბოლოს, XV-XVII საუკუნეებიდან, გადმოსახლდნენ ქართულ პროვინცია აფხაზეთში, სადაც დღევანდელი სახელი „აფხაზი“ მიიღეს და სადაც ახლაც სახლობენ, მეცნიერთა მეორე ნაწილი კი, სახელდობრ, აფხაზი მეცნიერები, ფიქრობენ, რომ ისინი ყოველთვის ცხოვრობდნენ იქ, სადაც ახლა იმყოფებიან. ავტორი ყოველი შემთხვევისათვის, რომ დიდი ცდომილება არ დაუშვას, ხმარობს ზოგადსა და დაუზუსტებელ გამოთქმას „ხალხთა გადასახლებანი“ და ამგვარად მკითხველს უტოვებს თავისუფლებას, გადაწყვიტოს, ეს გამოთქმა ხალხთა ცნობილ დიდ გადასახლებას ეხება (დიდი მასებისას და დიდ მანძილზე) თუ ისტორიის მიერ ნახევრად მივიწყებულ ან სულაც ვერ შემჩნეულ მიგრაციებს პატარა მასებისას პატარა მანძილებზე. ბ-ნი შტურმერის ამ ყალბ კონსტატაციას აქვე მოჰყვება მეორე: აფხაზები, მისი აზრით, **„თავის კუთვნილობას საქართველოსადმი უმადლიან სტალინის მოხასიათებას“** (Laune) და „საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წელს **დრო არ დატოვა იმისათვის, რომ მომხდარიყო კავკასიის პატარა ხალხოვანებათა ახალი დახარისხებაც (sortieren).** სინამდვლეში აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო 1918-1921 წლებშიც, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — იყო და რუსეთის მხრივ ანექსიის მსხვერპლი გახდა 1921 წლის თებერვალ-მარტში), და ისტორიის ცნობილ მთელ მანძილზეც, რომელმაც (ისტორიამ) არ იცის არც ერთი მომენტი საქართველოს (ან მისი დასავლეთი ნაწილის — კოლხეთის, ეგრისის, ლაზიკის, იმერეთის) შემადგენლობაში აფხაზეთის არყოფნისა. თვით რუსულ მონარქიაშიც, რომელშიც საქართველო არსებობდა ორი გუბერნიის სახით, აფხაზეთი ერთი მათგანის — ქუთაისის გუბერნიის — ნაწილი იყო. ავტორმა არც ის იცის, რომ აფხაზები, რომელნიც არც ქართველები არიან, არც რუსები და რომელთაც, როგორც იგი ქვემოთ წერს აფხაზი მინისტრის სიტყვების დამოწმებით, „საქართველოში ყოფნას მაინც რუსეთში ყოფნა ურჩევნიათ“, არ არიან იგივე, რაც აფხაზეთი: აფხაზეთი არის ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის მყოლი ტერიტორია (ეთნიკურ წმენდამდე მოსახლეობის 46%), ანუ მოსახლეობისა, რომელმაც ეს ტერიტორია, ისტორიულად, ხელუხლებელი ტყეებისა და მინდვრების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში, და არა მხოლოდ აფხაზებისა, ანუ აფსუებისა (მოსახლეობის 18%), რომელთაც სხვანი (ქართული სახელის მიხედვით) „აფხაზს“ უწოდებენ, ამასთან, მას (ბ-ნ შტურმერს). არც დემოკრატიულმა ალღომ, არც ტერმინოლოგიისადმი ოდნავ მაინც კრიტიკულად მომთხოვნმა დამოკიდებულებამ არ უკარნახა, რომ კავკასიის მცირერიცხოვან ერებს (იგულისხმება: ჩრდილო კავკასიის ერებს და სამხრეთ კავკასიაში — აფხაზებს) არ უწოდოს „ხალხოვანებანი“ მანამდე, სანამ ხელთ არ ექნება მყარი კრიტერიუმი, რომლითაც დადგენადი იქნება, ვინ არის „ერი“, ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითცნობიერი მაკროჯგუფი, რომელსაც, გენეტიკურ ერთობასთან ერთად (რაც უნდ კომბინირებული იყოს ეს უკანასკნელი), ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიო სისტემის პრინციპულად თანასწორ წევრად, უწყვეტი ისტორიისა და მომავალის მქონე წევრად, ერთობლივი მიზანსახვისა და პასუხისმგებლობის მქონე წევრად ყოფნის ცნობიერება აქვს, და ვინ ჯერ არ არის მოლწეული ცნობიერების ევოლუციაში ამ ნიშნულამდე, ანუ ერად ყოფნის დონემდე. სამწუხაროა, რომ ავტორს ექსპერტიზა ჰკლებია არა მხოლოდ თავისი განხილვის საგანში, არამედ ხალხთა კოლექტიური თვითცნობიერების განვითარების დღევანდელი მდგომარეობის სფეროშიც.

აბერაციები „Die Welt“-ის ამ მცირე პუბლიკაციაში სხვაც ბევრია, თუმცა არა ესოდენ თვალში საცემი. მაგალითად, როცა ავტორი წერს, „რუსები და სხვა მემშვიდობე ძალები“, იგი ცდება: რუსების გარდა ცხინვალის რეგიონის „სამშვიდობო“ მისიაში მონაწილეობა „ესენგეს“ არც ერთ სხვა წევრ სახელმწიფოს არ მიუღია, ასევე არც აფხაზეთში, თუმცა იქ გაეროს მიერ მიცემული მანდატი ესენგესი იყო და არა რუსეთის. ასევე ცდება იგი, როცა წერს, რომ აქ (კავკასიაში) დემოკრატია არასოდეს არსებულა (nie zuhause war): მან არ იცის არა მხოლოდ ის, რომ საქართველოს ერთ მეხუთედს, სახელდობრ, მთიანეთს თავისი დღევანდლამდელი ისტორიის დიდი ნაწილი ე.წ. სამხედრო დემოკრატიის პირობებში აქვს გატარებული, ხოლო საქართველოს დანარჩენი ოთხი მეხუთედი მკაფიოდ გამოხატული ფეოდალური ისტორიის მქონე ქვეყანაა (ფეოდალიზმი, როგორც მკითხველს, უთუოდ, მოეხსენება, შუა საუკუნეების დემოკრატიაა იმავე შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული დესპოტიების ფონზე), რის გამოც ქართველი ერი მენტალურად იყო და არის მზად დემოკრატიაში სარეალიზებელი ორივე აბსოლუტური ადამიანური ღირებულებისათვის — თანასწორობისა და თავისუფლებისათვის — მსხვერპლის გასაღებად. არც ის იცის (თუმცა ეს ინფორმაცია მისთვის უფრო ხელმისაწვდომი უნდა იყოს), რომ 1918-1921 წლებში არსებული და 1921 წელს ანექსირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სანიმუშოდ დემოკრატიული ქვეყანა იყო.

სამწუხაოდ, ამ ადვილად მისატევებელი არცოდნის გვერდით პუბლიკაციაში გვხვდება არამისატევებელი, სახელდობრ, ტენდენციურობით გამოწვეული უზუსტობებიც, რომლებიც აზარალებენ საქართველოს პრესტიჟსაც და დღევანდელი ტრაგიკული განსაცდელიდან საქართველოს გადარჩენის პრაქტიკულ შანსებსაც. დავასახელებ რამდენიმეს.

ის, რაც თთქოსდა 8 აგვისტოს ქართველების მიერ დაწყებულ ომს უძღოდა, იყო არა Scharmützel (შეტაკებები), რომლებმაც, თითქოს, ქართულ მხარეს მოთმინება დააკარგვინეს, არამედ ქართული სოფლების სისტემური და მიზანმიმართული დაბომბვა (სხვათა შორის, კასეტური ჭურვების გამოყენებითაც), რაც თქვენს მონამორჩილს საკუთარი თვალით ნახული მაქვს, ამორჩევითი და არაარჩევითი მკვლელობები და მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფის სხვა ცნობილი ფორმები. ასევე არაჭეშმარიტია ავტორის სიტყვა, თითქოს (ევროპელთათვის) დამტკიცებულია, რომ თავდამსხმელები ქართველები იყვნენ (ამ თემის გარკვევა ჯერ კიდევ საერთაშორისო კომისიის დავალებად რჩება ქ.ნ ტავიამინის ხელმძღვანელობით). რაც შეეხება ავტორის რიტორიკულობის ელფერდაკრულ კითხვას — რას უნდა ეიძულებინა, **„თუ ქართველი ფიურერის სუიციდალურ ტენდენციებს არ მოვიშველიებთ“**, ქართული მხარე, რომ დაერღვია **„1992 წლიდან არსებული ჰაერში გამოკიდებული (schwebend) მდგომარეობა“** (სინამდვილეში ეს ის მდგომარეობა იყო, რომელშიც ქართველების ნელი გენოციდი ოსების ხელით და რუსების ხელშეწყობით გრძელდებოდა), ამ კითხვის ცალსახა პასუხი აქვთ საქართველოს ე.წ. ეროვნული ძალებს, ანუ საქართველოს დემოკრატიული ძალების იმ ნაწილს, რომელსაც საზღვარგარეთიდან დახმარება არა აქვს. ამათი აზრით, საკაშვილი თავისი ხროვითურთ, ისევე როგორც შევარდნაძე თავისითურთ, რუსეთის ცალსახა სამსახურში დგას. მან, მას შემდეგ, რაც წლების მანძილზე არ გააუქმა რუსების, — აგრესიის ამ მთავარი ორგანიზატორების — სამშვიდობო მანდატი, ცეცხლი გახსნა იქ, სადაც რუსებმა უბრძანეს, მაშინ, როცა რუსებმა უბრძანეს, და იმ იარაღით, რომლითაც რუსებმა უბრძანეს. ამით მან რუსებს საბაბი მისცა (მართალია, ყალბი საბაბი, მაგრამ მაინც საბაბი) ორივე ბრალდებისთვის საქართველოს წინააღმდეგ. პირველი: თქვენ ესროლეთ ჩემს მემშვიდობეებს (ეს სცრუეა: ქართველები მემშვიდობეებს არ შეჰხებიან. მემშვდობეები უძრავად იდგნენ მანამდე, სანამ ქართვლებმა უკან დახევა არ დაიწყეს საავიაციო

გაგრძელება მე-16 გვერდზე

რატომ არ უნდა გერმანიას საქართველოს ყოფნა ნატოში?

მე-15 გვერდიდან

დარტყმის შედეგად, ხოლო მერე ზურგში ცეცხლი გაუხსნეს). მეორე: თქვენ მოახდინეთ ოსების სიცოცხლის ხელყოფა (რაც აგრეთვე სიცრუეა: ქ. ცხინვალი დანგრეულია რუსული საავიაციო დაბომბვით და არა ქართველების საარტილერიო ცეცხლით). სააკაშვილის მოქმედების რაციონალური მოტივაციის არარსებობაზე მიანიშნა გერმანელმა ევროპარლამენტარმაც, როცა ამ პარლამენტის კათედრაზე მდგომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ჰკითხა: „ქალბატონო, ყველაფერში გეთანხმებით და თქვენი ნათქვამი ყველაფერი მჯერა. მაგრამ ამიხსენით, თქვენი პრეზიდენტი ასეთ მარტივ სატყუარს რუსეთის მხრიდან როგორ წამოეგო?“

დაბოლოს, სამწუხაროა და გაუგებარია ჩვენს ფხიზელსა და სკეპტიკურად განწყობილ საუკუნეში, რომ ავტორს, როცა იგი აღნიშნავს, რომ აგვისტოს ომი რეალურად არის „სიმართლის წამი“ დასავლელთა და რუსთა შორის, და არა ადგილობრივი მცირე ძალების ურთიერთძიძგილაობა (და რომ რუსეთი კვლავ მოდის, როგორც დიდი ძალა, ამ რეგიონში), ავიწყდება ამ კონსტატაციაზე მორალურად აუცილებელი კომენტარის დართვა (ან თავის კილოში ირონიის შერევა მაინც): რომ მოვლენათა განვითარების მექანიზმი, თუ იგი მართლაც ესაა, რასაც ავტორი ფიქრობს, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მორალს, არამედ პერსპექტივის რუსულ-იმპერიულ ხედვასაც, ვინაიდან, როგორც ჰეგელი ფიქრობს და ჯერჯერობით თავის ამ თეზისში კამათს უძლებს, ისტორიული განვითარება, ასე თუ ისე, ლოგიკური განვითარებაა, ანუ ადამიანის აზრისა და განცდის გარდუხდომელი შინაგანი მოტივაციებით განსაზღვრული, და რომ კაცობრიობის დიდი უმრავლესობის, — ანუ ასე თუ ისე მორალსა და სხვა ადამიანურ ღირებულებებზე ორიენტირებული მასის, — აზრისა და ნების წინააღმდეგ ისტორიის გენერალური ხაზები არ წარიმართება და ვერ წარიმართება, რის გამოც, სხვათა შორის, თეზისი, რომ რუსეთი „კვლავ მოდის“ და მოვა ამ რეგიონში, რუსეთის მიერ სისხლით დატბორილ კავკასიაში, ვერასოდეს ვეღარ გამართლდება.

რა შეიძლება იყოს პრესის განწყობილების ამ ფონზე ნატოში საქართველოს არმიღების სურვილის მიზეზი გარდა იმ ზოგადისა, რომლის გამოც საქართველოს საერთო-ეროვნული მისწრაფება დასავლეთთან (ევროპასთან) სამხედრო კავშირისაკენ განბილებული იყო, მინიმუმ, ოთხი საუკუნის (XVII-XX) მანძილზე? (ეს ზოგადი, ალბათ, იმ მარტივ ფაქტებში მდგომარეობს, რომ აღმოსავლეთის ძირითად დიდ სახელმწიფოებთან — სპარსეთთან და თურქეთთან — ურთიერთობა დასავლელებს ამ საუკუნეების მანძილზე უფრო უღირდათ, ვიდრე საქართველო, და რომ გლობალიზაციის იმ დროს ჯერ ძალიან დაბალი დონის პირობებში სათანადო ძალისხმევა დასავლეთის მხრიდან არარეალისტურად დიდ გადაძაბვას მოითხოვდა). ამ კითხვაზე პასუხის ძიებაში წარმოსახვისთვის ფართო ასპარეზი არსებობს.

1. გერმანიისათვის, ისევე როგორც განვითარებული კონტინენტური ცენტრალური ევროპისათვის საერთოდ, არასასურველი პერსპექტივაა რუსეთის მეტ-ნაკლებად რადიკალური („სრული“) გამოთიშვა დიდი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თამაშებიდან, როგორც პირველი რიგის მსოფლიო ძალისა. თუ ეს მოხდა, ანუ რუსეთის გლობალური ფაქტორი მოიხსნა, მაშინ რეალურად ყალიბდება (და შეუქცევადად ყალიბდება დიდი ხნით) ორპოლუსიანი გლობუსი — აშშ ერთ მხარეს და ჩინეთი მის მოპირისპირე მხარეს. დასავლეთი და ცენტრალური ევროპა, რომელიც დღეს, სხვადასხვა ასპექტთა ჯამური გათვალისწინებით, მსოფლიოს ცენტრია, მსოფლიოს პროვინცია ხდება, რასაც მისთვის არახელსაყრელი ფსიქოლოგიური და მრავალი სხვა სახის შედეგები მოსდევს. ეს მით უფრო წონადი მოტივია გერმანიისთვის, რომ საქართველოს მომცველი გზა შუა აზიისაკენ (შავი ზღვა □ საქართველო-აზერბაიჯანი-კასპიის ზღვა), თუმცა მთლიანად დასავლეთის ინტერესებისთვის ზედმიწევნით სასარგებლოა, მაინც ამერიკულია და არა ზოგადდასავლური. დასავლეთის მთავარ სახელმწიფოებს შორის, მართალია, ისეთი მყარი სათავდაცვო, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ზოგადმენტალური ალიანსი არსებობს, როგორიც, ალბათ, ისტორიაში ჯერ არ არსებულა, მაგრამ არსებობს, ცხადია, ინტერესთა ზედაპირული წინააღმდეგობებიც, რაც მომცრო ზედაპირული „ურთიერთკვანტების“ გამოდების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ის, რომ დასავლეთის ერთობა ამ რეგიონშიც (კავკასიაში და მთელს ახლო აღმოსავლეთში) შორი პერსპექტივისთვის ურღვევია, იმ მარტივი გარემოებიდანაც გამომდინარეობს ცალსახად, რომ ეს რეგიონი — კასპია და შავი ზღვა თავისი მიდამოებითურთ — დედამიწის ის ნაწილია, სადაც გადის მესამე მსოფლიო ომის ერთი ძირითადი ფრონტი ორთაგან (მეორეა წყნარი ოკეანე). დასავლეთს მთლიანად (და არა მისი შემადგენელთა რომელიღაცა ნაწილს) სისხლხორცეულად აინტერესებს, რომ ამ ფრონტის ხაზმა გაიაროს არა კასპიის ზღვაზე, როგორც დღეს გადის, და არა შავზე, როგორც რუსეთს ჰსურს, არამედ ცენტრალური აზიისა და ჩინეთის გამყოფ მთიანეთზე. დასავლეთის ინტერესია, რომ ხსენებული ხაზის ეს გადაადგილება აღმოსავლეთისაკენ მანამდე მოხდეს, სანამ ჩინეთი მზაობას მიაღწევდეს მესამე მსოფლიო ომის აღმოსავლური ბანაკის პირველ ნომრად დგომისათვის (რაც დაახლოებით 2020 წლის მიდამოებით თარიღდება). თუ ამიერკავკასია ადრე და ადვილად აღმოჩნდება ჩაბმული ამ არსებითად ამერიკულ, თუმცა ევროპელებისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტში (ანუ თუ საქართველო მალე გახდება ნატოს წევრი), ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელების რთული, მძიმე და გრძელვადიანი ბრძოლა ცენტრალური აზიის ენერგეტიკული ნაკადების დასავლეთისაკენ (და არა ჩინეთისაკენ) მოქცევისათვის, რომელიც მიმდინარეობს და რომელშიც ევროპელთა ჩაურთველობა ამ უკანასკნელებს საკმაოდ სწყინთ, მათ განუზომელ უპირატესობას მისცემს ამ გზით გადარჩენილ რესურსთა გამოყენებაში (ანუ მომატებულ, თუმცა გარანტირებულ კეთილგანწყობილ პოზიციებს ევროპის ნავთობით და გაზით მომარაგების სფეროში). ცენტრალურ ევროპას (გერმანიის ჩათვლით) ეს არც თუ ძალიან უნდა. სიტუაცია, თუ ეზოპეს ენით ვილაპარაკებთ, შეიძლება შევადაროთ ხომალდზე მყოფი იმ კაცის განწყობას, რომელიც მთელს ენერგიას ახმარს კომფორტული ადგილის მოპოვებას ბორტზე, მაგრამ მის არცერთ ნამეცეს არ ახმარს გემის გადარჩენისათვის ბრძოლას, რადგან დარწმუნებულია, რომ ამ ამოცანისთვის სხვათა ძალისხმევაც სავსებით კმარა.

ეს მხოლოდ ზოგადი ფონია, რომელზედაც, ლოგიკურად, მოსალოდნელია გერმანული პოზიციის ჩამოყალიბება დროის ამა თუ იმ კონკრეტულ მონაკვეთში. უფრო კერძო განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, ბუნებრივია, თავის როლს უნდა თამაშობდეს რუსეთთან, ამა თუ იმ პარამეტრებში, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობათა ქონის სურვილიც. ამ კონტექსტში შეგვიძლია მოვიაზროთ ნატოში საქართველოს არშეშვების მეორე შესაძლო მოტივიც. როგორც კანტიკუნტად მოდის ქართველი საზოგადოების ყურამდე (ერთი საინტერესო ინტერვიუ ამ თემაზე ამ ორიოდე დღის წინ ვნახეთ ქართულ პრესაშიც), რუსეთიდან ინვესტიციების გატანის ზოგად ფონზე გერმანია გამონაკლისია. გერმანული ბიზნესი რუსეთიდან სახსრების გატანას არც ჩქარობს და, შესაძლებელია, არც ფიქრობს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს უთუოდ ისტორიის გათვალისწინება სჭირდება. დაახლოებით ორასი წლის მანძილზე, პეტრე პირველიდან ნიკოლოზ მეორემდე, გერმანული რესურსი, სახელდობრ, ჭკუა, შრომა და ადმინისტრაციული გამოცდილება, და რუსული რესურსი, სახელდობრ, ტერიტორია, ბუნებრივი სიმდიდრე და ადამიანთა სიმრავლე, მჭიდრო ტანდემში მუშაობდნენ უზარმაზარი იმპერიის ასაშენებლად და ააშენეს კიდეც იგი. ამიტომ ალბათ არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ, მიუხედავად ორი ჩავლილი ტოტალური ომისა მათ შორის, ტანდემის ორსავე მონაწილეს მუდმივად თვალწინ უტრიალებს ნეტარი წარმოდგენა ამ ნაყოფიერი ტანდემის განახლებისა, რაც დღევანდელ პირობებში, ლოგიკურად, ერთის მხრივ, გერმანული ტექნიკური მეცნიერული დონისა და ორგანიზაციული გამოცდილების, მეორეს მხრივ კი ისევ რუსული ბუნებრივი რესურსების, რუსული ბაზრისა და რუსული შედარებით იაფი საკმარისად კვალიფიციური შრომის უაღრესად მომგებიან თანამოქმედებას ნიშნავს. გერმანია, როგორც ცნობილია, დღეს პირველობისათვის იბრძვის არაერთ პარამეტრში, ინდუსტრიულისა და ზოგადეკონომიკურის ჩათვლით. თუ მან შეძლო თავისთვის ამ მეტოქეობაში ისეთი კოლოსალური რეზერვის შექმნა, როგორიცაა რუსეთი, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ასპარეზზე მკვეთრი აღმავლობის გზით ივლის. საქართველოს ნატოში შესვლისადმი წინააღმდეგობა, ცხადია, დიდად ამაღლებს რუსეთთან ამგვარი თანამშრომლობის ტრადიციისათვის ახლავე საფუძვლის ჩაყრის შანსს.

დასასრულ, ქართული პრესის ერთ პუბლიკაციასაც მინდა შევეხო, რომელსაც გერმანული პოლიტიკის ამჟამინდელ შესაძლო მოტივებთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ერთგვარ ანალოგად მაინც გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონის ძალთა და ინტერესთა მიმართებების განხილვაში რეგიონს გარეთ მდებარე დეტერმინანტების შემოყვანაც. ეს პუბლიკაცია გახლავთ სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტში შესრულებული შრომა, რომლის შემოკლებული ვარიანტი მოთავსებულია ა.წ. 17 იანვრის „24 საათში“. ავტორები იხილავენ კავკასიაში მოქმედ ძალთა განლაგებას და ამ ძალებს აკლასიფიცირებენ სამ დიდ და სამ მცირე ძალად. პირველნი არიან რუსეთი, ირანი და თურქეთი, მეორენი — აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. მაგრამ ვითარებას იხილავენ ისე, რომ ანალიზის არეში არ შემოჰყავთ გარე მსოფლიო, რომლის ძალხაზებშიც ხსენებულ ექვსთა ურთიერთობის მთელი დრამა თამაშდება. შესაბამისად, არაადექვატურ ანალიზსა და პროგნოზს ვღებულობთ, როგორიც გვექნება, ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუ ციური სხეულების მოძრაობის აღწერას მოვინდომებთ მიზიდულობის ფაქტორის გაუთვალისწინებლად. სახელდობრ, პუბლიკაციაში გამოტოვებულია ის გარემოება, რომ ძირითადი გეოსტრატეგიული მოტორი, რომელიც დაპირისპირებასაც განაპირობებს და შესაბამისად გადაადგილებასაც, არის ახალი Drang nach Osten („სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ“), ანუ დასავლეთის სწრაფვა ცენტრალური აზიისაკენ კავკასიის გავლით, და მასთან განუყრელად დაკავშირებული პირაქეთი სწრაფვა, Drang nach Westen, ანუ სწრაფვა ცენტრალური აზიის, ე.წ. ხმელეთის გულის ქვეყნებისა დასავლეთისაკენ, რომლის (ამ სწრაფვის) დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ამ ქვეყნებს ორი სტიქიური უბედურება — ერთი, სტაგნაცია და მეორე, დემოგრაფიული წალეკვა — ელით. გერმანიის უაღრესად ფხიზელი და თავისი ქვეყნის ძალიან გრძელვადიანი მიზნების მსახველი მმართველები, რა თქმა უნდა, ხედავენ პროცესის მიმართულებასა და პერსპექტივას, ანუ იმას, რომ ხმელეთის გული და ხმელეთის მეცნიერულ-ტექნიკური აზრის სამშობლო ძალიან მოკლე ხანში დუკავშირდებიან ერთმანეთს დღევანდელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გამართული გზით და რომ ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ხდომილება ეპოქას შექმნის არა მხოლოდ მოცემული რეგიონის (რეგიონების) ისტორიაში. ისინი, ცხადია, არ აპირებენ თავისი ქვეყნის გამოთიშვას ამ ხდომილებით გამოწვეული ევენტუალური ბუმიდან.

სავარაუდოა, რომ ისინი პრაქტიკულად ოპტიმალურ ბალანსს მოძებნიან ერთის მხრივ საერთო-დასავლურ, მეორეს მხრივ, თავისსავე ზემოხსენებულ ტანდემთან დაკავშირებულ ინტერესებს შორის.

ცხადია, გერმანელ პოლიტიკოსებს, ისევე როგორც ვერავის სხვას, ვერ დაეძრახებათ თავისი ქვყნისათვის შეძლებისდაგვარად კომფორტული და მომგებიანი სასტარტო პირობების ძებნა და ამ ინტერესის წინ დაყენება სხვის, ამ შემთხვევაში, ქართველების ინტერესებზე. რა გამომდინარეობს აღნიშნული ვითარებიდან ჩვენთვის, ქართველებისათვის? რა თქმა უნდა, არა ის, რომ ჩვენი ევროპელი პარტნერისგან რაიმე ვიწყინოთ. პირიქით, გერმანული დიპლომატია დღეს ფხიზლად და ენერგიულად მონაწილეობს რუსეთის ანაქრონისტული აგრესიისაგან საქართველოსა და, საერთოდ, ევრაზიის დაცვის პროცესში და ამისთვის ჩვენ მხოლოდ მადლიერება გვმართებს. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროცესის მიზანი არა მხოლოდ ისაა, რომ რუსეთი განიდევნოს მის მიერ ძალადობით დაკავებული საქართველოს ტერიტორიებიდან ანუ ცხინვალის რეგიონიდან ან აფხაზეთიდან, არამედ ისიც, რომ ეს გაკეთდეს მშვიდობიანი ზეწოლით, რათა რუსეთს ან სხვა შესაძლო აგრესორს არ ჰქონდეს მომავალში ეს მანკიერი ლოგიკა „დასავლელებს ომი ეზარებათ, ამიტომ ყველგვარ საერთაშორისო დარღვევასა და ძალადობაზე თვალს დახუჭავენო“. ეს პროცესი ივლის და თავის მიზანს მიაღწევს. ქართული პოლიტიკის რეაგირება ზემოთ დახასიათებულ გერმანულ პოლიტიკაზე, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ რეალისტურად გავითვალისწინოთ: დასავლეთთან სათავდაცვო კავშირისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია, ნატოში ყოფნა არ არის ერთადერთი გზა. არის ორი სხვაც. ერთია საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულება ნატოსთან, როგორც მთელთან (რასაც აუარებელი საკუთარი უპირატესობები აქვს). მეორეა საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებები დასავლეთის ცალკე ძალასთან ან ძალებთან. დიდი ალბათობაა, რომ საქართველოს სტრატეგიული მომავალი სწორედ ამ უკანასკნელი გზით ივლის, რაც გაზ. „საქართველოში“ კონსტატირებული იყო ჯერ კიდევ ორი წლის წინ.

საძულა-ვარსკვლავთმრიცხველი.
I. II. 2009

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.